დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
30 ოქტომბერი - 5 ნოემბერი

N 47 1511

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

## სიყვარული გადაარჩენს!

ლაშა ნადარეიშვილი

დრო ყველაფერს გამოაჩენს,
შავს თეთრისგან გამოარჩევს,
ამ დღისთვისაც ვიღაც გვაჩენს,
იმ დღისთვისაც ვიღაც გვარჩევს...

ჩავუყვები წიგნის სარჩევს,
ვეძებ ცრემლებს, შენგან ნარჩენს, —
ტკივილებსაც ვიღაც გვაჩვევს,
სიხარულსაც ვიღაც გვამჩნევს.

შემოდგომა მიაქვთ შაშვებს,
ქარს — ღრუბლების ცაში ამშვებს...
გინდა წასულს, გინდა დამრჩენს
სიყვარული გადაარჩენს!



# ზელენსკი და არახამიავ, ლაზარეს მამის გეშინოდეთ!

***ისეთი პირი უჩანს, სულ მალე მთელ სანაცეთსა და სალიბერალეთს კიევში სპეცმისიით მოუწევს ჩასვლა უკრაინული დემოკრატიის გადასარჩენად.***







## ზელენსკი–არახამიას რეჟიმი „რუსული კანონის“ მიღებას გეგმავს!



ლაზარე გრიგორიადისი

საქმე ის არის, რომ უკრაინის ხელისუფლება სწორედ ისეთი **„რუსული კანონის“** მიღებას აპირებს, როგორიც ნაციონალურმა მოძრაობამ, მისმა მოკავშირე ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას არ მიაღებინეს!

**„რუსული კანონის“** მიღება რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში დააანონსა უკრაინის რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარემ, ზელენსკის ერთ-ერთმა მთავარმა თუქსუსმა და ნაცსექტის ერთ-ერთმა მორიგმა კერპმა **დავით არახამიამ,** რომელმაც თავის ფეისბუქ-გვერდზე დაწერა:

> ***„ჩვენ ვხსნით ახალ დონეს — კანონს ლობირების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ყველა შესაბამისმა ორგანიზაციამ და პირმა უნდა წარადგინოს მონაცემები თავისი დონორებისა და თანხების შესახებ კორუფციის პრევენციის ეროვნულ სააგენტოში. ეს იქნება „ჩასვრა“.***

სოციალურ ქსელში **დავით ბრაუნის** სახელით დარეგისტრირებული **დავით არახამიას** განცხადება იმას ნიშნავს, რომ **უკრაინის ხელისუფლება უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა სახის იურიდიულ პირებს კანონით დაავალდებულებს, სახელმწიფოს მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია, თუ საიდან ფინანსდებიან, ვის მიერ ფინანსდებიან, რამდენით ფინანსდებიან და რაში ხარჯავენ დონორებისაგან მიღებულ დაფინანსებას?**

რასაც არახამია **„ლობირების შესახებ კანონს“** უწოდებს და რის მისაღებადაც უკრაინის ხელისუფლება ემზადება, **ეს ზუსტად ის კანონია, რომლის მიღებასაც საქართველოს ხელისუფლება ამა წლის მარტში ცდილობდა და რასაც ერქვა „კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.**

უნდა ვივარაუდოთ, რომ **„ლობირების შესახებ კანონი“,** რომლის მიღებასაც ზელენსკის ხელისუფლება აპირებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1938 წლიდან მოქმედი **ე.წ. ფარას კანონის,** ანუ **„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის“** მსგავსი იქნება. ყოველ შემთხვევაში, **„კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“,** რომლის მიღებაც საქართველოს ხელისუფლებას უნდოდა, სწორედ ამერიკული **„ფარას კანონის“** ანალოგი გახლდათ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში მოქმედმა „მეხუთე კოლონამ“ — **ნაცოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამერიკული კანონი „რუსულ კანონად“ მონათლეს და მისი მიღება რომ არ დაეშვათ, რუსთაველის გამზირი „მოლოტოვის კოქტეილებით“ გადაწვეს.**

**ჰოდა, საინტერესოა, რას იტყვიან იგივე ნაცოპოზიცია და იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები ახლა, როცა იგივე „რუსულ კანონს“ რუსეთთან ომში მყოფი უკრაინის ხელისუფლება იღებს?**

**გამოდის, რომ ზელენსკი კრემლის დაკვეთას ასრულებს?**

**გამოდის, რომ ნაცების მეგობარი და კუმირი არახამია რუსეთუმეა?**

**გამოდის, რომ უკრაინის ხელისუფლება თავის ქვეყანას დასავლურ კურსს უცვლის და რუსეთისაკენ მიაქანებს?**

თუ ასე არ არის, აბა, **ზელენსკი-არახამიას რეჟიმი** რატომ იღებს კანონს, რომლის ძალითაც უკრაინაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან, შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი დაფინანსების წყაროების შესახებ?

**რა, ამერიკული კანონის ანალოგი მხოლოდ საქართველოში იყო „რუსული კანონი“ და უკრაინაში „რუსული კანონი“ არ იქნება?**

როგორ, უკრაინის ხელისუფლება, რომელიც **„რუსული კანონის“** მიღებას აპირებს, **პროდასავლური ხელისუფლება** გახლავთ და საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც იგივე კანონის მიღება უნდოდა, **პრორუსული ხელისუფლებაა?**

**არა, ასე არ გამოვა პატივცემულო ნაცებო და ლიბერალებო!**

თქვენ თუ მართლა ლიბერალები, მართლა მედასავლეთეები და მართლა ანტირუსეთუმეები ხართ, **ზელენსკი-არახამიას ხელისუფლების წინააღმდეგაც ისე უნდა აიმაღლოთ ხმა, როგორც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ქენით!**

ჰო, როგორც **ივანიშვილ-ღარიბაშვილის „ქართულ ოცნებას“** არ მიეცით საშუალება, **„რუსული კანონის“** მიღებით საქართველო დაეღუპა, ზუსტად ისე უნდა შეეწინააღმდეგოთ ზელენსკი-არახამიას „ხალხის მსახურსაც“, რომელსაც „რუსული კანონის“ მიღებით უკრაინის დაღუპვა უნდოდა!

**როგორც ქართული დემოკრატია გადაარჩინეთ, ისე უნდა გადაარჩინოთ უკრაინული დემოკრატიაც! როგორც საქართველოს გადასვლა არ დაუშვით პროდასავლური რელსებიდან, ისე არ უნდა დაუშვათ უკრაინის გადასვლაც!**

მოკლედ, ახლავე დაიჭირეთ თადარიგი, გაამზადეთ კარვები, ქვები და „მოლოტოვის კოქტეილები“ უკრაინაში წასაღებად!

დარაზმეთ **ახალი ლაზარე გრიგორიადისები** მათ მიერ უკანალში დაჭრილ მშობელ მამებთან ერთად და ერთიანად წაასხით კიევში!

ხელში დასაჭერი და კედლებზე გასაკრავი ბანერებიც აქვე დაამზადეთ უკრაინული და ინგლისური ტექსტებით: **„არა რუსულ კანონს უკრაინაში!“; „ძირს პუტინისტი ზელენსკი!“; „კრემლის აგენტო არახამიავ, გაეთრიე!“**

აბა რა, ნაცებო და ლიბერალებო, თუ მედასავლეთეები ხართ, ყველგან მედასავლეთეები უნდა იყოთ და თუ რუსეთს ებრძვით, ყველგან უნდა ებრძოლოთ, მით უფრო, მეგობარ უკრაინაში!

თქვენ ის ხალხი არა ხართ, რომ ამტკიცებთ, უკრაინის ომი საქართველოს ომიაო?

ჰოდა, **უკრაინის „რუსული კანონიც“** ხომ **საქართველოს „რუსული კანონია“** და უკრაინაშიც ისევე გევალებათ მის წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც საქართველოში!

ვიშ, რა საამო და საამაყო სანახავი იქნება, ხრეშჩატიკზე მდგარი **ანა წითლიძე და ნინო ლომჯარია, სალომე სამადაშვილი და ელენე ხოშტარია, თინა ბოკუჩავა და ხატია დეკანოიძე, ლევან ხაბეიშვილი და გიორგი ვაშაძე** ზელენსკი-არახამიას პრორუსული რეჟიმის გადადგომას რომ ითხოვენ!

ზელენსკი და არახამია „რუსული კანონის“ მიღების წინ შეიძლება, თავს იმით იმშვიდებენ, რომ ლაზარე გრიგორიადისი ციხეშია და ნაცებს „მეზარბაზნეები“, ანუ „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელები არ ჰყავთ, მაგრამ სულ ტყუილად — **ლაზარეს მამა — უკანალში დაჭრილი ბექა ხომ თავისუფალია?**

ასე რომ, **ზელენსკი და არახამიავ, ლაზარეს მამის გეშინოდეთ!**

გადამალეთ უკრაინელი პოლიციელები და პოლიციის ავტომობილები, სანამ უკანალში დაჭრილი და „მოლოტოვის კოქტეილებით“ შეიარაღებული **ბექა გრიგორიადისი** კიევში ჩასულა და ერთიანად გადაუბუგავს!

მოკლედ, **უკრაინული დემოკრატია საფრთხეშია!**

უკრაინას ქართველი ნაცებისა და ლიბერალების იმედი აქვს!

**მხოლოდ ქართველი ნაცები და ლიბერალები თუ დაიხსნიან უკრაინელ ხალხს „რუსული კანონის“ მიმღები ზელენსკი-არახამიას** პუტინისტური რეჟიმისაგან!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენი ხალხი და ხელისუფლება **ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს** — დიდი ოპტიმიზმით ველოდები ჯერ **8 ნოემბრის გადაწყვეტილებას** და შემდეგ დეკემბერში **საბოლოო გადაწყვეტილებას.** სტატუსს როცა მიიღებს ქვეყანა, **ეს იქნება ჩვენი ხელისუფლების დამსახურება ქართველ ხალხთან ერთად,** ვინაიდან ჩვენ ვმოქმედებთ ხალხის სახელით და ხალხისთვის.

საქართველო, როგორც **მიუკერძოებელი, ნეიტრალურ-ობიექტური შუამავალი და აზერბაიჯანისა და სომხეთის მეგობარი,** არის დაინტერესებული იმით, რომ ჩვენს რეგიონში **გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა** დამყარდეს.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



პირდაპირ უნდა ვთქვათ, ვინ არიან ისინი, ვინც **სტატუსის მიღებას ხელს უშლიან** — ესენი არიან: **ნაციონალური მოძრაობა ვაშაძესთან ერთად, „ლელო“ და გვარამია.**

**ელენე ხოშტარია რუბლებით სუნთქავს, ზურაბ-გირჩი** კი, ბოდიში და, **ჩახდილი დარბოდა** — როგორ შეიძლება მათი მხრიდან ბულინგი მიიღო, უნდა იხუმრო, ასეთი რაღაცები გაატარო და გაერთო.

„ინტერპრესნიუსი“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



ნუ ფიქრობთ ნეგატიურ სცენარზე, **ყველაფერი იქნება ძალიან კარგად,** გაიღიმეთ, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო გულითადად გაიღიმებთ, როცა გაიგებთ, რომ **საქართველომ მიიღო კანდიდატის სტატუსი.**

„ინტერპრესნიუსი“



გიორგი მამაცაშვილი

# ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

მურმან ლებანიძეს თუ დავესესხებით, **„ცხოვრების ჭუჭყში გაურეველი თენგიზ არჩვაძე“ გარდაიცვალა.**

**„ძაღლი მიაკვდა სულში მიხეილ სააკაშვილსო, თქვა და მერე მოკვდა!“** — ეს სიტყვები სააკაშვილის დროინდელ ეკონომიკის მინისტრსა და სხვა ათას თანამდებობაზე გადამხტარ **გიორგი არველაძეს** ეკუთვნის.

**თენგიზ არჩვაძეზე** თქვა.

არ ვიცი, რამდენად მართლა თქვა ეპოქალურმა მსახიობმა მსგავსი ფრაზა, მაგრამ ნაციონალთა მორალი **გამომცემლობა „სამშობლოდან“ „ასავალ-დასავალისა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების გამომყრელი არველაძის** სტატუსიდანაც ნათლად ჩანს. ასე რომ, ახლა და აქვე მეც ვამბობ ხმამაღლა:

**ძაღლი მიაკვდა სულში ყველა იმ ნაძირალას, ვის გამოც და ვისი დორბლიანი ხუშტურების გამოც ათიათასობით ახალგაზრდა ეწამა იმ ჯოჯოხეთურ ცხრა წელში!**

ჰო, **ძაღლი მიაკვდა სულში** ნებისმიერ ხელისუფალს — **სამშობლოს ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტის გასხვისებისთვის!**

ჰო, **ძაღლი მიაკვდა სულში** ასობით დაკარგულ სოფელზე მსგავსი ფრაზის ავტორს — **„ქვების გროვა იყო და მეტი არაფერი!“**

და როგორც ჩემი მათემატიკის მასწავლებელი იტყოდა, **„თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი“ ყველა იმ ხელისუფალს, რომლის მთავარსარდალიც საომარი მდგომარეობის დროს უცხოელ სტუმარს მიატოვებდა, გაიქცეოდა და ცხვირით დაიწყებდა მიწის თხრას!**

•

მასწავლებელი ვახსენე და 27 ოქტომბერს **მასწავლებელთა დღე** აღინიშნა მთავრობისა და პრემიერის ინიციატივით. მოფერების, ხელფასის მომატებისა და დაფასების პარალელურად, პრემიებიც დაურიგდათ გამორჩეულ პედაგოგებს და ამდენწლიანი პაუზის შემდეგ ბევრმა გულწრფელად ინატრა მასწავლებლობა.

მილოცვის ღირსნი ნამდვილად არიან ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელნი. მართლაც რა ლამაზად თქვა ათეული წლების წინ **იოსებ ნონეშვილმა** — **„მასწავლებელი — ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“.**

•

პრაქტიკულად, დაიწყო წინასაარჩევნო წელი და ოპოზიციის გარკვეულ ნაწილსაც თანდათან დაეტყო სიგიჟის ნიშნები.

**„ის არის იშვიათი მაზაკვალი მოღალატე!“** — **ბახარიას** მისამართით **ღარიბაშვილის** მიერ ჩვეული პირდაპირობით ნათქვამი ეს სიტყვები უმალ ამოტივტივდა გონებაში, როგორც კი პოლიტიკურ სივრცეში ახალი გაერთიანება დაანონსდა. დიახდიახ, **„თვალთხარია“** და **„ჭრიჭინა პეზიდენტი“** ერთიანდებიან და აპირებენ, დესერტად ნაცთა დამცველი **ლომჯარიაც** მოგვართვან.

მეტი არაა ჩემი მტერი, ამ გაერთიანებით საქვეყნო საქმეს რაიმე წაადგეს. მასე, **„ბირჩი“ და ლიაკაც** წამოკოტრიალდნენ ვაჟა-ფშაველას გამზირზე სახელდახელოდ გაშლილ დივანზე, **მაგრამ ქვეყანას რა ხეირი?**

•

ჰო, კინაღამ დამავიწყდა — **„ბირჩისა“ და ხოშტარიას დუეტი** ახალ პორტალს ხსნის. **„მონა.გე“** ჰქვია მათ პორტალს და, თუ ვინმე მათგან განსხვავებულად აზროვნებს, ნაცების ანასხლეტთაგან **მონის იარლიყი** გარანტირებული აქვს. არადა, პირიქით რომ არის? რახანია, ნებისმიერი მათი ქმედება ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ **ღალატად და გრანტების მონობად** კვალიფიცირდება და, როგორც **ირაკლი კობახიძემ** თქვა, ამ ბოლშევიკ-ექსტრემისტთა ქმედებებს საზოგადოება ნათლად შეაფასებს — წელს თუ არა, გაისად საარჩევნო ურნებთან!

•

ჰო, საიტის მსგავსი შეუქმნიათ შარვალჩახდილებს და შარვალამოცმულებს-მეთქი...

ამის საპირწონედ, ჟურნალისტმა **ბელა ზედელაშვილმა** ახალი საიტის შექმნაც დააანონსა, რომელსაც ოპოზიციის გარკვეულ წევრთა ნათლად წარმოჩენისთვის **„ბოზი. გე“** უნდა დაარქვას. მის კვალდაკვალ ხვალ-ზეგ მახვილი სიტყვის ოსტატნი კიდევ ერთ საიტს გამოაცხობენ და **„ქაქი.გე“**-ს დაარქმევენ. ვიღაცა — **„კუკუ.გე“**-ს და ასე შემდეგ. შესაფერის თიკუნს რა დალევს... არადა, ისევ გავრცელებულ ამბავზე ვფიქრობ — **მაზაკვალს მადამ კუკუ უერთიანდებაო... აქეთ კიდე ლომჯარიაო...**

ჰმ... **შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, ბატონებო!**

ხვალ, გახარიას რჩევით, **ზურაბიშვილი სააკაშვილსაც შეიწყალებს და მერე ატყდება, თუ ატყდება...** აქვე ზურაბიშვილის ნათქვამ ფრაზას გავიხსენებ და გეტყვით: **„აგრესიული კანალიზაცია“ და მილების დახეთქვა მერე ნახეთ... ბინძურ ჭუჭყს ველარაფერი ჩამორეცხავს და ეს იქნება ამათი პოლიტიკური „აგრესიული კანალიზაციის“ დასასრულიც...**

•

ე.წ. ოპოზიცია ერთ ამბავშია — როგორ ავნოს ქართულ სახელმწიფოს, ამასობაში კი საუკუნის პროექტი განახორციელა **საქართველოს მთავრობამ — გაიხსნა რიკოთის 27-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც 65 ხიდსა და 38 გვირაბს მოიცავს, ხოლო მასზე გადაადგილებისას მანძილი — 8 კილომეტრით, ხოლო გადაადგილების დრო 25 წუთით მცირდება!**

**მართლაც „რას გვიშვრება ეს მთავრობა?!“**

ხო, კიდევ — როცა **მიშას სოფოკლე** ჭორვილიდან იფრინეს, პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით უკვე მეოთხედ გაიმართა **„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“,** რომელსაც მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის 2000-მდე დელეგატი დაესწრო და ნათლად გამოჩნდა საქართველოს მაკონსოლიდირებელი როლი მსოფლიოს ციკლურ პროცესებში.

— **„მინდა ყველა დავამშვიდო, რომ, მიუხედავად შიდა თუ გარე მტრებისა, დესტრუქციის და საბოტაჟისა, ჩვენი ქვეყანა მაინც მიიღებს სტატუსს!“** — ბრძანა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და ამ **იმედიანი** განცხადების ფონზე საზოგადოება შოკში ჩააგდო **უიმედოდ** შთენილი **ია ფარულავას** განცხადებამ — **მიშას ცოლად უნდა მოვეყვანე, მაგრამ, როგორც ყველა თავის ქალს, მეც ცუდად მომექცა და გადამაგდოო...** არადა, იქნებ ნაადრევია იმედის დაკარგვა, მითუმეტეს, როცა **„ვივამედის“ ხელიხელსაგოგმანები ტუსაღი** დღითი დღე ფერზე მოდის და **„ტანს იყენებს“.**

•

**„თუ** ოცნებამ გაიმარჯვა მომავალ არჩევნებში, მეც, მელიასაც და ხაბეიშვილსაც ამ ქვეყანაში დარჩენის შესაძლებლობა არ გვექნება“, — განაცხადა **ვინმე ანაწითლიძემ** და უმალ ვიგრძენი, რომ მის პირთაგან თქმული სიტყვა **„თუ“** ისეთივე ზედმეტია წითლიძის გამოსვლაში, როგორც — შაქარი ჩეფირში. ისე კი, როგორ ფიქრობთ, **ქეზერაშვილის** „კარმუშკაზე“ მყოფი **ხაბეიშვილია** ქვეყნიდან წამსვლელი?

•

საკუთარ „მოთხრობაში“ წლების წინ თამარ მეფის სახელის შემბილწველმა და მწერლად წოდებულმა **ლაშა ბუღაძემ** წითელი ხაზები გადაკვეთა. **„არც კობახიძის შვილი განსხვავდება მამისგან და არც ბერა — მამამისისგან“** — თქვა და საპირფარეშოში „ჩაიკეტა“.

ისე, ამ **„უბორნიის მწერლისგან“** რა უნდა იყოს გასაკვირი?! სკაბრეზი მაპატიეთ, მაგრამ ისევ ჟურნალისტ **ნინო ჯღარკავას** მიერ გასტატუსებულ ფრაზას მოვიშველიებ, რომლის მიხედვითაც **ლაშა ბუღაძე** მამამისის — მხატვარ **გია ბუღაძის პიტალო** ასლია.

•

**„ხანდახან ვხუმრობთ, ჯერ სტატუსი მივიღოთ და „ჰოპლა“, თუ გნებავთ, ხაბეიშვილს ან ვაშაძეს დავაძახებინოთ!“** — თქვა **მამუკა მდინარაძემ.**

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი პიესისა **„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“,** ცნობილი გერმანელი მწერალი, მემარცხენე ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ლიდერი **ერნსტ ტოლერი** აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის 1918 წლის **ნოემბრის რევოლუციაში** და ეს ქართველი ბოლშევიკებიც ნამდვილად არიან **2003 წლის ე.წ. ნოემბრის რევოლუციის პირმშონი,** მაინც არაა საკმარისი მსგავსება **ტოლერსა** და **ვაშაძე-ხაბეიშვილს** შორის.

მათი მაქსიმუმი მინიმალისტურია: ხაბემ უნდა იყვიროს **„კეზერა“,** ვაშაძემ — **„მიშა“.**

ვიღაცა **„ვანოსაც“ შემოსძახებს.**

ვიღაცა **შარვალსაც ჩაიხდის.**

ვიღაც **ჭორვილური მარცხის მერე ცხრუკვეთში წავა დროშის ფრიალითა და სიმღერით — „რა დროშა მოგვცა მიშამ!“**

ვიღაც **ისევ დაფეხმძიმდება „ვივამედში“.**

ნაცები ისევ „ჩაისვრიან“.

საქართველო აუცილებლად მიიღებს სტატუსს!

ჩვენი მომავალი თაობები ისევ შეიყვარებენ **თენგიზ არჩვაძის** საოცრად შესრულებულ სიმღერას **„ჩვენი სამშობლო ნაბადი და სალამურია“.**

და მეც, **ტოლერის მსგავსად,** ხმამაღლა შევძახებ — **„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“**

***გიორგი მამაცაშვილი,***
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე



„ასავალ-დასავალის“ რედაქცია უდიდეს მწუხარებას გამოთქვამს **დიდი ქართველი არტისტის, ქართული თეატრისა და კინოს ნამდვილი ვარსკვლავის, კაცობისა და მამულიშვილობის ეტალონის**

## თენგიზ არჩვაძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს!**

## კვირგვინოსნები

**ილონ მასკი**
*ინვესტორი, ბიზნესმენი, გამომგონებელი*



აშშ კაცობრიობას **მესამე მსოფლიო ომისაკენ** მიაქანებს.

„ფეისბუქი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ნაცმოძრაობა დაშლილია, კიდევ უფრო მეტად იშლება** და ეს არის კარგი იმისთვის, რომ, საბოლოო ჯამში, **ჩვენ მომდევნო პარლამენტში მივიღოთ ისეთი პოლიტიკური სპექტრი, რომელიც წაადგება ჩვენი ქვეყნის განვითარების ინტერესებს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **2024 წლიდან ნომერ პირველი ოპოზიციური ძალა ველარ იქნება,** რა გადაადგილებაც არ უნდა მოახდინონ, ეს შედეგს ვერ მოიტანს.

„პირველი არხი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



**ნაცმოძრაობა არ არსებობს** — წავლენ, თავისი ბელადის, **ცოცხალი ადამიანის მავზოლეუმს გააკეთებენ, ჩამოკიდებენ პიჯაკებს, დადებენ ბოტასებს,** რაღაცას იბოდიალებენ და ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი, რას ნიშნავს ეს? — რა ვიცი, რას ნიშნავს?!

„ინტერპრესნიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



**კანდიდატის სტატუსის მისაღებად შანსები გაზრდილია.** ეს იწვევს რადიკალური ოპოზიციის შეშფოთებას, რადგან **უვარდებათ დესტაბილიზაციის გეგმა.**

„რეზონანსი“



# მაია ნიკოლეიშვილი: ამერიკის მსოფლიო ჰეგემონიას წყალი აქვს შემდგარი, რადგან უკრაინაში ვერ გაიმარჯვა!

## „შეიძლება, მეფე ერეკლეს

**წელიწადნახევრიანი კვდომის შემდეგ უეცრად გაცოცხლებულმა პატიმარმა სააკაშვილმა გასულ კვირას კვლავ დისტანციურად მიიღო მონაწილეობა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე გამართულ პროცესში, რომელზეც იგი ერთ-ერთი მთავარი ბრალდებულია ნაცრეჟიმის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად.**

მანამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ექიმთა კონსილიუმის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სააკაშვილის გამოჯანმრთელების დინამიკა დადებითია, მსჯავრდებულ ნაცბელადს უძილობაც აღარ აწუხებს და კოშმარულ სიზმრებსაც აღარ ნახულობს, თუმცა, კუნთები კვლავ ატროფირებული აქვს, თავს სუსტად გრძნობს და სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა დარჩეს.

**სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი ცნობილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან და ანალიტიკოსთან**

**მაია ნიკოლეიშვილთან:**

— სააკაშვილის ექიმები მასზე ისეთებს ამბობდნენ და იმისთანა სამედიცინო დასკვნებს წერდნენ, ახლა, წესით, ცოცხალი აღარ უნდა იყოს. ნაცებმა თავიანთი ბელადის „მავზოლეუმის“ გახსნაც, ალბათ, იმიტომ ჩაიფიქრეს, რომ ეგონათ, ექიმები მართლები იყვნენ და სააკაშვილი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ცოცხალი კაცის „მავზოლეუმი“ შერჩათ, სადაც მისი პიჯაკები და ბოტასები აქვთ გამოფენილი.

**— კონსილიუმის დასკვნაში ისიც წერია, რომ სააკაშვილს კოშმარული სიზმრები აღარ აწუხებს!**

— გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემების ფონზე, ადამიანს შეიძლება, მართლაც სტანჯავდეს კოშმარული სიზმრები და დაპატიმრების შემდეგ, ალბათ, სააკაშვილსაც ესიზმრებოდა კოშმარები, ამაში უცნაური არაფერია.

**— იქნებ თავისი რეჟიმის მსხვერპლები ესიზმრებოდა?**

— **არა მგონია, სააკაშვილს თუნდაც ქვეცნობიერის დონეზე და თუნდაც სიზმარში სინდისის ქენჯნა აწუხებდეს. იგი, თავისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე, შეიძლება, მხოლოდ შიშმა შეაწუხოს და ვფიქრობ, კოშმარულ სიზმრებსაც უფრო შიშის გამო ნახულობდა, ვიდრე სინდისის ქენჯნის გამოისობით.**

საერთოდ, **სააკაშვილი და დედამისი** ვერ აცნობიერებენ, საქართველოში რამხელა უბედურება დაატრიალეს, რამდენ ადამიანს წაართვეს სიცოცხლე და რამდენს დაუნგრიეს ცხოვრება... ამ დედა-შვილს მონანიების მომენტი არასოდეს დაუდგება, ამის ილუზია არავის ჰქონდეს!

**— დღევანდელი პრეზიდენტის — სალომე ზურაბიშვილის ფსიქოტიპზე რას იტყვით?**

— **სალომე ზურაბიშვილი,** როგორც ემიგრანტების შთამომავალი, ტრავმირებული ადამიანია. ზოგადად, ემიგრანტები ყოველთვის ტრავმირებული არიან. დღეს საკმაოდ ხშირად ვხედავთ, რომ საქართველოდან ოჯახები ემიგრაციაში მიდიან იმისათვის, რომ შვილები ევროპასა თუ ამერიკაში გაზარდონ, იქაური განათლება მისცენ და ა.შ. რეალურად, ისინი ვერ ხვდებიან, რამხელა დარტყმას აყენებენ თავიანთ ბავშვებს, რომლებსაც სამშობლოს აკარგვინებენ... სამშობლო როცა ამოვარდნილია, სამშობლო როცა შორია, ეს იწვევს საოცარ ფსიქოლოგიურ ტრავმას და მძიმე ტკივილს, რომელიც რამდენიმე თაობას მიჰყვება.

**სალომე ზურაბიშვილი** გაიზარდა, როგორც ფრანგი და ამის შედეგს ვხედავთ — იგი არ არის ქართული მენტალიტეტის ადამიანი, აბსოლუტურად სხვა ცივილიზაციის პროდუქტია. თანაც, მას აქვს **მემკვიდრეობით გადაცემული ფსიქოლოგიური ტრავმა,** რაც საბჭოთა კავშირის მიმართ ავადმყოფურ ფობიაში გამოიხატება.

**— კი მაგრამ, საბჭოთა კავშირი ხომ უკვე 30 წელიწადზე მეტია, აღარ არსებობს?**

— აი, სწორედ ეს არის საქმე... საბჭოთა კავშირი ჩვენი წარსულის ნაწილია, რომელიც არ შეიძლება, მხოლოდ ცუდი ან მხოლოდ კარგი იყოს. ჩვენ ამის გარჩევის უნარი გვაქვს და ვიცით, საბჭოურ სისტემაში რა იყო ცუდი და რა — კარგი, ხოლო **სალომე ზურაბიშვილისათვის, როგორც ემიგრანტისათვის, საბჭოთა კავშირი მხოლოდ ცუდი იყო, მეტიც, მისთვის ეს იყო საშინელება და ამიტომაც, იგი დღესაც საბჭოთა კავშირს ებრძვის!**

როცა მთელი ცხოვრება ებრძვი წარსულს, რომელმაც ემიგრანტად გაქცია, როცა მთელი ცხოვრება ამ ბრაზითა და შურისძიებით ხარ შეპყრობილი, რეალობის შეგრძნების უნარს კარგავ... სალომე ზურაბიშვილსაც სწორედ ეს ჭირს და ასეთი ფსიქოტიპის ადამიანი პრეზიდენტად არ უნდა აგვერჩია.

**— თუმცა, სალომე ზურაბიშვილი დიდი ქართველი მოღვაწის — ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია და მის პრეზიდენტად არჩევაში ამანაც ითამაშა გარკვეული როლი!**

— **სალომე ზურაბიშვილი** ნიკო ნიკოლაძეს არ გაუზრდია, **ნიკო ნიკოლაძეს** არ ჩაუნერგავს მისთვის სამშობლოს სიყვარული და საქართველოს მომავალზე ზრუნვის იდეა... ნიკო ნიკოლაძე სალომე ზურაბიშვილის მხოლოდ ისტორიული მეხსიერების ნაწილია, ეს კი ბევრს არაფერს ნიშნავს.

**— როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ ზურაბიშვილმა პრეზიდენტის რეზიდენცია ოპოზიციის შტაბბინად გადააქცია და ლამის ყოველდღე მართავს თათბირებს სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლებთან?**

— სინამდვილეში, სალომე ზურაბიშვილი სრულიად მარტოა დარჩენილი! **მან მოახერხა და თავი შეაძულა იმ ხალხს, ვისი წყალობითაც პრეზიდენტი გახდა!** ოპოზიციონერები, რომლებიც სალომეს უკანასკნელი სიტყვებით თათხავდნენ და სამშობლოს მოღალატეს ეძახდნენ, დღეს თითქოს მისი მოკავშირეები არიან, მაგრამ ეს სრულიად მოჩვენებითია... რეალურად, ნაცებს ზურაბიშვილის მიმართ ისევ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორსაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამჟღავნებდნენ, **უბრალოდ, წყალწაღებულ ოპოზიციას დღეს პრეზიდენტის სტატუსთან ჩაბღაუჭება სჭირდება,** ანუ ნაცები მოკავშირედ ექცნენ არა სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ძველებურად სძულთ, არამედ პრეზიდენტის ტიტულსა და ინსტიტუტს.

## სალომე ზურაბიშვილი, მიხეილ სააკაშვილისა არ იყოს, უკვე „ჩამოგდებული მფრინავია“ და მის გარშემო ოპოზიციის ბორიალი იმას ჰგავს, რასაც ქართული ანდაზა გვეუბნება – მკვდარი მკვდარს აეკიდაო!

**— როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლება მართალი ყოფილა, როცა ამბობდა — ნაცოპოზიციის წარმომადგენლები ევროპულ სტრუქტურებში იმისათვის დაყიალობენ, რომ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას შეუშალონ ხელიო! სწორედ ეს დაადასტურა ოპოზიციონერმა ხათუნა სამნიძემ, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ განაცხადა — ზოგიერთი ოპოზიციონერი ევროპელ პარტნიორებს ეუბნება, რომ საქართველოს სტატუსის მიცემა გადაუვადონო! რას იტყვით?**

— ორი ვარიანტია — **სამნიძემ** სიმართლის თქმა ან იმიტომ გადაწყვიტა, რომ ოპოზიციის შიგნით ვიღაცებთან კონფლიქტი აქვს, ან სინდისი ცოტათი მაინც შერჩენია. მიუხედავად ამისა, მის მიმართ ვერანაირად ვერ მექნება დადებითი დამოკიდებულება, რადგან სამნიძემ, სხვა ოპოზიციონერ ქალებთან ერთად, უკიდურესად მდაბიო და ამაზრზენი სახე აჩვენა მარტის მოვლენების დროს, როცა უცხოელი აგენტების რეგისტრაციის კანონთან დაკავშირებით ვნე-



„ფარატინა კანდიდატის სტატუსზე გაცილებით მნიშვნელოვანია წინა კვირას თბილისში გამართული „აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომლის სცენაზეც სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრები ერთად ისხდნენ, შუაში კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო მოკალათებული!“



„სააკაშვილი და დედამისი ვერ აცნობიერებენ, საქართველოში რამხელა უბედურება დაატრიალეს, რამდენ ადამიანს წაართვეს სიცოცხლე და რამდენს დაუნგრიეს ცხოვრება...“





# რეალობა დაგვიდგეს!“

## «ისრაელ-პალესტინის ახალი ომი ამერიკის ხელისუფლების მიერ არის პროვოცირებული, მთავარ მიზანს კი ამ ომში ირანის ჩათრევა წარმოადგენს!»

ბათაღელვა იყო ატეხილი.

რაც შეეხება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს, მას არანაირი წონა არ გააჩნია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მოგვანიჭებენ თუ არ მოგვანიჭებენ... ამ ფარატინა კანდიდატის სტატუსზე გაცილებით მნიშვნელოვანია წინა კვირას თბილისში გამართული **„აბრეშუმის გზის ფორუმი“**, რომლის სცენაზეც სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრები ერთად ისხდნენ, შუაში კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო მოკალათებული.

დიახ, **„აბრეშუმის გზის ფორუმი“**, ფაქტობრივად, მშვიდობის პლატფორმაა, რომელიც დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება თავისი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად!

**— საქართველოს სახელმწიფოებრიობას გადასარჩენი რა ჭირს?**

— სრულიად აშკარაა, რომ დაწყებულია მსოფლიოს ე.წ. გადაფორმატების პროცესი, რასაც ძველი საზღვრების გადასინჯვა და ახალი საზღვრების დადგენა მოჰყვება... ამ პროცესში არაერთ ქვეყანას სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება და ზოგიერთი სახელმწიფო მსოფლიო რუკიდან, უბრალოდ, გაქრება. ასეთებს შორის საქართველო რომ არ აღმოჩნდეს, სწორედ ამისათვის გვჭირდება სამშვიდობო ფორმატი რუსეთთან, ირანთან, თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად!

**— ანუ მიგაჩნიათ, რომ საქართველო უნდა შეუერთდეს ე.წ. 3+3 ფორმატს, რომელშიც აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი და ირანი არიან გაერთიანებული?**

— 3+3 ერქმევა თუ სხვა რამ, რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში საქართველოს მონაწილეობა სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის და ამის გაკეთება აუცილებლად მოგვიწევს.

თუ პრეტენზია გვაქვს, რომ ვიყოთ ჰაბი და შუა დერეფანი აზიასა და ევროპას შორის, მაშინ უნდა ვისაუბროთ ყველასთან, ვისი ინტერესებიც ჩვენს ინტერესებს ემთხვევა. მხოლოდ ასე შევძლებთ მშვიდობის შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტია იქნება იმ ურთულეს ვითარებაში, რომელიც დღეს ახლო აღმოსავლეთშია შექმნილი.

**— ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს გულისხმობთ, რომელმაც ახალი ძალით იფეთქა?**

— **რაც დღეს ისრაელში ხდება, იმ ომის პირდაპირი გაგრძელებაა, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთსა და ევროატლანტიკურ სამყაროს შორის მიმდინარეობს!**

ვინმეს სჯერა, რომ ისრაელის სპეცსამსახურს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია ან ისრაელის მოკავშირე ამერიკის სპეცსამსახურს ისრაელის საზღვრიდან 700 მეტრში „ჰამასის“ წვრთნები გამოეპარა? ვინ არის ისეთი ბრიყვი, რომ მოტყუვდეს, თითქოს „ჰამასი“ ისრაელის ტერიტორიაზე მოულოდნელად შეიჭრა?

**— მაშ, რა მოხდა რეალურად?**

— ისრაელ-პალესტინის ახალი ომი ამერიკის ხელისუფლების მიერ არის პროვოცირებული, მთავარ მიზანს კი ამ ომში ირანის ჩათრევა წარმოადგენს!

**— და რისთვის სჭირდება ამერიკას ეს ომი?**

— საქმე ის არის, რომ **ამერიკის მსოფლიო ჰეგემონიას წყალი აქვს შემდგარი, რადგან ამერიკამ უკრაინაში ვერ გაიმარჯვა!** მეტიც,

**ბაიდენის ადმინისტრაცია ხვდება, რომ უკრაინიდანაც ისე სამარცხვინოდ მოუწევს გაქცევა, როგორც ავღანეთიდან გაიქცა!**

ამიტომაც ამერიკამ გადაწყვიტა, უკრაინის ომის პროექტი დახუროს და ეს პროცესი უკვე დაწყებულია!

**— რას ნიშნავს „პროექტის დახურვა“?**

— ამერიკის ხელისუფლებას უკრაინის ომთან დაკავშირებით სულ სხვა მიზნები და მოლოდინები ჰქონდა — **რუსეთზე ტრიუმფალური გამარჯვება და მოსკოვში ანგლოსაქსური სამყაროს დროშის აფრიალება!** სწორედ ამისათვის დაუპირისპირეს ძმა ძმას და ტყუპისცალი — ტყუპისცალს რუსებისა და უკრაინელების სახით! ჩათვალეს, რომ უკრაინელები ბრძოლისუნარიანობით ისეთივენი არიან, როგორიც — რუსები და მათ გარდა რუსეთს ომს ვერავინ მოუგებდა, მაგრამ შეცდნენ.

ერთი სიტყვით, **ანგლოსაქსებმა რუსეთზე ტრიუმფალური გამარჯვების მაგივრად მიიღეს უზარმაზარი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ევროპასა და ამერიკას ნელ-ნელა ატყდება თავს! ამიტომაც იძულებული არიან, პროექტი — სახელად „უკრაინის ომი“ — დახურონ, რაც უკრაინისათვის ფინანსური და სამხედრო დახმარების ეტაპობრივ შემცირებაში, ბოლოს კი მთლიანად შეწყვეტაში გამოიხატება!**

**— იმის თქმა გინდათ, რომ ამერიკა უკრაინის ომში განცდილი წარუმატებლობის კომპენსირებას ახლო აღმოსავლეთში ახალი ცხელი წერტილის გაჩენით ცდილობს?**

— დააკვირდით სცენარს: როცა **ავღანეთში** ამერიკელების ყოფნა კრახით დასრულდა, მაშინვე დაიწყო **კოვიდის პანდემია!** დასრულდა კოვიდის პანდემია და დაიწყო **ომი უკრაინაში!** უკრაინის ომი დასასრულს უახლოვდება და დაიწყო **ომი ახლო აღმოსავლეთში!**

ვიმეორებ: წამქეზებელი და პროექტის ავტორი ბაიდენის ადმინისტრაციაა, მთავარი ამოცანა კი ირანის ომში ჩათრევა გახლავთ!

**— ირანის ომში ჩათრევით ამერიკას რისი მიღწევა სურს?**

— ამერიკისა და მთელი ანგლოსაქსური სამყაროს შფოთვის მთავარი მიზეზი გახლავთ **ბრიქსი,** ანუ ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის მიერ შექმნილი გაერთიანება, რომელიც თანდათან უფრო ძლიერდება და დასავლური სამყაროს ალტერნატივად ყალიბდება.

ისრაელ-პალესტინის ომში **ირანის** ჩათრევა მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აბოლებას ნიშნავს, რაც პრევენციული დარტყმა იქნება ბრიქსზე და იმ ახალ ლოჯისტიკურ გზებზე, რომლებსაც ახლა ჩინეთი და რუსეთი თურქეთთან და ირანთან თანამშრომლობით ქმნიან.

**თუ ამერიკა ირანის ომში ჩათრევას მოახერხებს, მთელი ისლამური სახელმწიფო აბობოქრდება და გამორიცხული არ არის, დღევანდელი ჩვენი მეგობრები, მათ შორის, თურქეთი, დიდ საფრთხედ გვექცეს.**

ასეთ ვითარებაში საქართველოსათვის რუსეთის საჭიროება კიდევ უფრო გაიზრდება და შეიძლება, **მეფე ერეკლეს რეალობა** დაგვიდგეს!

ამიტომაც ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში ჩვენი იარაღი ჭკუა და გონება უნდა იყოს! სხვა იარაღი ჩვენ არც გაგვაჩნია!

*ესაუბრა*
***ჟაბა ხუბუა***



**„სალომე ზურაბიშვილს აქვს მემკვიდრეობით გადაცემული ფსიქოლოგიური ტრავმა, რაც საბჭოთა კავშირის მიმართ ავადმყოფურ ფობიაში გამოიხატება, იგი დღესაც საბჭოთა კავშირს ებრძვის!“**

# მივმართავთ გენერალურ პროკურატურას – ამ საქმის ასავალ-დასავალი ქართველმა ერმა უნდა იცოდეს!

***ფართო საზოგადოებამ კარგად იცის, რომ „ასავალ-დასავალის“ არაერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ, 2023 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დააპატიმრა ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური. ამჯერად პროფესიონალ თაღლითს ბინების დაგირავებით დაინტერესებული პირების კუთვნილი თანხების მოტყუებით დაუფლებაში ადანაშაულებენ. როგორც გენერალური პროკურატურა გვარწმუნებს, გინტური და მისი დანაშაულებრივი კარტელის წევრები ნოტარიუსების დახმარებით 94 დაზარალებულის კუთვნილ ლამის 2 მილიონ 686 ათას ლარს დაეუფლნენ.***

ამ ამბიდან ზუსტად ორ დღეში, 2023 წლის 13 ოქტომბერს, გენერალურ პროკურატურას განცხადებით უკვე მერამდენედ მიმართა **საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის ყოფილმა წევრმა თამაზ გელაშვილმა,** რომლის ოჯახსაც **ნუნუ გინტურმა** თაღლითური გზით **9 მილიონი დოლარის ქონება** წაჰგლიჯა. განცხადებაში ვკითხულობთ:

*„...**ბატონო გენერალურო პროკურორო,** პირადად მე და ჩემს ოჯახს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა **ნუნუ გინტურმა** 9 მილიონი ამერიკული დოლარის თანხა და უძრავი ქონება მოგვპარა და თაღლითური გზით მიითვისა, ხოლო სახელმწიფოს მილიონობით ლარის გადასახადი არ გადაუხადა. **წლების განმავლობაში, ქართულ პრესასა და მათ შორის ბეჭდვითი სიტყვის ფლაგმან გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ნუნუ გინტურს ვამხელდი და სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირებისაკენ მოვუწოდებდი.** 2016 წელს **ნუნუ გინტური** პროკურატურამ ერთხელ უკვე დააპატიმრა და საზოგადოებას ტელევიზიით აცნობა, რომ გინტურსა და მის ამფსონებს მოსახლეობისგან, კერძოდ, ბინათმშენებლობის ამხანაგობისგან თაღლითური გზით მიტაცებული ჰქონდა 700 000 ამერიკული დოლარი, **მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, — ორ დღეში სასამართლომ გინტური სასაცილო თანხის — 50 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა!** ხელთ მაქვს ნოტარიალურად დამოწმებული სკანდალური მამხილებელი დოკუმენტები, რომლითაც ნუნუ გინტურის დანაშაულებრივი და თაღლითური საქმიანობა უტყუარად დასტურდება. **მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში, პირადად გამოვცხადდე გენერალურ პროკურატურაში და ნუნუ გინტურისა და მისი დანაშაულებრივი სინდიკატის შესახებ ოფიციალური ჩვენება მოგცეთ!“***

ზუსტად ერთ კვირაში, 2023 წლის 20 ოქტომბერს **თამაზ გელაშვილი** ზემოხსენებული განცხადების საფუძველზე ქალაქ თბილისის პროკურატურაში მართლაც დაიბარეს და **7 საათის განმავლობაში** კითხავდნენ. **გელაშვილმა** პროკურატურის გამომძიებლებს წარუდგინა **ნუნუ გინტურის მაკომპრომეტირებელი და მამხილებელი დოკუმენტური მასალები,** მაგრამ, როგორც „ასავალ-დასავალს“ გაწუცხადა, **პროკურატურაში უკვე იკვეთება ნუნუ გინტურისათვის ხელის დაფარებისა და მის წინააღმდეგ არსებული დანაშაულებრივი ფაქტების მიფუჩეჩების ტენდენცია.**

ნუნუ გინტურმა და იმ დანაშაულებრივმა და კრიმინალურმა სინდიკატმა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ჩანერგილი ნაცსექტანტები წარმოადგენენ, წლების განმავლობაში მოახერხეს და **ეს მართლაცდა ყველაფერზე ხელის მომწერი ქალი** მართლმსაჯულების კლანჭებისგან დაიხსნეს!

დიახ, ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა **ნუნუ გინტურმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მთელი 11 წლის განმავლობაში** იმაზე უფრო მეტად ითარეშა, ვიდრე გარყვნილი სააკაშვილისა და წყეული ადეიშვილის დროს თარეშობდა!

მან „მოახერხა“ თუ „მოუხერხეს“ და 2016 წელს, **როცა დაპატიმრებული იყო და 700 ათასი ამერიკული დოლარის მიტაცებაში ედებოდა ბრალი,** სასაცილო თანხის, **50-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ თავი გაითავისუფლა!**

უფრო მეტიც, ნუნუ გინტურმა ისიც კი „შეძლო“, რომ 2014 წელს **იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩამორთმეული ნოტარიუსის ლიცენზია უზენაეს სასამართლოში ჩაბუდებული სააკაშვილ-ადეიშვილის მწვალებლების მეოხებით აღიდგინა!**

**გენერალურო პროკურატურავ, ახლა ჯერი თქვენზეა!**

ჩვენ ამ საქმეს ყურადღებით ვაკვირდებით და იმედს ვიტოვებთ, რომ თაღლით ნუნუ გინტურს პროკურატურაში თვალის პაჭუნს არ დაუწყებენ!

გვინდა ვირწმუნოთ, რომ **ნუნუ გინტურს,** რომელმაც ასეულობით ადამიანი და, მათ შორის, **დიდი ქართველი ფეხბურთელები — მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები** „გადააგდო“, საკადრისს მიუზღავთ! ხოლო საზოგადოებას ისე გაცინებულს არ დატოვებთ, როგორც 2012 წლის 5 დეკემბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურის კანცელარიის თანამშრომელმა გოგონამ გაუცინა **თამაზ გელაშვილს,** როცა ნუნუ გინტურის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მორიგი განცხადება ჩაიბარა და უთხრა

## პროკურატურაში უკვე იკვეთება ადეიშვილის ღამის ნოტარიუს გინტურისათვის ხელის დაფარებისა და მის წინააღმდეგ არსებული ფაქტების მიფუჩეჩების ტენდენცია!



„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №45

## კვირგვინოსნები

**ხათუნა სამნიძე**
*რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე*



პარტნიორები გვეუბნებიან, **დახურულ კარს მიღმა ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ, რომ უნდა გადავადდეს კანდიდატის სტატუსზე გადაწყვეტილების მიღება** — კოლეგებს ვეტყვი, შეწყვიტონ დამაზიანებელი გზავნილები.

„პალიტრანიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**ხათუნა სამნიძის განცხადება** ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ **ოპოზიცია ასე, ზურგს უკან, პარტიზანული წესებით მოქმედებდა** და დღესაც მოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ.

„იმედინიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



მოვუწოდებ **ხაზარაძესაც და სამნიძესაც,** დაასახელონ კონკრეტული ადამიანები, ვინც **კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესს უშლიან ხელს.**

„იმედინიუსი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ ყოფილი გენერალური დირექტორი*



**დაიწყო ჩვენი შემზადება სტატუსზე უარისთვის** — არ გამოვა არავისზე გადაბრალება, რამდენსაც არ უნდა გეხმარებოდეს **ზოგიერთი უმწიფარი ოპოზიციონერი** „ოცნების“ პროპაგანდაზე საეჭვოდ წყლის დამსხმელი განცხადებებით.

„ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



არ ვიცი, ვის გულისხმობს **ხათუნა სამნიძე,** ჩვენ ვამბობთ, რასაც ვფიქრობთ, რომ **ქვეყანას სტატუსი სჭირდება** — შავი კატა სხვაგან ეძებეთ!

„ინტერპრესნიუსი“

# ჩვენ ამ საქმეს ყურადღებით ვაკვირდებით და იმედს ვიტოვებთ, თაღლით ნუნუ გინტურს პროკურატურაში თვალის პაჭუნს არ დაუწყებენ!

**ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მთელი 11 წლის განმავლობაში იმაზე უფრო მეტად ითარეშა, ვიდრე გარყვნილი სააკაშვილისა და წყეული ადეიშვილის დროს თარეშობდა!**

**— ეს გინტური ვინ არის ეგეთი, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით შემოსული საჩივრების ნახევარზე მეტში სწორედ ეს ქალი და მისი შავბნელი საქმეები ფიგურირებსო!**

იმედი გვაქვს, სამართალი პურს თუ არა, პატიოსანი ხელით გამომცხვარ ხმიადს მაინც შეჭამს და **ნუნუ გინტური ახლა მაინც აღარ გაიცინებს!**

*დიტო ჩუბინიძე*









***ეს სულაც არ არის უკბილო ხუმრობა: სააკაშვილი და მისი ნაცბანდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების ფარგლებში რეგიონებში გასვლას და „უფასო სამედიცინო დახმარების კამპანიას“ იწყებს! 2012 წელს ამას „ღიმილიანი საქართველო“ ერქვა, როცა წინასაარჩევნოდ ხალხს კბილები დააძრეს და არჩევნების შემდეგ უკბილოდ დატოვეს.***

# მიშა კაბაში!

27 ოქტომბერს, პარასკევ დღეს, სააკაშვილის კარზე ბოლო დროს ხმაურიანად დაწინაურებულმა **სოფო ჯაფარიძემ** ეგრეთ წოდებული „მიხეილ სააკაშვილის საზოგადოებრივი მისაღებიდან“ გვახარა: **მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, რეგიონებში ექიმების ჯგუფი ვივლით და ხალხს უფასო სამედიცინო მომსახურებას გავუწევთო!**

ამ **სოფო ჯაფარიძემ** ეს „ჰუმანიტარული შტურმი“ ასე ახსნა — საქართველოში ისეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, ხალხს ექიმთან მისასვლელი ფული არა აქვსო! ჰოდა, თუ მთა ვერ მიდის მუჰამედთან... ანუ მიშასთან, მიშა მივა მთასთან, ანუ ხალხთანო! **ოღონდ, მიშა კაბაში იქნება და სოფო ერქმევა!**

რა თქმა უნდა, ხალხის დახმარება მართლაც საშური და ქრისტიანული საქმეა, მაგრამ, როდესაც ამას **ცნობილი პოლიტიკური მძავი სააკაშვილი** აკეთებს და თანაც ამაში ეს **სოფო ჯაფარიძეა** ჩართული, ძალაუნებურად სწორედ ის **„ღიმილიანი საქართველოს“** პროექტი გახსენდება, ნაცებმა წინასაარჩევნოდ ათობით გაუბედურებული პენსიონერი კბილებდაძრობილი რომ დატოვეს. მით უმეტეს, კბილების დაძრობის იმ კამპანიაში **მაშინ ჯერ კიდევ დამწყები „სტომატოლოგი“ სოფო ჯაფარიძე** პირადად იყო ჩართული!

დიახ, ალბათ, ბევრს აქვს ნანახი ეს ვიდეოსიუჟეტი, როდესაც ჯერ კიდევ პრეზიდენტი სააკაშვილი პირადად ეწვია რეგიონებში დაძრულ მობილურ სტომატოლოგიურ კაბინეტს, რომელშიც **სოფო ჯაფარიძე** ხალხს კბილებს აძრობდა! და თან 32 კბილით მორცხვად იღიმებოდა, როდესაც მის გვერდზე მდგარი სააკაშვილი ტელეკამერების წინ ქოთქოთებდა — ეს რა კარგი საშვილიშვილო საქმე კეთდებაო!

**ნამეტანი „საშვილიშვილო“ საქმე გაკეთდა — ბებიებისა და ბაბუების ტოლა ხალხი უკბილოდ დატოვეს და „ღიმილიანი საქართველო“ გადმოგვაბარეს.**

მოკლედ, ყველამ იცოდეს: **თუ სადმე, საქართველოს სოფლებში, ეს სოფო ჯაფარიძე გამოჩნდა და გაღიმებულმა მობილურ სამედიცინო ფურგონში მიგიპატიჟათ, ღმერთი არ გაგიწყრეთ და პირი არ გაუღოთ, თორემ ისევ უკბილოდ დაგტოვებენ!**

*გიორგი გიგაური*



# ღმერთი არ გაგიწყრეთ და პირი არ გაუღოთ!

## კვირგვინოსნები

**ხატია დეკანოიძე**
*„ევროოპტიმისტების“ დეპუტატი*



**შემიძლია, დავადასტურო:** პარტნიორებში გარკვეულ შეშფოთებას იწვევს, რომ **კანდიდატის სტატუსის საკითხზე ოპოზიცია არაერთგვაროვან გზავნილებს აჟღერებს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანი წითლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



სათქმელი იმდენი გვაქვს, მათ შორის, **ხატია დეკანოიძესთან** დაკავშირებითაც, შეიძლება, შემდეგ **არასდროს ჰქონდეთ სურვილი,** რამე ტიპის პოლიტიკური განცხადება გააკეთონ.

„პირველი არხი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სამნიძე** ცდილობს, გადაბარგდეს იმ ბანაკში, რომელიც ვითომდა საქართველოსთვის იბრძვის, როგორც ჩანს, **მესამე ძალის შექმნას ცდილობენ,** თუმცა, **ეს არავითარი მესამე ძალა არ არის.**

„პირველი არხი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**მაგრად ვიქნები მტრის ჯინაზე!** ამ ბრძოლიდან ფეხის მოცვლას არსად ვაპირებ, სადაც არ უნდა გადამსვან, 500 გისოსი მიმამაგრონ, ხომ იცით, რომ ეს პირობითია. **როგორც კი ხელისუფლება გამოიცვლება, რუსებს უნდა მიეცეთ 1 წელი ვადა, რომ გაყიდონ საქართველოში საკუთარი ბინები და ეს ბინები,** სახელმწიფოს დახმარებით, უნდა აყიდვინონ უცხოეთში მყოფ ქართველებს.

„ინტერპრესნიუსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი*



**მიხეილ სააკაშვილის** ინიციატივით, **ჩვენ ვიწყებთ ჰუმანიტარულ პროექტს,** რომელშიც ჩაერთო ძალიან ბევრი ექიმი. **ვაპირებთ საქართველოს ყველა რეგიონში ჩასვლას და შეძლებისდაგვარად სამედიცინო კუთხით დახმარების გაწევას.**

„ინტერპრესნიუსი“

# ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ!




***ამასწინებზე ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ თქვა — „ქართული ოცნება" საპარლამენტო არჩევნებში 2024 წელსაც გაიმარჯვებს და 2028 წელსაცო... კი მაგრამ, ეს როგორ და რანაირადო? — იკითხა მავანმა. რამდენიმე მათგანი უმალ დავამშვიდე — „ქართული ოცნება" საპარლამენტო არჩევნებში 2032 წელსაც გაიმარჯვებს და 2036 წელსაც, შემდეგ კი ხელისუფლებაში მოვა ახალი თაობა ახალი სახელწოდებით, რომელიც „ქართული ოცნების" წიაღიდან იქნება აღმოცენებული-მეთქი.***

რა მაძლევს საფუძველს, ვამტკიცო, რომ 2036 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს?

როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐ** და **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ** თავიანთი პატრონები ახალ პარტიას აქმნევინებენ. ცხადია, იკითხავთ — კი მაგრამ, **რა პერსპექტივა აქვთ პოლიტიკური თვალსაზრისით ამ გაქსუებულ მოღალატეებს?** ხომ ამთავითვე ცხადია — **რომელ პარტიაშიც უმადურები და მოღალატეები „იუმფროსებენ", წევრებადაც უმადურები და მოღალატეები უნდა შეიყარონ** — მაგალითად, **ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ,** რომელიც „ქართულმა ოცნებამ" გააომბუდსმენა, დაბანა, ჩაიცვა, დაახურა და ბეწვიც დაუბწკვინა... როგორც ავი ენები ამბობენ, შემდეგი იქნება **ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ,** რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა ადვოკატობა ანდო, შემდეგ კი დაითხოვა.

ახალი პარტიის სიას ასევე დაამშვენებენ **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲣᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ** (ეს თავის თავის სადაქალოსაც შეყრის, როგორც „ქართულ ოცნებაში" გააკეთა), **ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ** (ეს გედეონა ფოფხაძეს დაიდევნებს, რაკიღა ერთად „დამოღვაწეობენ" ალაკუტა-მალაკუტასავით) და სხვა „დაპაშოლებულები". მე თქვენ გეტყვით, ცოტანი არიან თუ?!

ისე, მე თუ მკითხავთ, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** და **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** საოცრად უხდებიან ერთმანეთს. **თუმცა, როგორც ცნობილია, ყველა პროდუქტს შეზავებისას არ გააჩნია სასარგებლო თვისებები. მეტიც, ხშირად ნაზავი შხამადაც კი გარდაიქმნება.** საზოგადოებამ კარგად იცის, რომ **ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ** სიტყვა **„კანალიზაციას"** დადებითი მნიშვნელობით იყენებს და, იმედია, ამ შედარებასაც ცუდად არ გაიგებს — **ზურაბიშვილი და გახარია ზუსტად ისე უხდებიან ერთმანეთს, როგორც შარდი და განავალი.** ვიცი, ცოტა რთული და უხერხული წარმოსადგენია, მაგრამ სხვა გზა არ არის — სიმართლე უნდა ითქვას. **განა თქვენ სხვანაირი ასოციაცია გაგიჩნდებათ, როცა მათ ერთად დაინახავთ ე.წ. პოლიტიკურ პოდიუმზე? შესაბამისად, მათი პარტიაც ისევე ჩაირეცხება 5-პროცენტიან ბარიერს ქვემოთ, როგორც ამ ორი „პროდუქტის" ნაზავი ჩაირეცხება ხოლმე წყლის ჩაშვებისას.**

იცით, მე ის კი არ მიკვირს, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ, ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲛ, ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲛ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲣᲒᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ** და მათნაირებმა პარტიის შექმნა და პარლამენტში მოხვედრა რომ მოინდომეს, **მე უფრო მათი პატრონებისა მიკვირს, ვინც ამ „ვოზდუხებში" ჯერ ფულს ხარჯავს, შემდეგ კი — დროსა და ენერგიას.** ვერ ვიგებ და ვერც ვერასდროს გავიგებ — **თუ ფული და ენერგია გაოხრია, ეგეთ დუპლეტებში რატომ უნდა ჩადო?** წადი, ფერმა ააშენე, ხალხი დაასაქმე, ძროხები მოამრავლე, წველადობა გაზარდე, ფაფა მოადუღე, ჭამე, ფისი ქენი, დაიძინე... **სულაც, მაწონი ჩაადედე, გაყიდე, ბიზნესი განავითარე.** აბა, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲡᲐ** და **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲖᲔ** „სტავკას" რომ დებ, ნამჯა არ გიყრია თავში?!

ეს უცხოელები კიდე ჩვენგან დეპოლარიზაციას და დეოლიგარქიზაციას რომ ითხოვენ, რატომ ვერ ამჩნევენ, რომ ჩვენ სხვა რაღაცები უფრო გვჭირდება? სად არის მათი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა? დღეს ჩვენ **დეკანალიზაცია** უფრო გვჭირდება, ვიდრე ზემოთ ნახსენები წვრილმანები. **ᲠᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲠᲝᲛ ᲤᲔᲙᲐᲚᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘ, ᲐᲠ ᲛᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ? ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲢᲐᲨᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲘᲙᲠᲐᲕᲗ!**

რამდენიმე დღის წინ **ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲛ** 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევა მოითხოვა. ამაზე ბევრი ვიცინე. **საინტერესოა, რამდენზე უნდა დაიწიოს ბარიერმა, რომ ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ გადეპუტატდეს?** 3 პროცენტამდე? 2-მდე? 1-მდე? 0,01-მდე? შანსი არ არი, სულაც 0,01-მდე რომ დასწიონ ბარიერი, ეკა ბესელია მაინც ვერ შევა პარლამენტში! ასევე არიან დანარჩენებიც — **გაიხსენეთ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სურათები არ გამოჩნდა მის ბილბორდებზე, ვერა და ვერ გავათრიეთ პრეზიდენტად.** რაც შეეხება „ვოზდუხა" გახარიას, სჯობს, თავის ძაღლს მიხედოს და „ტიკ-ტოკში" იჯღანაოს.

**დიახ, 5-პროცენტიანი ბარიერი არ შემცირდება და ეს იქნება საწინდარი იმისა, რომ ნაგავი, რომელიც ბლომად დაგროვდა ქართულ პოლიტიკაში, უთუოდ ჩაირეცხება.**

ეგ არი და გორის ციხე, **საიდანაც ჩვენ მოგესალმებით 2036 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთანავე!**

***ᲒᲔᲚᲐ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ***

**მე ის კი არ მიკვირს, სალომე ზურაბიშვილმა, გიორგი გახარიამ, ნინო ლომჯარიამ, ეკა ბესელიამ, თამარ ჩუგოშვილმა და მათნაირებმა პარტიის შექმნა და პარლამენტში მოხვედრა რომ მოინდომეს, მე უფრო მათი პატრონებისა მიკვირს, ვინც ამ „ვოზდუხებში" ჯერ ფულს ხარჯავს, შემდეგ კი — დროსა და ენერგიას!**







## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲠᲐᲢᲘ ᲘᲝᲜᲐᲗᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტარი*



ფაქტია, რომ **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** რადიკალური ოპოზიციის შემადგენელი ნაწილი გახდა და დღეს, **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ** ისე გაფორმდა.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ"

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ**
*„ლელო საქართველოსთვის" ლიდერი*



პრეზიდენტს შექმნილი აქვს პლაცდარმი იმისათვის, რომ **გადადგეს თანამდებობიდან და ოპოზიციურ ფლანგზე აქტიური საქმიანობა დაიწყოს.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"

**ᲚᲔᲚᲐ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ**
*ანალიტიკოსი*



**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ პროკურატურაში ასე მარტივად ვერ მიიყვანენ.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** პრეზიდენტის რეზიდენციას **ოპოზიციის ოფისად** გადააქცევს.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲘᲥᲘᲜᲐᲫᲔ**
*მოძრაობა „ტრიბუნის" თავმჯდომარე*



ახლა „ქართული ოცნების" დასამარცხებლად **ოპოზიციაში ახალი მოთამაშეა საჭირო** და აამოქმედა კიდეც **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** მორიგი პროექტი ახალი ლიდერის შესაქმნელად — **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ"

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტარი*



ცოტა გაურკვეველია, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მაინცდამაინც ქალ პოლიტიკოსებს რატომ ხვდება, რაღაც **გენდერული მიკერძოება გააჩნია** თუ რა არის.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ"

# პროფესორ ოთხმეზურის სიკვდილი



გიორგი ოთხმეზური 1954–2021

***უკანასკნელ ხანს სალომე ზურაბიშვილის საზღვარგარეთ ვოიაჟებსა და შეხვედრებს, რაც კანონსაწინააღმდეგო და აღვირახსნილ „ტრაშუნში“ გამოიხატება, საქართველოს პარლამენტში ასეთი შეფასებები მოჰყვა — თუ ზურაბიშვილი მთავრობის დაუკითხავად აღმა-დაღმა წანწალს და ქვეყნის იმიჯის დაზიანებას ძველებურად გააგრძელებს და ჭკუაზე არ მოვა, მაშინ, საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, შესაძლოა, საქართველოს გენერალური პროკურატურა მისი საქმიანობის კანონიერებით დაინტერესდეს და პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრასო!***

ადამიანის და, მითუმეტეს, ქალის დაჭერას ყოველთვის ვეწინააღმდეგებით, მაგრამ მიგვაჩნია და ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ქვეყნისა და ხალხის მოღალატე ან მიწაში უნდა იყოს, ან — ციხეში!

**სალომე ზურაბიშვილი რომ მოღალატეა, ეს ვიცით... რაც მან, მისმა კაგებეშნიკმა ქმარმა ჯანრი კაშიამ და გორბაჩოვის ძმაკაცმა, წყეულმა მერაბ მამარდაშვილმა ზვიად გამსახურდიას, საქართველოსა და ქართველებს ფრანგულ გაზეთ „ლე მონდში“ 1991 წელს დააბრალეს, აქაოდა, გამსახურდიამ ოსებს ერთ შვილზე მეტის გაჩენა აუკრძალაო!** — ესეც ვიცით... ისიც ცნობილია, რომ **არავითარი გენეტიკური კავშირი რეზიდენტ სალომესა და ილიას ტოლ და სწორ კაცს — ნიკო ნიკოლაძეს შორის არ არსებობს და სისხლით და ხორცით ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილი ზურაბიშვილი არ არის.**

მოკლედ, ჩვენ ბევრი რამ ვიცით და დაზუსტებით იმის თქმაც შეგვიძლია, რომ **სალომე ზურაბიშვილი საზღვარგარეთ უნებართვო ვოიაჟებს არამც და არამც არ მოიშლის. მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ აღიძრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე მადამ „პრეზიდენტის“ წინააღმდეგ.** თუ ეს მოხდა და „პრეზიდენტად“ სახელდებული რეზიდენტი ვირის აბანოს გზას გაუყენეს, მაშინ ასპროცენტიანი სიზუსტით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სხვა ყველა უბედურებასთან ერთად სალომე ზურაბიშვილს პროფესორ **გიორგი ოთხმეზურის** 16 წლის შვილის მკვლელის შეწყალების გამო აუცილებლად მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა!

მოგეხსენებათ, **ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და წყა-**

## სალომე ზურაბიშვილმა პროფესორ გიორგი ოთხმეზურის სიკვდილს ხელი მოაწერა... საინტერესოა, მოაწერინეს თუ არა მას ხელი საქართველოს სიკვდილზე?



## იმ დღიდან პროფესორი გიორგი ოთხმეზური პოლიტიკას გაერიდა და ჩაიკეტა. მან ვერ გადააბიჯა საკუთარ თავს, ყველაფერზე ხელი ვერ მოაწერა და სალომე ზურაბიშვილის მიერ 16 წლის დავით ოთხმეზურის მკვლელის შეწყალებას გადაჰყვა!

**როთმცოდნე, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის ვაჟი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური 2021 წლის 20 იანვარს 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.** მისი 16 წლის ვაჟი **დავით ოთხმეზური** თბილისში, პეკინის გამზირზე, 2004 წლის 27 ოქტომბერს მოკლეს. მკვლელი **ასლან ბეჟანიძე,** რომელიც **2016 წლის 26 მარტს** განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრეს და, საბოლოო ჯამში, სასჯელის ვადად 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, **2019 წლის 28 აგვისტოს,** მარიამობის დღესასწაულზე **სალომე ზურაბიშვილმა** 34 მსჯავრდებულთან ერთად შეიწყალა და ციხიდან გამოუშვა.

ცნობილია, რომ

## მკვლელმა ბეჟანიძემ იმავე დღესვე დატოვა საქართველო, სამაგიეროდ, საქართველოში დატოვა მამაშვილ გიორგი და დავით ოთხმეზურის საფლავი და საშინელი ეჭვი, რომელიც, რაც დრო გადის, სალომე ზურაბიშვილის სინდისსა თუ

## უსინდისობას ალესილი მახვილით უტევს – „ასლან ბეჟანიძის შეწყალებაში სალომე ზურაბიშვილმა ფული ხომ არ აიღო?“

პროფესორი **გიორგი ოთხმეზური,** რომელიც ჩემი ძვირფასი მასწავლებელი იყო და უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე საქართველოს ისტორიაში უმაღლესი შეფასება დამიწერა, **სალომე ზურაბიშვილმა 2019 წლის მარიამობა დღეს მოკლა!**

დასტურ, **პრეზიდენტი, რომელიც 16 წლის ბავშვის მკვლელს ციხიდან უშვებს, კლავს და ცოცხლად მარხავს მოკლულის ჭირისუფალს...** კარგად მახსოვს, როცა **რეზიდენტ სალომეს** მიერ **ასლან ბეჟანიძის** შეწყალების ამბავი მეხივით გავარდა და მთელ ქვეყანას მოედო, დავურეკე ბატონ **გიორგი ოთხმეზურს** და საგაზეთო ინტერვიუ ვთხოვე... **კაცი, რომელიც ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით მელაპარაკებოდა, იმ დღეს თავის თავს არ ეკუთვნოდა და სალომე ზურაბიშვილს სულ „გარეწარს“ ეძახდა... ამას ამბობდა პროფესორი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ გულმხურვალე მხარდამჭერი იყო და იმასაც კარგად აცნობიერებდა, რომ რეზიდენტი სალომე ეშმაკთან იყო წილნაყარი, მაგრამ ამის მიუხედავად საგაზეთო ინტერვიუზე მაინც უარი მითხრა, რადგან იეჭვა, რომ „გარეწარი“ სალომეს ლანძღვითა და მხილებით, შესაძლოა, დღევანდელი ხელისუფლების მტრების გული გაეხარებინა.**

ეს დაახლოებით ისეთივე გმირობა იყო, როგორიც 1983 წლის ნოემბერში **პროფესორ გიორგი ოთხმეზურის დედამ, აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ** ჩაიდინა, როცა ე.წ. **„თვითმფრინავის ბიჭების“** გათავისუფლების პეტიციას ხელი მოაწერა და მერე მავანთა მსგავსად, **თავისი ხელმოწერა უკან არ წაიღო,** ანუ არ გააწერა!

სამწუხაროდ, როცა საქართველოში უცოდველთა სისხლი იღვრებოდა და მშვიდობიანი მიტინგები იხვრიტებოდა, **მარიკა ლორთქიფანიძემ** ბევრ უსამართლობას დაუკრა კვერი და ხელი მართლაცდა ყველაფერზე მოაწერა, მაგრამ **„თვითმფრინავის ბიჭების“ შეწყალების პეტიციაზე ხელის არ გაწერას საქართველოს უახლესი ისტორია მას უფასებს!**

რაც შეეხება პროფესორ **გიორგი ოთხმეზურს,** იმ დღის შემდეგ მისთვის აღარ დამირეკავს!

**რომ დამერეკა, რა უნდა მეკითხა?**

იმ დღიდან **პროფესორი გიორგი ოთხმეზური** პოლიტიკას გაერიდა და ჩაიკეტა. მან ვერ გადააბიჯა საკუთარ თავს, ყველაფერზე ხელი ვერ მოაწერა და **სალომე ზურაბიშვილის მიერ 16 წლის დავით ოთხმეზურის მკვლელის შეწყალებას გადაჰყვა.**

**რეზიდენტი სალომე** იმის შემდეგ ცოცხლობს და ყველაფერზე ხელს აწერს!

**ზურაბიშვილმა პროფესორ გიორგი ოთხმეზურის სიკვდილს ხელი მოაწერა...**

საინტერესოა, მოაწერინეს თუ არა სალომე ზურაბიშვილს ხელი საქართველოს სიკვდილზე, რისთვისაც ის დიდი ხანია, იღვწის!

***დიტო ჩუბინიძე***

### კვირგვინოსნები

**ლევან ალექსიშვილი**
*სამართალმცოდნე*



თუკი პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არსებობდა საფუძველი ან პროკურატურაში, ან პარლამენტში, ანუ **თვალნათელი იყო დანაშაული და არ დაიწყო იმპიჩმენტის პროცედურა, ეს მისი თანამდებობიდან წასვლის შემდეგ საქმის აღძვრას მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს.** ამიტომ მათ სამართლებრივ რჩევას მივცემ — **თუკი ვაჟკაცები არიან, არ დაელოდონ სალომე ზურაბიშვილის ვადის ამოწურვას.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ჩემი აზრით, **პუტინი** ეჭვობს, რომ **ივანიშვილი** ორმაგ თამაშს ეწევა და **ზურაბიშვილი** მის დავალებებს ასრულებს. ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლისთვის **სალომე ზურაბიშვილის გარშემო „არანაცური“ პლატფორმის შექმნა** საუკეთესო ვარიანტია.

„კვირის პალიტრა“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მოვუწოდებ **ქალბატონ სალომეს,** ხვალ აიღეთ ბილეთი და **წადით, იარეთ, იარეთ,** როგორც დადიოდით ამათ და მტრის ჯინაზე.

„რეზონანსი“

# ხელი გავიქნიე ფეხი!

## ესპანური „მასიმო დუტის“ ქართულ ფილიალში ახალი გენერაციის „რევაზ შალვას ძე ერისთავები“ სხედან!

***ძალზედ იშვიათად გვინახავს და გაგვიგონია ქართული ენის იმგვარი შეურაცხყოფა, მშობლიური სახელმწიფო ენისადმი ისეთი უპატივცემულო და აგდებული დამოკიდებულება, როგორსაც რამდენიმე დღის წინათ თბილისის ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ცენტრში — საბურთალოს რაიონში მდებარე „სითი მოლში“ წავაწყდით.***




საქმე ის არის, რომ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მწარმოებელი ცნობილი ესპანური ბრენდის — „Massimo Dutti“-ის (**„მასიმო დუტი“**) მაღაზიაში, რომელიც **საბურთალოს „სითი მოლში“** მდებარეობს, კედელზე დიდის ამბით გამოუკრავთ დიდ ჩარჩოში ჩასმული ტექსტი — დაწერილი ქართული ასოებით, შედგენილი ქართული სიტყვებით, მაგრამ არაფრით დაკავშირებული ქართულ ენასთან.

აი, ეს ტექსტიც, მისი სტილისა და პუნქტუაციის სრული დაცვით, სტენოგრამული სიზუსტით:

> **„შესძინეთ ახალი სიცოცხლეგადაეცით ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იცვამთ, მათ, ვისაც სჭირდება,“**

კი, ამ მართლაც რომ მძიმე წინადადების ბოლოში მძიმეა დასმული, მაგრამ პუნქტუაციურ გაუგებრობას ვინ ჩივის, როცა **მასიმო დუტელთა** შედგენილ-გამოკრული ტექსტი წყობითაც და შინაარსითაც ერთი დიდი გაუგებრობაა!

ჰოდა, საკმაოდ დიდხანს ვიმტვრიეთ თავი იმის ამოხსნაზე, თუ რისი თქმა უნდა **„მასიმო დუტის“ მაღაზიის ხელმძღვანელობას,** ანუ, სადღეისოდ გავრცელებული ბარბარიზმი რომ გამოვიყენოთ, მენეჯმენტს?

რას ნიშნავს **„შესძინეთ ახალი სიცოცხლეგადაეცით ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იცვამთ, მათ, ვისაც სჭირდება,“?**

იქნებ **„სიცოცხლეგადაეცით“** რაიმე ახალი მოდელის ტანსაცმელს ჰქვია და იმის შეძენისაკენ მოგვიწოდებენ?

თუ ასეა, მაშინ უნდა ეწეროს — **„შეიძინეთ“**, მაგრამ **„შესძინეთ“** რომ წერია?

ჯერ **„სიცოცხლეგადაეცით ტანსაცმელი“** რა არის და მერე იმას რა უნდა **„შევძინოთ“?**

თავიდან ვცადეთ, წინადადება ასე დაგველაგებინა: **„შესძინეთ ახალი სიცოცხლე, გადაეცით ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იცვამთ, მათ, ვისაც სჭირდება“.** ესეც გვარიანი ჩიქორთული გამოვიდა, მაგრამ იმას — იმ მასიმო დუტელების მიჯღარკ-მოჯღარკულს ცოტათი მაინც სჯობს, რადგან რაღაც აზრის გამოტანა შეიძლება — **ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იცვამთ, იმათ გადაეცით, ვისაც სჭირდებაო!**

კი ბატონო, მაგრამ ეს **„შესძინეთ ახალი სიცოცხლე“** ისევ ართულებს საქმეს...

ვის ან რას უნდა შევძინოთ ახალი სიცოცხლე — ადამიანებს, ვისაც ტანსაცმელს გადავცემთ თუ ტანსაცმელს, რომელსაც ადამიანებს გადავცემთ?

მოკლედ, ესეც არ ვარგა!

აქეთ ვეცით, იქით ვეცით, გავწამდით, ოფლი მოვიდინეთ და როგორც ჟან-ფრანსუა შამპოლეონმა — ძველეგვიპტური იეროგლიფები, ჩვენც ასე გავშიფრეთ **მასიმო დუტელთა** მიერ ქართული ასოებისა და სიტყვების გამოყენებით დაწერილი, მაგრამ ყოვლად უცნაურ და გაუგებარ ენაზე შედგენილი ტექსტი.

ჰო, მასიმო დუტელების ტექსტი: **„შესძინეთ ახალი სიცოცხლეგადაეცით ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იცვამთ, მათ, ვისაც სჭირდება,“,** ქართულად ასე ითარგმნება: **„შესძინეთ ახალი სიცოცხლე ტანსაცმელს, რომელსაც აღარ იცვამთ და გადაეცით მათ, ვისაც სჭირდება!“**

**ევრიკა!**

**ახლა კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა!**

ე.ი. **მასიმო დუტელები** მოგვიწოდებენ — **თქვენთვის გა-**

**ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რომელმა მასიმო დუტელმა გააბახა ასე ქართული ენა ან რა რანგის თანამშრომელმა შეადგინა „ხელი გავიქნიე ფეხის“ მსგავსი და კიდევ უარესი ტექსტი, რომელიც დიდ ჩარჩოში ჩაუსვამთ და მაღაზიის კედელზე გამოუფენიათ, მაგრამ ქართული ენის, მშობლიური ენის, სახელმწიფო ენის ასეთ შეურაცხყოფაზე „მასიმო დუტის“ ქართული ფილიალის მენეჯმენტია პასუხისმგებელი!**

## ქვირგვინოსნები

**ბარიელ ხარხელაური**
*პოეტი*



ჩვენი გაერთიანება არავის აწყობს, **ყველას გათიშულები ვუნდივართ, არავის სიამოვნებს ჩვენი იდენტობის შენარჩუნება,** საამისოდ კი ჩვენ შევუქმენით ნოყიერი ნიადაგი. თბილისში როცა ჩამოვდივარ, ამაზრზენია ჩემთვის ქალაქში სიარული — **გავხედავ წარწერას და შინაარსს ვერ ვიგებ, არადა, ქართული ანბანითაა დაწერილი.** ჩემს ქვეყანაში რატომ მრცხვენია ქართულად საუბარი, **რომელი ენა შეედრება ჩემს ქართულს?** ქართულად მელაპარაკე.

„კვირის პალიტრა“

**არუნ ხათრი აჰლუვალია**
*ინდოეთში ხალხური მედიცინის ექსპერტი*



12 წელია, საქართველოში ვცხოვრობ და არავისთან არ შემქმნია ურთიერთობაში პრობლემა. **ქართულად რომ კარგად ვლაპარაკობ, ეს ძალიან მოსწონთ.** კუთხე არ არსებობს, ძმაკაცი რომ არ მყავდეს, **ინდოეთზე უკეთ საქართველოს ვიცნობ. მე საქართველოში ვაპირებ დაბერებას.**

„კვირის პალიტრა“

**ხათუნა ლაგაზიძე**
*პოლიტოლოგი*



ქვეყანაში არსებობს საკმარისი ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ **დიდი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნას,** რომელსაც შეიძლება **ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის** ეგიდი ჰქონდეს და ხელში დროშა აიღოს.

„პალიტრანიუსი“

**რეზი ქესიავა**
*„პირველი არხის“ ანალიტიკოსი*



საქართველოსთვის, პირველ რიგში, **მთავარი ამოცანაა შიდა სტაბილურობის, მშვიდობის შენარჩუნება** იმ ვითარებაში, რაც მსოფლიოში ხდება.

„პირველი არხი“

# მასიმო დუტის მაქსიმალური დუტიფრობა!!!

**მოუსადეგარ ტანსაცმელს ახალი სიცოცხლე შესძინეთ და იმათ გადაეცით, ვისაც სჭირდებაო!**

ანუ **ქველმოქმედება გასწიეთ და გაჭირვებულ ადამიანებს, რომლებსაც სამოსის შეძენა არ შეუძლიათ, თქვენი ძველი ტანსაცმელი აჩუქეთო!**

მოგეცათ ლხენა, მშვენიერი ინიციატივა და მოწოდებაა, მაგრამ ქართულად რომ დაეწერათ, ბევრი ხალხი გაიგებდა და საქველმოქმედო საქმეც უკეთესად გამოვიდოდა!

**მასიმო დუტელთა** ტექსტი კი რას ჰგავს?

სწორედ რომ **„ხელი გავიქნიე ფეხი“**-ა!

**ილია ჭავჭავაძის** მიერ 1861 წელს დაწერილ ცნობილ ესსეში — **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმნაზედა“** — რომელშიც იგი პოეტსა და მთარგმნელს **რევაზ ერისთავს** უნიჭო და უხარისხო თარგმანისათვის ამათრახებს, ვკითხულობთ:

> *„აქ რომ აზრის გაგება უნდოდეს კაცს, უნდა თავ-თავის ალაგს დასვას გადარეული რითმის გულისათვის სიტყვები. აი, აქ როგორი სიტყვის მოწყობილობაა, ანუ კონსტრუქცია: **„ხელი გავიქნიე ფეხი“.** იქნება ჩვენ **„შეშლილის“** მთარგმნელს ჰგონია, რომ **„ხელი და ფეხი გავიქნიე“** და **„ხელი გავიქნიე ფეხი“** ერთი და იგივე იყოს? არა, ერთნი არ არიან. ამ ორ მაგალითში, მართალია, ერთი და იგივე სიტყვებია, მაგრამ ის სიტყვები ერთგან თავის ალაგს არიან, მაგ. **„ფეხი და ხელი გავიქნიე“** და მეორეში კი არა, იმისთვისაც **„ფეხი და ხელი გავიქნიე“** მეც მესმის და თქვენც და **„ხელი გავიქნიე ფეხი“** არც თქვენ გესმით, არც მე“.*

როგორც ჩანს, **„მასიმო დუტის“ ქართულ ფილიალში** ახალი გენერაციის **„რევაზ შალვას ძე ერისთავები“** სხედან, რომლებსაც **„ხელი გავიქნიე ფეხი“** არამხოლოდ გაუნათლებლობითა და უვიცობით მოსდით, არამედ უფრო ქართული ენისადმი უპატივცემულობითა და აგდებული დამოკიდებულებით, **ვითომ ეს ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენა კი არ არის, როგორც ლადო ასათიანმა უწოდა, არამედ რაღაც უსარგებლო გადმონაშთი, რომელიც ნაგავში უნდა მოისროლო!**

ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რომელმა **მასიმო დუტელმა** გააბახა ასე ქართული ენა ან რა რანგის თანამშრომელმა შეადგინა **„ხელი გავიქნიე ფეხის“** მსგავსი და კიდევ უარესი ტექსტი, რომელიც **დიდ ჩარჩოში ჩაუსვამთ და მაღაზიის კედელზე გამოუფენიათ,** მაგრამ ქართული ენის, მშობლიური ენის, სახელმწიფო ენის ასეთ შეურაცხყოფაზე **„მასიმო დუტის“ ქართული ფილიალის მენეჯმენტია** პასუხისმგებელი!

დარწმუნებული ვართ, **„მასიმო დუტის“ ქართულ ფილიალში** ისე არავის დაასაქმებენ, სულ ცოტა, ერთი უცხო ენა — ინგლისური მაინც რომ არ იცოდეს, **მაგრამ საინტერესოა, სთხოვენ თუ არა დასაქმების მსურველს მშობლიური ენის — ქართულის ცოდნას?**

**როგორც ჩანს, არ სთხოვენ!**

წინააღმდეგ შემთხვევაში, **მასიმო დუტელები** ასეთ მაქსიმალურ უტიფრობასა თუ დუტიფრობას არ გამოამჟღავნებდნენ ქართული ენის მიმართ! არადა,

## ენა, რომელზეც რუსთველი, ბარათაშვილი და გალაკტიონი წერდნენ, მასიმო დუტელთა გასაუპატიურებელი არ არის!

პირდაპირ რომ ვთქვათ, **„მასიმო დუტის“ ქართულმა მენეჯმენტმა** თავზე არ უნდა **„გადაიმენეჯმენტოს“** და ქართულ ენას არ უნდა **„დაამენეჯმენტოს“!**

## ვფიქრობთ, სახელოვანი ესპანური ბრენდის – „მასიმო დუტის“ სათავო ოფისშიც კი სირცხვილით დაიწვებიან, თუ გაიგებენ, რომ საქართველოში მათი სახელით მშობლიურ ენასთან გამწყრალი და მშობლიური ენის ფეხებზე დამკიდებელი ხალხი მუშაობს!

**ვნახოთ, შერცხვება თუ არა „მასიმო დუტის“ ქართულ მენეჯმენტს?**

ამას მაშინ გავიგებთ, როცა ჩარჩოში ჩასმულ სამარცხვინო ტექსტს მაღაზიის კედლიდან მოაშორებენ და მის ადგილას გამართული ქართულით დაწერილ საბოდიშო განცხადებას გამოაკრავენ!

**საბოდიშო კი ქართველ საზოგადოებასთან ნამდვილად აქვთ, რადგან „მასიმო დუტის“ ძვირადღირებული ფეხსაცმლითა თუ იმის გარეშე, ქართულ ენას ფეხებით შედგნენ!**

***ჯაბა ხუბუა***




## „მასიმო დუტის“ ქართულმა მენეჯმენტმა თავზე არ უნდა „გადაიმენეჯმენტოს“ და ქართულ ენას არ უნდა „დაამენეჯმენტოს!“

## კვირგვინოსნები

**ზონდო მდინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



ვისურვებდი, **საქართველოში გაიზარდოს ახალგაზრდა პოლიტიკოსების ისეთი თაობა,** რომლებიც ჩასაფრებულის პოზიციებიდან კი არ შეუტევენ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოს ინტერესებით იმოქმედებენ.

„საერთო გაზეთი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**უფუნქციო პრეზიდენტი** თავად „ოცნებამ“ აქცია არწივად, ახლა ის უკვე ოპოზიციის ლიდერია. **ზურაბიშვილსა და „ოცნებას“ შორის ანგარიში 1:1-ია, მაგრამ ომი გრძელდება.** პრეზიდენტი პოზიციებს არ დათმობს და დაპირისპირება უფრო გაღრმავდება.

„რეზონანსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ნაცები და ქოცები — **ორივე რომ გაგიჟებს, ეს არის იმის პირდაპირი მანიშნებელი, რომ საღად აზროვნებ.** დარბაზში იჯდა ერთი კაცის **„კოჭლი იხვების ფერმა“,** რომელსაც მიმინოსავით გადაუფრინა თავზე **სალომემ** და დარჩა გამარჯვებული.

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



არ გამოვრიცხავ, **ამ ერთ წელიწადში არაერთი პოლიტიკოსი ვიხილოთ ციხეში.** „ქართულ ოცნებას“ ექნება მცდელობა, რომ **პრეზიდენტი შინაპატიმრობაში ამყოფოს** და ორბელიანების სასახლიდან არ გამოუშვას.

„ახალი თაობა“

# მო გელა ნდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**

# სამშობლო უნდა იცნობდეს თავის ბოზებს!





**ჰელენ ხოშტარიამ და ზურაბ ბასილეიმა შექმნეს საიტი mona.ge**, სადაც ათავსებენ იმ ადამიანთა ბიოგრაფიებს, რომლებსაც არ ყვარობენ ჰელენის მამა — **მეჭინჭე გოგია და ნაცმაცუნები.**

ჰოდა, უახლოეს ხანში **ვქმნი საიტს bozi.ge**, სადაც განთავსდება ყველა **პოლიტიკური ბოზის** ბიოგრაფია **(სოციალურ ბოზებთან საქმე არ მაქვს).**

☺

ჩვენც ვიცით და ამას **ხათუნა სამნიძე** ადასტურებს, რომ ბოლო დროს ე.წ. ოპოზიციონრები უფრო ინტენსიურად დაწანწალებენ ევროპაში, ამერიკაში და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს არწმუნებენ — საქართველოს ამ ხელისუფლების პირობებში კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს და **არ მოგვცეთო!** წარმოგიდგენიათ, **არ მოგვცეთო!** არადა, რა **მოსაშავებლები** თქვენა ხართ, თან არჩევნებამდე დარჩა ერთ წელიწადზე ნაკლები და ახლა ძალიან ბევრი აბეზარი მოინდომებს პარლამენტში შეძვრომას, ჩვენს ხარჯზე ბაირამობასა და მაჭნებლობას.

ბევრ პერსპექტიულ სკამის მაძიებელს მკითხველი კარგად იცნობს, მაგრამ ამ მოკლე დროში ახლებიც გამოჩნდებიან ჯაშუშების, აგენტების, ავანტიურისტებისა და ჩათლახების სექტიდან. ასე რომ, **სამშობლო უნდა იცნობდეს თავის ბოზებს და მათ ფეხქვეშ მიწა გაავარვარონ!**

# ლელოელები და ლილოელები



**ქურქუმალ ვაითი** წუხს — ხან ჩემი კბილები არ მოსწონთ, ხან **პალტო,** ხან სათვალე და ეს ყველაფერი პირწმინდა რუსული პროპაგანდა არისო... სწორად შენიშნა **ბონდო მძინარაშვილმა** — პირიქით, ძალიანაც მოსწონთ და შურთ კიდევაცო!

დიახ, შურთ, რომ **ქურქუმალს** ბათუმივით ქათქათა კბილები აქვს, **ნოდარ მელაძესავით** შავი სათვალით დადის და აქეთ-იქიდამ დაცვა დაჰყვება... **პალტო? ჰმ, განა რამე დაეწუნება** კეზერას შერჩეულ **პალტოს?** არც არაფერი, სხვებს რომ არ ღირსებიათ, ამიტომაც შურთ!

კიდე რა ოხრობა შურთ? სიარულის მანერა — ცოტა მოცანცარო და ენერგიული. თქვენ კი იცინით, მაგრამ, განა ჩარლი ჩაპლინიც ეგრე არ დადიოდა?

მერე... მიხვრა-მოხვრა? ელასტიკურობა? ჟესტიკულაცია? ხმის დახვეწილი ტემბრი? ელეგანტურობა? შემართება? თავაწეულობა? მახვილგონივრულობა? უხვსიტყვაობა? წარბთა თამაში? ხაზები შუბლზე? განუმეორებელი ღიმილი?

**ეეეჰ... ვის აქვს კიდევ ქართულ სინამდვილეში ამდენი დადებითი თვისობრიობა?**

☺

ამას წინებზე **ვალოდია პუტინს** უთქვამს — **ქართველ ქურქუმალს** მიხედეთ, ნამეტნავად აბრჭყვიალდა, მეშინია, კრემლის თავზე თავისი **პალტო** არ ააფრიალოსო. სტალინმაც ეგრე დაიწყო და ქე ნახეთ, შემდგომ წამოგვიჯდა პირდაპირ კრემლშიო.

როგორც ჩანს, პუტინი დაეყრდნო მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს — ლელოელმა **მამუკა ხაზარაძემაც** ეგრე დაიწყო თავისი კომკავშირული კარიერა — 1989 წელს **მერაბ კოსტავასათვის** ერთადერთი **პალტოს** შემოხევითო.

ჰოდა, მიესივნენ პუტინის მონები **ქურქუმალს,** „დაჟე“ სურათების გადაღებაც კი დაუწყეს, როცა **ლილოში** იმყოფებოდა სავაჭროდ, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე პალტოს საყიდლად. იქნებ, ვინმე ღვთისნიერმა, თუნდაც **ხაზარაძის ლელოელმა, ლილოდან** დაბრუნებულს მომავალში ერთ-ერთი პალტო მაინც შემოახიოს **მამუკა ხაზარაძესავით** პოლიტიკური კარიერის გასაგრძელებლად.

# მალე, ალბათ, კვერცხებსაც დადებენ!




გუშინ იყო თუ გუშინწინ, ე.წ. „მთავარ არხზე“ (ეგ ისეა მთავარი, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორის დეიდაშვილი მამის მხრიდან) სიუჟეტი გავიდა — მიდი და მოვდიოდი!

☺

როგორც **გვარამას „ბუტკა“** აცხადებს, აშშ-ის დაზვერვამ გამოაქვეყნა დოკუმენტი იმ 100 ქვეყანაზე, სადაც რუსული პროპაგანდა წარმატებით მუშაობს.

იმავე აშშ-ის დაზვერვამ ქვეყნები არ დაასახელა, მაგრამ გვარამას „ბუტკის“ თანამშრომლებმა მაინც დაასკვნეს — **იმ 100 ქვეყანას შორის საქართველო აუცილებლად არისო.** განა იქნებაო? განა სავარაუდოდო? განა ვფიქრობთო? **არა, პირდაპირ ხელი დაგვადეს — მაგათში ჩვენი ქვეყანაც იგულისხმებაო.**

იცით, საიდან დაასკვნეს, რომ მაგათში საქართველოც იგულისხმება? საიდან და... **თურმე, 11 წლის განმავლობაში „ქართულ ოცნებას“ გამოუვლენია 0 ჯაშუში.**

დიახ, ერთი, ორი, სამი და ოთხი კი არა, გამოუვლენია **ნული.**

აი, მიშა სააკაშვილი ჯაშუშებს რომ ავლენდა და მერე ციხეში ალპობდა, თქვენ ეგ უნდა გენახათ. თუმცა, განა არ ნახეთ?

**ალბათ, გახსოვთ, ფოტოგრაფები რომ დაიჭირა ჯაშუშურ საქმეზე და ვანო მერაბიშვილმა აღიარებითი ჩვენებები დააწერინა — ჩვენ, ფოტოგრაფები კაგებესთან ვთანამშრომლობდითო. როცა ერთი ამბავი ავტეხეთ — თქვე დუპლეტებო, კაგებე აღარ არსებობს, ფეხებზე უნდა დაგეწერათო, მერე ჩაასწორეს.**

ეგ კი არა, **მიშამ თავისი მფრინავებიც დაიჭირა ჯაშუშობის ბრალდებით და ციხეში ალპობდა.** ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი 2012-ის შემდეგ გამოუშვეს. ეგეც მაგარი მაზალო საქმე იყო.

ახლა მეორე საკითხი: **გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში არის ოფიციალურად აღიარებული 195 ქვეყანა, არაოფიციალურად — 200-ზე ცოტა მეტი... თუ აქედან 100 ქვეყანაში რუსული პროპაგანდა წარმატებით მუშაობს, მაშინ აშშ-ზე, ევროკავშირი, ნატო და სხვები რა ჩემ ფეხებს აკეთებენ?**

**აჰა, მძათ, რუსეთი ყოფილა, რაც ყოფილა და აქეთ რანაირად გვაკალებენ, მეორე ფრონტი გაუხსენითო?** ვის უნდა გავუხსნათ მეორე ფრონტი, იმ ქვეყანას, რომლის პროპაგანდაც ნახევარ მსოფლიოზე მეტს ფარავს?

☺

**„ქართულმა ოცნებამ“ ნული ჯაშუში გამოავლინაო.**

არაფერიც!

**11 წლის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ იმდენი ჯაშუში და მავნებელი გამოავლინა, ვიდრე კი ვითვლით. საქართველოში რომ წელიწადში ცხრაჯერ ხდება საფუძვლიანი ლუსტრაცია, განა ეს გამოვლენა არ არის? უბრალოდ, „ქართული ოცნება“ არ იჭერს, მაგათთვის ლუკმა პურიც კი ენანება.**

რომ დაიჭიროს, პურიც უნდა აჭამოს, წყალიც დაალევინოს, ქვეშაგებიც დაუგოს, „კრაოტზეც“ დააწვინოს... **აგე, 9-წლიანი სამაგალითო შემოქმედი, ბობოლა ჯაშუში დაიჭირა და როგორც იძახიან, მაგისი ქვეშაფსიობა წელიწადში 200 ათასი ლარი გვიჯდება. 200 ათას ლარად რამდენ ფერმას ავაშენებდით, რამდენ ძროხას გაბალახებდით და მოვწველიდით?**

არა, ეყარნენ ჯაშუშები გარეთ, მაგათთვის დღევანდელი ციხე ბაირამობაა!

☺

მოკლედ... **ძაან მაგარ დასკვნებს დებენ გვარამას „ბუტკაში“, მტკიცებულებები და ფაქტები არ აქვთ, მაგრამ მაინც დებენ!** მალე, ალბათ, კვერცხებსაც დადებენ!!!



ვინა თქვა, „ბითლზები“ დაიშალა და ჯონ ლენონი კიდე მოკვდაო?

არა, რააა... **მურმანა დუმბაძე რო გამხმარი იდლიაში გიტარას ამაიღებს, თვალებ დახუჭამს, ტუჩებ მოპრუწამს, ჟურებ ნაზად გაუშრიალებს, ფეხ ფეხზე გადაიდებს და ჩააჯიმჯიმჯალარებს, ერთ რამეთ ღირს.**

რა „ბითლზები“? რომელი „აეროსმიტი“? სადაური ლუი ამსტრონგი, კრის ნორმანი, რომინა პაუერი და ადრიანო ჩელენტანო?

**აბა, გამხმარი იდლიით რო აგრე კლასიკურად უკრამს, გაუმხმარი იდლიით რაღას იზამდა?**

**ჰა, ამიხსენით, მსოფლიო დონის რომელიმე როკვარსკვლავი აგრე გამხმარი იდლიით უკრავდა?** ოდეს ყოფილა, ადამიანს ნაბარი იდლიაში ძირმაგარა გამოსულოდეს და თან ემღეროს? ეგეთი ერთი პაატა ბურჭულაძე ვიცი და მეორე კიდე ეს არი.

☺

ისე კი, **მურმან, შე ცეტო, როგორი მუსიკოსიც ხარ, ივივენაირი პოლიტიკოსი ხარ, გიტრიკვრაში მამუკა ხაზარაძეც კი გჯობია!**

# გიტრიმკვრელი

# წატი, თქვენი!



ამ შაბათს **შავ-ბნელნოდარას** დედოფლისწყაროდან რეპორტაჟი აღარ ჰქონია, არც „კაკაშას“ მიჩტომია მისი გაგზავნილი გაჩეჩილი დედაკაცი... რა ხდება, ხომ მშვიდობა აქვთ? არადა, აშკარად ჩაუვარდა ეს შაბათი... ალბათ ჭუტლექსამაც უსაყვედურა — **„კაკაშაზე“ რატომ არაფერი გვქონდაო?**

შავ-ბნელნოდარა თავს გააქიცინებდა — **სხვა უფრო მნიშვნელოვანი ექსკლლლუუუზივები გვქონდაო!**

ჭუტლექსაც გააქიცინებდა თავსა — **ჰო, მაგრამ მოსახლეობა „კაკაშაზე“ ელოდებოდა სერიალსო.**

შავ-ბნელნოდარა თვალებს გადაატრიალებდა — **იმ შაბათს აუცილებლად გვექნებაო.**

☺

გამოდის, **ჩინურკედებიანი დედაკაცი** ამ კვირას ისევ გამოჩნდება დედოფლისწყაროს ბაზართან და **ბურბენაი ბიჭ** ისევ ჩამაართმევს ექსკლლლუუუზიურ ინტერვიუს. **„კაკაშას“ ჯერ შორიდან გადაუღებს, მერე მანქანასთან მიუხტება და სეტყვასავით დააყრის — ეს მანქანა საიდანო? ვინ გიყიდაო? ირაკლი ღარიბაშვილმა გიყიდაო? ირაკლი ღარიბაშვილმა გაგამდიდრაო? ამ კვირაში კიდე ვისა სცემეო? აბა, მანქანის „ბაგაჟნიკი“ გააღე, „დუბინკები“ კომპლექტივით გიწყვიაო? შენზე ამბობენ, მანქანით „დუბინკები“ დააქვსო...**

**„კაკაშას“** სახეზე ზიზღი აღებეჭდება და ჩაილაპარაკებს — **წატი, შენი!**

ღმერთო... გონებაჩლუნგებისა და ჩლუნგობის მეტი რა მინახავს, მაგრამ შავ-ბნელი ნოდარა როა, ეგეთი ბევრი არ მახსენდება! ერთი რა მაგის პასუხია და... **როცა ადამიანი ლაპარაკობს, მარცხენა ფეხი ეგრე რატომ უნდა ედგას და ხელებს კიდე ეგრე რატომ უნდა პარჭუავდეს?**

# დუპლეტაური





**პაატა მანჯგალაძემ** ბრძანა — **განათლების სამინისტრო** საჯარო სკოლებში დირექტორებად რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ ადამიანებს ნიშნავსო.

**არა, ამის მოფიქრება ხომ გინდა?**

არც ფაქტი, არც მტკიცებულება, არც არაფერი... რა რუსეთი, რომელი ჯაკარტა, რაის კილიმანჯარო? წუხელ თავი ბალიშზე რომ დადო, კარგახანს ვერ დაიძინა და იმაზე ფიქრობდა, **ხვალ ქართველ ხალხს რა სისულელე ვუთხრაო და აჰა, გვითხრა კიდევაც.** თან დასძინა, „ქართული ოცნება“ დირექტორებად რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილ ადამიანებს რომ ნიშნავს, ეს არ გახლავთ კარგი საქმეო. **ასე იმიტომ დასძინა, რომ სისულელისათვის უფრო მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა.**

☺

არა, გასაგებია, გინდა **პაატა მანჯგალაძეს** უთქვამს რამე, გინდა — ანა წითლიძეს, მაგრამ ასეთი სისულელის მიზანი ერთია — **არ დაიჯერებს ამანო? დაიჯერებს იმანო** — დუპლეტებს რა დალევს დუნიაზე?!

მოკლედ, **ამას ჰგონია, თუ ყველა საკითხში რუსეთსა და პუტინს შეურევს, ძაან ჭკვიანური მოღვაწეობა გამოუვა...** აშკარად ვერ გრძნობს, რა იდიოტური გამომეტყველება აქვს ამ დროს.

☺

ისე კი, ისიც ნახეთ, **როგორი სახე მიიღო „ჭუტლექსვიზიის“ კორესპონდენტმა** რუსეთის ხსენებაზე!

# მძინარე ჯო და მძინარე ბაბო

**სალომე ბაბომ** „პადელნიკები“ თავისთან დაიბარა!

☺





ჩამოსხდნენ. ერთმანეთი ცერად შეათვალიერეს. ერთმანეთს ცალყბად გაუღიმეს. მდივან-მემანქანეებმა ჩაი, ყავა და ვისკი შემოიტანეს. ვინც რა ისურვა, დაუსხეს. წრუპეს. ყლურწეს.

ბაბომ — **საშინაო პოლიტიკაზე ნუ ვილაპარაკებთ, ყველაფერი ისედაც გარკვეულია, ეგენი რუსები არიანო!**

სამნიძიანთ დედაკაცმა — **ერთი რა მაგის პასუხია და... ჭორები დადის, რომ შენ, ლომჯარია და გახარია საარჩევნოდ ერთიანდებითო!**

ბაბომ — **მაგაზე ლაპარაკი ჯერ არ ღირს, თუმცა, ინტერესი არისო!**

რაო-რაო? ინტერესი არისო?

**გამოდის, ოკეანის გაღმა მძინარე ჯო იბრძოლებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ოკეანის გამოღმა კიდე მძინარე ბაბო ეცდება პარლამენტში დაბრუნებას.**

როგორც იცით, **ბაბო** ერთხელ „ოცნებამ“ უკვე შეაბრძანა პარლამენტში, შემდეგ გააპრეზიდენტა და აშკარაა, მადა გაუღვიძა — ისევ აქ უნდა ტრიალი.

არადა, რეიტინგი მაგათ არ აოხრიათ, სახელი მაგათ არა აქვთ და ავტორიტეტი მაგათ არ გააჩნიათ.

☺

ჰო, კიდევ:

ბაბომ — **მოდით, დღეს მარტო კანდიდატის სტატუსზე ვილაპარაკოთო!**

წითლიძიანთ დედაკაცმა — **მანდ სალაპარაკო რაღაა, თუ მოგვცეს, დეგვერხა, ყველანი უნდა გავიქცეთო!**

დეკანოიძიანთ დედაკაცმა — **ბიძინა ივანიშვილი მაგას ვერ ეღირსებაო!**

სამნიძიანთ დედაკაცმა — **მართლა რომ მოგვცენ, რა გვეშველებაო?**

ბაბომ — **ნუ, ჩვენ მაინც უნდა გავთხაროთო!**

სამადაანთ დედაკაცმა — **„ქართულ ოცნებაში“ ყველანი დავარცხნილ-დაბანილები არიან და შეიძლება, კანდიდატის სტატუსი მართლაც მოგვცენ, აქეთ მხარეს კი ერთი ბადრი ჯაფარიძე იბანდაო!**

ბაბომ — **რათა, ჩვენ ხო ვიბანთ, თმასაც ვიღებამთ და ფენსაცა ვხმარობთო?**

სამადაანთ დედაკაცმა — **მე კაცებზე ვლაპარაკობო!**

ბაბომ — **მაშ(ვ)ინ, ხო-ვო!**

☺

ილაპარაკეს, ილაპარაკეს და მაინც **დაძინებულები დარჩნენ.** ახლა მაგათ ქვეყნის სასიკეთოდ რაღა გააღვიძებთ... მოკლედ, მართლაც შავ დღეში ვყოფილვართ — იქით — **„მძინარე ჯო“** და აქეთ — **„მძინარე ბაბო!“.**

# ტანკლი-ტუნკლი-ტანკლები



**გიორგი, იგივე ჭიჭე, იგივე ჭიჭიკო ვაშაძე აშშ-ში**

გასულ კვირას **ამხანაგი ჭიჭიკო** თავის მწყერებთან ერთად კვლავ გაეშურა ვაშინგტონებში და ეგრევე გამართა შეხვედრები არა მხოლოდ სენატსა და კონგრესში, ცალკეულ ცენტრალურ კომიტეტებშიც.

აგერ, როგორც თავად **ჭიჭიკო ყვარყვარიჩი** „ფეისბუკით“ იტყობინება, ერთერთ ფოტოზე თქვენ ხედავთ უმაღლესი დონის შეხვედრას ვაშინგტონში, კონგრესის საგარეო კომიტეტში, სადაც მიმდინარეობს გაცხარებული და დაუნდობელი დისკუსია საქართველოსა და ჩვენი რეგიონის სვე-ბედზე.

☺

**ჭიჭიკო ყვარყვარიჩი** უმტკიცებს ფოტოზე გამოსახულ **აშუშუელებს,** საქართველო აუცილებლად იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, ახლა გაუტანლობის დრო არ არისო... არადა, **ამ ქვეყანაში ვიღაცებმა შეამჩნიეს, რომე... ჭიჭიკო ყვარყვარიჩს თითი უდევს არა საქართველოზე, არამედ ტაკლა-მაკანის უდაბნოზე.** ეს უდაბნო არის ცენტრალურ აზიაში, ჩინეთის ტერიტორიაზე, სინძიანის პროვინციაში და ესაზღვრება კუნლუნის მთები. ზედაპირულად თუ შევხედავთ და სიტუაციას არ ჩავუღრმავდებით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ **ტანკლა-მაკანის უდაბნოსა** და კუნლუნის მთებს არანაირი კავშირი არ აქვს საქართველოსთან. არადა, საფუძვლიანი კვლევის შედეგად დავადგინე, რომ ბოლო დროს ჩვენში მოარული ფრაზა **„ტანკლი-ტუნკლი-ტანკლები“** მომდინარეობს სწორედ **ტანკლა-მაკანის** უდაბნოდან. **ეს ფრაზა დაიბადა კენლუნის მთებში, შემდეგ მოედო მთელ უდაბნოს და ბოლოს შემოაღწია საქართველოშიც. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ იქ პაჭანიკებთან ერთად ქართველური ტომებიც უნდა ცხოვრობდნენ.**

და კიდევ: ბოლო დროს ძალზედ გახშირდა საუბრები აბრეშუმის გზაზე, წყალქვეშა კაბელსა და ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ტრასაზე, რაც, ბუნებრივია, საქართველოს ნების გარეშე ვერ განხორციელდება. აი, აქ იჩენს თავს **ტანკლა-მაკანის უდაბნოს** უმნიშვნელოვანესობა და ჩვენებური ტანკლი-ტუნკლი-ტანკლები-ს ღირსშესანიშნავობანი.

მესამე და მთავარი: **აბა, კენლუნის მთებიდან რომ გამოქანდებიან ნაცები, შმაცები, გნაცები და მათთან გათანაბრებული პირები, ისე მთაწმინდიდან გამოქანდებიან?**

# ძველებურად ურიკინებს თუ ახლებურად მიერეკება?



**სახალხო დამცველის ეგიდით შეკრებილ ექიმთა ჯგუფს ბატონი მიხა კიდევ ერთხელ შეუმოწმებია და დაუდგენია:**

**1.** ელექტრომიოგრაფიულად კვლავაც ვლინდება სენსორული აქსონური პოლინეიროპათიის სურათი;
**2.** აღარ ხედავს კოშმარულ სიზმრებს;
**3.** თითქმის სულ წევს, კითხვებს უხალისოდ პასუხობს;
**4.** აქილევსის ორმხრივ არ იწვევა;
**5.** გაცხოველებულია ხორთუმის რეფლექსი;
**6.** მუცლის კანის რეფლექსები არ იწვევა;
**7.** ცხვირთითის ტესტს დისმეტრიით ასრულებს ორმხრივ;
**8.** რომბერგის პოზაში არამყარია;
**9.** ტანდემური სიარული შეუძლებელია;
**10.** გაუარესებულია ჩხვლეტის შეგრძნება;
**11.** ვლინდება კანის დაქვეითებული ტურგორი.

☺

თქვენი არ ვიცი და... **მე აქედან მხოლოდ ის გავიგე, რომ ბატონ მიხას არ უმუშავებს სენსორები, აღარ ესიზმრება „ქართული ოცნების“ ლიდერები, ვეღარ გრძნობს საპუტინე კვერცხებში მახათით ჩხვლეტას და რაც მთავარია, ცხვირში თითების შეყოფას ასრულებს ორმხრივ, ანუ ორივე ნესტოში ერთდროულად.**

☺

**გაცხოველებული ხორთუმის რეფლექსი, რომბერგის პოზა, ტანდემური სიარული, აქილევსის იწვევა, რეფლექსების არ იწვევა და ტურგორი რა არი, ვერ გავიგე.**

კარგი, დავუშვათ, ეს სამედიცინო ტერმინებია და უბრალო მოკვდავთ არ ძალგვიძს, ასე იოლად ამოვხსნათ, მაგრამ **როცა მასებისთვის ასეთ ინფორმაციას ავრცელებ, მდუმარებაში მყოფო სახალხო დამცველო, რაღაცნაირად ახსნა-განმარტებებიც ხომ უნდა მოაყოლო?**

ბოლო-ბოლო ის მაინც ხომ უნდა გაგვეგო, **ძველებურად ურიკინებს თუ ახლებურად მიერეკება?**

# „ალ კუპონე“ გოცირიძეს გამოძიება აქეთ უნდა უსვამდეს შეკითხვებს, როგორ იყიდეს კუპონებით დოლარები და მერე ეს დოლარები მანქანების საბარგულებით სად გაიტანეს?“

## ელიზბარ ჯაველიძე:

# ძალიან შორს ვართ იმისგან, რომ ისეთი ნაძირალა, როგორიც რომან გოცირიძეა, აკადემიკოსი გავხადოთ!





***უკანასკნელ ხანს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას „ალ კუპონედ“ წოდებულმა საააკაშვილის „ზონტიკიანმა ქათამმა“ რომან გოცირიძემაც შეუტია და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს ოფიციალური განცხადებით მიმართა — აკადემიის საქმიანობა შესასწავლიაო! უფშვიტინე საააკაშვილისა და არჩევნების ცნობილი გამყალბებლის, აფერისტ ვანო კილურაძის შემდეგ, რომელიც წლების წინათ მებაჟეებმა საზღვარზე ნიფხავში დამალული დოლარებით გამოიჭირეს, რომან გოცირიძე უკვე მესამე ქვეწარმავალია, რომელიც მეცნიერებათა აკადემიას ერჩის. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე აცხადებს, რომ „ალ კუპონე“ გოცირიძე, რომელიც ავტომატით ხელში დარბოდა, დასაჭერია:***

— არაერთგზის მითქვამს, დამიწერია და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ ოპოზიცია არ გვყავს, ე.წ. რადიკალური ოპოზიციის სახით, პარლამენტში სხედან საქართველოს მტრები, რომლებიც ჩვენი ხალხის, ეროვნული ცნობიერებისა და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ იბრძვიან და ამაში ფულს ღებულობენ!

**ახლა ეს ნაცები ვითომ გაიყვნენ, მაგრამ სინამდვილეში ისევ ერთად არიან და ხელისუფლებაში მობრუნებას ლამობენ, რათა ქვეყანაში ისევ სისხლის გუბეები დააყენონ.** საააკაშვილი არც მალავს, რომ, თუ მობრუნდა, ტერორსა და ქონებების წართმევას ისევ გააგრძელებს... სწორედ ასე ძალადობრივი გზით გეგმავდა ის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასაც. ამის შესახებ თავის წიგნში დაწერა კიდეც: *ამ ბებრებისთვის, რომლებიც რატომღაც ვაკეში ცხოვრობენ, მეცნიერებათა აკადემია უნდა გამეუქმებინა, მაგრამ ივანიშვილმა მითხრა — გაანებე თავი, მე დავაფინანსებ მეცნიერებათა აკადემიასო! — და მეც შევეშვიო!* რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ მართლაც ბატონი ბიძინა გვაფინანსებდა... **მოკლედ, ეს უზნეო და უწიგნური კაცი — საააკაშვილი ამაყობდა და ამაყობს იმით, რომ მეცნიერებათა აკადემია უნდა გაეუქმებინა. საუბედუროდ, ეს ტენდენცია დღეს საქართველოში ისევ ცოცხლობს და კვლავ არიან ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით შეასრულებენ ამ მავნე დირექტივას.** მათ შორის გამოვარჩევ **სამარცხვინო „ალ კუპონეს“,** ანუ იმავე **რომან გოცირიძეს,** რომელიც პირდაპირ გვიჩხიკინებს...

**— „ალ კუპონე“ გოცირიძეს მეცნიერებათა აკადემიისგან რა უნდა?**

— როგორც მეუბნებიან, ამ საცოდავ არსებას საკანდიდატო დისერტაცია ჰქონია დაცული... არადა, ვაი, იმ დისერტაციას, რომელიც გოცირიძემ დაწერა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ უჩხიკინებს მეცნიერებათა აკადემიას, როგორც გვამცნეს, თურმე, **რომან გოცირიძეს** სურვილი აქვს, რომ აკადემიკოსი გახდეს!

> **„თაღლითი რომან გოცირიძე, რომელიც ცხონებულ ზვიად გამსახურდიას სისხლს უშრობდა, მოსკოვში შევარდნაძესთან დაეთრეოდა და საქართველოს დამაქცევრებთან - კიტოვანთან და მის ბანდასთან ერთად იარაღით ხელში თბილისის ზღვაზე იდგა!“**




**— მერედა, რომან გოცირიძეს რამე სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, გამოკვლევა დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს?**

— ჩემ გარშემო, მეცნიერებათა აკადემიაში არიან ადამიანები, რომლებიც მას კარგად იცნობენ და სწორედ მათგან ვიცი, რომ ეს მედროვე და ავანტიურისტი არაკაცი, რომელიც ყველა სიბინძურესა და სისხლშია ამოთხვრილი, მეცნიერებისგან ძალიან შორს დგას. აი, ეს გარეწარი გამოვიდა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე და შესაბამის ორგანოებს განცხადებით მიმართა, თითქოს მეცნიერებათა აკადემია არაფერს აკეთებს, თითქოს ჩვენში სამეცნიერო მუშაობა ჩამკვდარია, ახალი წიგნები და გამოკვლევები არ იბეჭდება და ა.შ. **მოვიდეს ეს ნაძირალა „ალ კუპონე“ და ნახოს, რამდენი წიგნი გვაქვს გამოშვებული ქართულად თუ ინგლისურად.** მარტო ოცამდე მონოგრაფია მე მაქვს დაბეჭდილი თურქული და ქართული ლიტერატურის შესახებ... აღარაფერს ვამბობ პუბლიცისტურ წერილებზე, სადაც 2007 წელს ვიწინასწარმეტყველე ის, რაც დღეს ხდება.

მოვიდეს და ნახავს უამრავ ახლად გამოცემულ წიგნს, რომლითაც სავსეა ჩვენი ბიბლიოთეკა. იცით, რა მაკვირვებს? **ეს ნაძირალა და თაღლითი რომან გოცირიძე, რომელიც ცხონებულ ზვიად გამსახურდიას უზენაეს საბჭოში სისხლს უშრობდა, პაატა კოლუაშვილის თქმით, მოსკოვში, შევარდნაძესთან დაეთრეოდა და საქართველოს დამაქცევრებთან — კიტოვანთან და მის ბანდასთან ერთად იარაღით ხელში თბილისის ზღვაზე იდგა!** მაინტერესებს, ეს გარეწარი მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის შესამოწმებლად ხმას როგორ იღებს?

**— ეს მართლაცდა საკითხავია!**

— **„ალ კუპონე“ გოცირიძეს** გამოძიება აქეთ უნდა უსვამდეს შეკითხვებს, როგორ იყიდეს კუპონებით დოლარები მაშინ, როცა მათი თანაფარდობა ერთი ერთზე იყო და მერე ეს დოლარები მანქანების საბარგულებით საქართველოდან სად გაიტანეს? **ეს ყველაფერი გამოსაძიებელია ისევე, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის მკვლელობა.** რომან გოცირიძე ავტომატით ხელში დარბოდა და ებრძოდა ქართველ ხალხს... აი, ასეთი ხალხი რომ ზის პარლამენტში, იმიტომაც მიდის ჩვენი საქმე კარგად.

ზოგიერთი ამბობს — **რომან გოცირიძისთანა გარეწრებს ყურადღება საერთოდ არ უნდა მივაქციოთო!** მე ასე არ ვფიქრობ... **მიმაჩნია, რომ „ალ კუპონე“ გოცირიძე და მისი მსგავსი გარეწრები, რომლებმაც ქვეყანას ბევრი რამ ავნეს და ხალხი გაატყავეს, დასაჭერები არიან!**

1995 წელს, როცა შევარდნაძემ ჩვენი ბლოკი — „კონსტანტინე გამსახურდია — 21-ე საუკუნე“ პარლამენტში არ შეუშვა და არჩევნები ტოტალურად გაგვიყალბა, მაშინ ვთქვი — ერთად დავდგეთ და ამ ხელისუფლებას თავის ხვედრს მივუზღავთ-მეთქი! ეს ვთქვი თუ არა, შევარდნაძემ მაშინვე ჩემი დაჭერის სანქცია გააცემინა და იძულებული გამხადა, ოჯახთან ერთად გერმანიაში გადავხვეწილიყავი... აი, ესენი დღეს გამოდიან და პირდაპირ აცხადებენ — ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთო! არ შეიძლება ამის პატიება, თორემ უარესს იზამენ...

**— რას აპირებთ, რომან გოცირიძეს რას უპასუხებთ?**

— საქართველოს უბედურებაა, რომ მეცნიერებათა აკადემიამ „ალ კუპონეს“ განცხადებას უნდა უპასუხოს! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **რომან გოცირიძეს თუ უნდა, მოეთრეს და ნახოს ჩვენი ბიბლიოთეკა! ახლად გამოცემული წიგნები იმდენია, „ალ კუპონეს“ დამარხავს...**

**— როგორ ფიქრობთ, აკადემიკოსობაზე უარი რომ უთხარით, გოცირიძე გამწარდა და განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში მეცნიერებათა აკადემიას იმიტომაც უჩივლა?**

**– აკადემიკოსობა მინდაო! – ამის თქმა გოცირიძემ ვერ გაბედა, მაგრამ ამის სურვილი რომ აქვს, შევიტყვეთ...**

ძალიან შორს ვართ იმისგან, რომ ისეთი ნაძირალა, როგორიც რომან გოცირიძეა, აკადემიკოსი გავხადოთ!

# „ეს ყველაფერი გამოსაძიებელია ისევე, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის მკვლელობა!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

№61 (229) ★ 2023 წლის 30 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან



## 1943 წლის 31 ოქტომბერი. „ის-2“ საბრძოლო მზადყოფნაშია!

# გამარჯვების ტანკი «იოსებ სტალინი-2» 80 წლისაა!

***ზუსტად 80 წლის წინათ, 1943 წლის 31 ოქტომბერს, საბჭოთა არმიამ მიიღო მორიგი შევსება მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე და მასიური ტანკის „ის-2“-ის სახით, რომელიც სამამულო ომში გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.***

აბრევიატურა **„ის“** იშიფრება, როგორც **„იოსებ სტალინი“** და ეს გახლდათ 1943-53 წლებში გამოშვებული მძიმე საბჭოთა ტანკების სერიული სახელწოდება. ომის დამთავრების შემდეგ მოხდა ამ საბრძოლო მანქანების მოდერნიზება და გამოიყენებოდა 1995 წლამდე.

**„იოსებ სტალინის“** საჭიროება 1943 წლის ზაფხულში კურსკის სატანკო ბრძოლის კვალდაკვალ გაჩნდა. აუცილებელი იყო მოწინააღმდეგის უპირატესობის დაძლევა და გერმანული **„ტიგრ“**-ებისა და **„პანტერ“**-ების ძლევა. არადა, საბჭოთა ტანკები **„T-34“** და **„KB-1C“** ამ ამოცანას ხშირად ვერ ართმევდნენ თავს და მხოლოდ მოკლე დისტანციებზე იყვნენ გამოსადეგნი. ამდენად, **ფართომასშტაბიანი შეტევისათვის საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა შორ მანძილზე მოქმედი საიმედო საბრძოლო მანქანები.**

**„იოსებ სტალინის“** კონსტრუირება დაევალა ლენინგრადიდან ჩელიაბინსკში ევაკუირებულ **კიროვის ქარხანას** *(ამჟამად ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა — ЧТЗ)* და მის მთავარ კონსტრუქტორს **ჟოზეფ კოტინს.**

1942 წელს **„ის-2“** სერიის ტანკები გამოშვებულ იქნა 122 მმ ლულით ამავე კალიბრის ჭურვისათვის *(1931 წლის A-19 ნიმუშის მიხედვით).*

**სტალინის სახელზე გაგზავნილ მოხსენების ბარათში 1943 წლის 23 ოქტომბერს მითითებული იყო, რომ „ის-2“-ს შეუძლია გაუმკლავდეს მძიმე გერმანულ ტანკებს 2-კილომეტრიან დისტანციაზეც კი.** უფრო მეტიც, მათზე დამონტაჟდა 12,7 მმ კალიბრის საზენიტო ტყვიამფრქვევები, რომლებიც 1945 წელს წარმატებით გამოიყენებოდა საქალაქო ბრძოლებშიც.

უკვე 1943 წლის დეკემბრისათვის „ტანკოგრადის“ კარიბჭიდან ფრონტისაკენ დაიძრა **კოტინის** კონსტრუქციის 35 ცალი მძიმე ტანკი **„ის-2“,** აღჭურვილი **პეტროვის** მიერ კონსტრუირებული 122-მილიმეტრიანი Д-25 ლულით.

**„ის-2“**-ის პირველი ეგზემპლარების სრულყოფა მომავალშიც გაგრძელდა და 1945 წლის მაისამდე უკვე **3395-მა მძიმე ტანკმა** აიდგა ფეხი ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების მოსაპოვებლად.

**ჰიტლერმა „ის-2“**-ის გამოჩენის კვალდაკვალ სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა, რომ **ახალი სერიის საბჭოთა ტანკებთან პირისპირ ბრძოლაში ჩაბმა ფრიად სარისკო იყო, რადგან გადარჩენის არანაირ შანსს არ ტოვებდა.** მაშ ასე, T-34-ის და „KB“-ის კვალდაკვალ საბჭოთა შეიარაღებამ **„ტიგრ“**-ებზე და **„პანტერ“**-ებზე სანადიროდ უნიკალური სამხედრო დანადგარები მიიღო. აკი, თავად **სტალინმა** უწოდა **„ის-2“**-ს **გამარჯვების ტანკი!**




## ასე იწრთობოდა დიადი გამარჯვება! ★



### ბოლოთქმა

რუსულ ონლაინ-მაღაზიებში ხელმისაწვდომია **გამარჯვების ტანკის** — **„იოსებ სტალინი-2“**-ის სათამაშო მოდელები. **დღეს ბავშვებს შეუძლიათ, ამ ძლევამოსილი ტანკით ომობანა ითამაშონ! თუმცა, დღეს ომობანას ბავშვები კი არა, დიდები თამაშობენ — დიდ პოლიტიკოსობასა და მსოფლიო ლიდერობაზე პრეტენზიის მქონენი!** რაკი **დიდი ბელადი** და **კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომის მომგები გენერალისიმუსი სტალინი** ცოცხალი აღარ არის, **დიდობაზე** პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსებს, ალბათ, მხოლოდ ომობანას თამაშიღა დარჩენიათ!

**ოღონდ ეს სახიფათო თამაშია — თამაში ნამდვილი ტანკებითა და კაცობრიობის ბედით!**

***ზაზა დავითაია***

*მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან დიდი და გავლენიანი ადამიანების ურთიერთობა ყოველთვის ბურუსით მოცული, მაგრამ დიდად საინტერესო თემაა. მეგობარ ქალებს მსოფლიოს უდიდესი მბრძანებლებიც კი დაუმონებიათ და თავიანთ ჭკუაზე უტარებიათ, მაგრამ სტალინი ამ თვალსაზრისითაც უნიკალური მოვლენაა. პროფესორი სიმონ მასხარაშვილი მიიჩნევს, რომ სტალინი როგორც დიდ პოლიტიკაში, ისე მეგობარ ქალებთან ურთიერთობაშიც, გამარჯვებულ, პატივცემულ და ღირსეულ პარტნიორად დარჩა:*



„ნადეჟდა ალილუევას სტალინი გერმანიაში დიდხანს მკურნალობდა, მაგრამ ქალს სუიციდისკენ ჰქონდა მიდრეკილება და არაფერმა უშველა!“



იოსებ სტალინი და ნადეჟდა ალილუევა

# სიმონ მასხარაშვილი:

# ყველა იმ ქალმა, ვისთანაც ბელადს მეგობრობა აკავშირებდა, თავის კარიერასა და სახელზე მაღლა სტალინის სახელი და ღირსება დააყენა!

— საქვეყნოდ ცნობილია, რომ სტალინის პირველი სიყვარული და ცოლი გახლდათ **ეკატერინე სვანიძე,** რომელიც 1907 წლის ნოემბერში სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ასაკში, მუცლის ტიფით გარდაიცვალა. ბედის ირონიით, 30-იან წლებში სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების სათავეში სწორედ ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებიც ეკატერინე სვანიძის ოჯახის წევრებს ან უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდნენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ეკატერინეს ძმას **ალიოშა სვანიძეს** და საბჭოთა კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმის მდივანს **აბელ ენუქიძეს,** რომელიც კრემლის უსაფრთხოებაზე გახლდათ პასუხისმგებელი. **დიახ, სტალინის წინააღმდეგ შეთქმულება ნამდვილად არსებობდა, მისი მკვლელობა იგეგმებოდა და ამ შეთქმულების სათავეში, სამწუხაროდ, ქართველები იდგნენ, რომლებსაც კრემლში ქართველი სტალინის პირველკაცობა არ მოსწონდათ და აღიზიანებდათ.** სწორედ ქართველების ღალატი იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სტალინის დამოკიდებულება საქართველოსადმი, გარკვეულ შემთხვევებში, გაორებული გახლდათ! რაც შეეხება სტალინის მეორე ცოლს — **ნადეჟდა ალილუევას,** ის სტალინმა 1919 წელს შეირთო და სწორედ ამ ქალის დამსახურება გახლდათ, რომ ბელადი მთელი ცხოვრების განმავლობაში ითმენდა და იტანდა **ნიკიტა ხრუშჩოვის** სირეგვენეს, უნიჭობასა და ბოროტებას. მოგეხსენებათ,

## ხრუშჩოვი და ნადეჟდა ალილუევა ერთად სწავლობდნენ, სტალინს ნიკიტა სწორედ ნადეჟდამ გააცნო და ცოლის ნათელი ხსოვნა რომ არ შეებღალა, ბელადი ნიკიტას ბოლომდე არ წირავდა. როგორც აღმოჩნდა, ეს მისი საბედისწერო შეცდომა იყო...

**— 1932 წლის ნოემბერში ნადეჟდა ალილუევამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა... მეორე ცოლის გარდაცვალების შემდეგ სტალინმა მთელი ოცდაერთი წელი იცოცხლა, რატომ არ შეირთო მან ცოლი?**

— საერთოდ, დიდ ადამიანებს პირად ცხოვრებაში იშვიათად უმართლებთ! სტალინმა ნადეჟდას გარდაცვალების შემდეგ მართალია, ცოლი არ შეირთო, მაგრამ ქალების მიმართ ფრიგიდული არასოდეს ყოფილა. პირიქით, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან მიჯნურობა სტალინის მთელ ცხოვრებას გასდევს და ქალებმა მასზე დიდი გავლენა იქონიეს. მაგალითად, ცნობილია, რომ, როცა სტალინი **კატო სვანიძეს** ასაფლავებდა, მომავალი ბელადი სამარეში ჩახტა და ზემოთ ძლივს ამოიყვანეს... პირველ სიყვარულთან ერთად სტალინმა იმ დღეს ბევრი რამ დამარხა. როგორც ნაპოლეონის ცხოვრებაში ითამაშეს დიდი როლი ჟოზეფინამ და გრაფინია მარია ვალევსკამ, იგივე შეიძლება ითქვას სტალინზეც. სტალინი ტარიელურ-ავთანდილური ტიპის მიჯნური იყო ზუსტად ისე, როგორც დავით აღმაშენებელი. სხვათაშორის, დავითი „გალობანი სინანულისანი“-სა და შიომღვიმის მონასტრისადმი მიწერილ წერილში სწორედ თავის სამიჯნურო თავგადასავალზე საუბრობს, ახალგაზრდობაში ჩადენილ შეცდომებზე წუხს და საშინელ სინანულს განიცდის...

**— სტალინი თუ ნანობდა ამ მხრივ რამეს?**

— ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სტალინის, როგორც აღვირახსნილი და გარყვნილი მიჯნურის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. უფრო მეტიც, **ნიკიტა ხრუშჩოვი** სტალინის გარდაცვალების შემდეგ ყოველნაირად ცდილობდა, ბელადის წინააღმდეგ რომელიმე მასთან დაახლოებული ქალბატონი გამოეყენებინა, მაგრამ ვერავის, ვინც კი სტალინთან სასიყვარულო ურთიერთობაში იყო ეჭვმიტანილი, მასზე აუგი ვერ დააცდენინეს. წყაროებისა და დოკუმენტური მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ იმ თორმეტი წლის განმავლობაში, როცა **ეკატერინე სვანიძე** გარდაიცვალა და სტალინი უცოლო იყო, მომავალ ბელადს, რომელსაც მეფის „ოხრანკა“ მუდამ კვალში ედგა, სულ მცირე, ორ ქალთან მაინც ჰქონდა ახლო ურთიერთობა. აქ საუბარია ძალიან ღრმა და სერიოზულ ურთიერთობაზე... პირველი ქალი გახლდათ **მატრონა კუზაკოვა,** ვინმე კუზაკოვის ნაცოლარი, რომელთანაც სტალინს ვაჟი ეყოლა — **კონსტანტინე. კონსტანტინე კუზაკოვი** საბჭოთა რადიოს შეფი გახლდათ და მთელმა მოსკოვმა და კრემლმა იცოდა, რომ სტალინის შვილი იყო!

**— დადასტურებული ფაქტია, რომ კუზაკოვი ნამდვილად სტალინის შვილი იყო?**

— დადასტურებულია! საქმე ის არის, რომ სტალინის შვილიშვილმა, **ვასილი სტალინის** ვაჟმა **ალექსანდრე ბურდონსკიმ,** რომელიც დედის გვარს ატარებდა, სიკვდილის წინ თავისი **„დნმ“**-ი დატოვა. სწორედ ამ **„დნმ“**-ის საფუძველზე უტყუარად მტკიცდება, რომ **კონსტანტინე კუზაკოვი,** რომელიც 1911 წელს ციმბირში, ვოლოგდის გუბერნია სოფელ სოლვიჩეგოდსკში, დაიბადა და 1996 წელს მოსკოვში გარდაიცვალა, ნამდვილად სტალინის შვილი იყო. სხვათაშორის, **კუზაკოვს** 1947 წელს სერიოზული პრობლემები შეექმნა და შეიძლებოდა, დაეხვრიტათ კიდეც, მაგრამ სტა-



მოსკოვის „დიდი თეატრი“

„სტალინის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ „ლა სკალასთან“ და „მეტროპოლიტენ ოპერასთან“ ერთად „დიდი თეატრი“ მსოფლიო კლასიკური მუსიკის ცენტრია!“

ლინმა გადაარჩინა.

ცნობილია, რომ სტალინმა თავისი ვაჟიშვილი კრემლში ერთხელ ნახა, როცა **კონსტანტინე კუზაკოვი** შორიდან შეათვალიერა, თუმცა, მასთან არ მისულა და არც უსაუბრია. ფაქტია, რომ სტალინი მას მფარველობდა... მეორე ვაჟი — **ალექსანდრე დავიდოვი** სტალინს ტურუხანსკის გუბერნია სოფელ კურეიკაში შეეძინა. ბავშვის დედა გახლდათ **ლიდია პერეპრიგინა,** რომელიც მაშინ 14 წლის გოგონა იყო და მერე ცოლად გაჰყვა ვინმე **დავიდოვს,** რომელმაც ბავშვს თავისი გვარი მისცა. როგორც **მატრონა კუზაკოვა,** ისე **ლიდია პერეპრიგინა** „ენკავედეს“ მიერ მკაცრად იყვნენ გაფრთხილებული და საგანგებო დოკუმენტებზე ხელიც ჰქონდათ მოწერილი, რომ სტალინთან მათი ურთიერთობისა და შვილების ნამდვილი წარმომავლობის შესახებ კრინტს არ დაძრავდნენ! მატრონა კუზაკოვას შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ **ლიდია პერეპრიგინა** — 14 წლის ულამაზესი ციმბირელი გოგონა, სტალინს გულწრფელად უყვარდა. ის აპირებდა ლიდიას ცოლად შერთვას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან, მოგეხსენებათ, ბელადი ტურუხანსკის გადასახლებიდან გამოიქცა. სტალინი რომ ტურუხანსკიდან არ გამოქცეულიყო, 14 წლის **ლიდია პერეპრიგინას** ცოლად შერთვა გადაწყვეტილი ჰქონდა. იმავე წლის მარტში პეტროგრადში განვითარებულმა მოვლენებმა სტალინი აიძულა, სასწრაფოდ იმპერიის დედაქალაქში ჩასულიყო და რევოლუციურ ორომტრიალში თავით გადაშვებულიყო. მოკლედ, საქვეყნოდ ცნობილია, რომ 1917 წლის მარტში სტალინი სწორედ პეტროგრადში იყო. ამიტომ სოფელ კურეიკაში 1917 წლის 11 ივნისს ის ვერ შეესწრო თავისი შვილის — **ალექსანდრე დავიდოვის** დაბადებას.

**— 14 წლის გოგონაზე დაქორწინება ნებადართული იყო?**

— რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით, 14 წლის გოგონასთან მამაკაცის თანაცხოვრება შესაძლებელი იყო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი გოგონას ცოლად შეირთავდა. სხვათაშორის, **ხრუშჩოვი** სწორედ **ლიდია პერეპრიგინას** მცირე ასაკით მანიპულირებდა და ცდილობდა, სტალინი პედოფილად გამოეყვანა.

## 1956 წელს ხრუშჩოვმა ყველაფერი გააკეთა, რათა ლიდია პერეპრიგინას სტალინის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა, მაგრამ ვერა და ვერ მოისყიდეს!

მან უარი თქვა მოსკოვში ფეშენებელურ ბინაზე, მანქანაზე, კარგ სამსახურსა და უზრუნველ ცხოვრებაზე... ლიდია არ გაიყიდა და სტალინის ერთგული დარჩა. სხვათაშორის, ლიდიასა და სტალინის ვაჟმა **ალექსანდრე დავიდოვმა** გმირულად იბრძოლა მეორე მსოფლიო ომში და თავისით მიაღწია მაიორის წოდებას. სტალინის გარდაცვალების შემდეგ **ალექსანდრე დავიდოვი** ნოვოკუზნეცკში სამზარეულოს დირექტორი იყო და მისი შვილები და შვილიშვილები დღემდე ციმბირში ცხოვრობენ. მათი **„დნმ“**-ი აბსოლუტურად დაემთხვა **ალექსანდრე ბურდონსკის** „დნმ“-ს, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ **ალექსანდრე დავიდოვი** სტალინის შვილი იყო.







**მატრონა კუზაკოვა, მარინა სემიონოვა, ლიდია პერეპრიგინა**

**„როგორც მატრონა კუზაკოვა, ისე ლიდია პერეპრიგინა „ენკავედეს“ მიერ მკაცრად იყვნენ გაფრთხილებული და საგანგებო დოკუმენტებზე ხელიც ჰქონდათ მოწერილი, რომ სტალინთან მათი ურთიერთობისა და შვილების ნამდვილი წარმომავლობის შესახებ კრინტს არ დაძრავდნენ!“**

**— როდის გარდაიცვალა ალექსანდრე დავიდოვი?**

— **ალექსანდრე დავიდოვი** 1987 წელს გარდაიცვალა. სხვათაშორის, შვილებიდან სტალინს ყველაზე მეტად სწორედ იგი ჰგავდა. ვოლოგდის ყოფილ გუბერნიაში, რომელიც დღეს არხანგელსკის მხარეს წარმოადგენს, დღემდე სტალინის კულტია. მართალია, **მატრონა კუზაკოვა** ხრუშჩოვის მმართველობას არ მოსწრებია და ადრე გარდაიცვალა, მაგრამ სტალინის ხსოვნა მან გულწრფელად შეინახა. არხანგელსკში სტალინის ერთ-ერთი გამორჩეული მუზეუმი დღემდე ფუნქციონირებს...

**— დღემდე არ წყდება ინსინუაციები სტალინისა და მისი მეორე ცოლის — ნადეჟდა ალილუევას კონფლიქტის შესახებ...**

— ეს ყველაფერი **ხრუშჩოვისა და მისი ბინძური სექტის** მონაჩმახია. **ნადეჟდა ალილუევას** სტალინი გერმანიაში დიდხანს მკურნალობდა, მაგრამ ქალს სუიციდისკენ ჰქონდა მიდრეკილება და არაფერმა უშველა. დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ ნადეჟდას შაკიკის განსაკუთრებით მძიმე ფორმა, ანდა სიმსივნე ჰქონდა და სუიციდიც ამან გამოიწვია. ნადეჟდას თვითმკვლელობის შემდეგ სტალინს სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე ცნობილ მანდილოსანთან. ამ ურთიერთობამ ძალიან დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ბალეტისა და საოპერო ხელოვნების განვითარებას. დიდ თეატრში არ იდგმებოდა არცერთი სპექტაკლი, რომელსაც სტალინი არ ესწრებოდა. სტალინს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან, სტალინური პრემიის ლაურეატ **ოლგა ლეპეშინსკაიასთან.** ეს გახლდათ ძალიან ცნობილი ბალერინა, რომელიც უცხოეთში შეუზღუდავად დადიოდა როგორც საგასტროლოდ, ისე პედაგოგიური საქმიანობის მიზნით. **არის ცნობები, რომ სტალინი ლეპეშინსკაიას დიდ თეატრში აკითხავდა, მასთან სახლში დილამდე რჩებოდა და კრემლში გამთენიისას ბრუნდებოდა.** ლეპეშინსკაია 1963 წელს 92 წლისა გარდაიცვალა და ინტერვიუებში ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ სტალინი ბალეტში ძალიან კარგად ერკვეოდა. სწორედ სტალინის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ „ლა სკალასთან“ და „მეტროპოლიტენ ოპერასთან“ ერთად „დიდი თეატრი“ მსოფლიო კლასიკური მუსიკის ცენტრია!

სტალინს ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ბალერინა **მარინა სემიონოვასთანაც.** ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობაც იყო. ბელადს ასევე ძალიან ახლო მეგობრობა აკავშირებდა **ლიუბოვ ორლოვასთანაც,** მაგრამ მათ შორის სასიყვარულო კავშირის შესახებ არასოდეს არავის უთქვამს.

**მარინა სემიონოვას** აღზრდილია **მაია პლისეცკაია, ნინო ანანიაშვილი და ნიკოლოზ ცისკარიძე.** ბელადი მეგობრობდა ცნობილ საოპერო მომღერალ **ვალერია ბარსოვასთანაც,** რომლის ნამდვილი სახელი და გვარი გახლდათ **ვალერია ვლადიმიროვა.** სტალინი ახლობლობდა ბალერინა **ნატალია შპილერთან.** ეს უკანასკნელი ეროვნებით გერმანელი იყო, არქიტექტორთა ოჯახიდან და არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა.

ყველა ეს ქალბატონი სტალინის ახლო მეგობარი იყო, მაგრამ გადაჭრით არავისზე შეიძლება იმის თქმა, რომ ნამდვილად სტალინის სასიყვარულო პარტნიორი იყო. მაგრამ მეცოსოპრანო **ვერა დავიდოვას** შესახებ, რომელიც მერე **მჭედლიძის ცოლი** გახდა და 1993 წელს 87 წლის ასაკში თბილისში დაკრძალეს, ლამის ყველამ ყველაფერი იცოდა, სტალინის სიკვდილამდე ვერა დავიდოვა „დიდ თეატრში“ ყველაზე გავლენიანი ფიგურა გახლდათ.

**— საინტერესოა, რა ურთიერთობა ჰქონდა სტალინს ოჯახის მომვლელ ქალთან ვალენტინა ისტომინასთან?**

— არსებობს ჭორები, რომ მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობაც იყო... **ვალენტინა ისტომინა** სტალინის მზარეულად 1935 წლიდან მუშაობდა. **ვიაჩესლავ მოლოტოვი** პირდაპირ იგონებს, რომ სტალინს ეს ქალი უყვარდა... სტალინის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, **სემიონ იგნატიევმა პოსკრებიშევთან და ვლასიკთან** ერთად, სტალინს ისტომინაც ჩამოაშორა. ვალენტინა სტალინის მოთხოვნით, პატიმრობიდან მაშინვე გაათავისუფლეს, მაგრამ ბელადთან ახლოს გაკარება აუკრძალეს. **როგორც ირკვევა, 1953 წლის 3 მარტს, კუნცევოს აგარაკზე, როცა სტალინი უგონოდ იმყოფებოდა, ვალენტინა ისტომინა ბელადის გვერდით არ იმყოფებოდა.**

საერთოდ, ნებისმიერი მამაკაცი საკუთარ თავს ყველაზე უფრო ქალებთან ამჟღავნებს. ვერცერთ ზემოხსენებულ ქალს, რომლებმაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ ყველანაირი პრივილეგია დაკარგეს და, ფაქტობრივად, დევნილობაში აღმოჩნდნენ, ბელადზე აუგი ვერ ათქმევინეს!

## ნიკიტა ხრუშჩოვს ძალიან უნდოდა სტალინი გარყვნილ და კორუმპირებულ ლიდერად წარმოეჩინა, რომელიც კონკრეტულ პიროვნებებს ანგარების მიზნით მფარველობდა, მაგრამ ხრუშჩოვმა ვერცერთისგან ვერაფერი ნეგატიური ვერ გამოადნო.

ყველა იმ ქალმა, ვისთანაც ბელადს მეგობრობა აკავშირებდა, თავის კარიერასა და სახელზე მაღლა სტალინის სახელი და ღირსება დააყენა! ეს მსოფლიოს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტია. სტალინი, როგორც დიდ პოლიტიკაში, ისე მეგობარ ქალებთან ურთიერთობაშიც გამარჯვებულ, პატივცემულ და ღირსეულ პარტნიორად დარჩა...




*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## ჩემი აზრით, სტალინმა თავისი მოღვაწეობისას ერთი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა – ტიტოსთან კონფლიქტით მან იუგოსლავია კომუნიზმს ჩამოაშორა, რაც, ფაქტობრივად, ე. წ. სოციალიზმის ბანაკში პირველ ბზარად იქცა. გვაინტერესებს თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით.

თუ შეცდომაზე ვილაპარაკებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ის როგორც **საბჭოთა,** ისე **იუგოსლავიის** მხრიდან იქნა დაშვებული. თანაც, ჩემი აზრით, **საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კონფლიქტში მთავარი დანაშაული მაინც ტიტოსა და მის გარემოცვას ეკისრება.** ალბათ, ზედმეტი არც იმის აღნიშვნა იქნება, რომ **იოსიფ ბროზ ტიტო** (1892-1980) საზღვარგარეთ **სტალინის** ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრე იყო, პოლიტიკოსი, რომელზეც საბჭოთა ბელადი განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ის რუსეთში ტყვედ ჩავარდა, იქ გახდა კომუნისტი, პირველი ცოლი რუსი ჰყავდა, მრავალი წელი მუშაობდა მოსკოვში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. **30-იანი წლების** ბოლოს **სტალინმა** სწორედ ის გააგზავნა **იუგოსლავიაში** იქაური კომპარტიისა და ჰიტლერელთა წინააღმდეგ სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ხელმძღვანელად. როდესაც **ჩერჩილი** მეორე ფრონტის გახსნის ადგილად **იუგოსლავიას** ასახელებდა, **სტალინი** ამაყად პასუხობდა: **„იქ უკვე არის მეორე ფრონტი, ეს გახლავთ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ტიტოს მეთაურობით“.** ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმატებულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო **ტიტოსთვის** ძალზე მაღალი ავტორიტეტის შექმნას. **ტიტოს** კულტი **40-იან წლებში** — ომის დროს და მისი დამთავრების შემდეგ — **სტალინის** ე. წ. **„პიროვნების კულტს“** ჩრდილავდა. დასავლეთში პრესა მას პირდაპირ უწოდებდა „დიქტატორს“ და **იტალიის მმართველს ბენიტო მუსოლინის** ადარებდა. ამ პუბლიკაციებს **სტალინი** მკვეთრად დაუპირისპირდა და განაცხადა, რომ **„ტიტო დიქტატორი არ არის და მუსოლინისთან მისი შედარება შეურაცხყოფს იუგოსლავიასა და მის მამაც ხალხს.“** საბჭოთა და იუგოსლავიის ბელადების ურთიერთობა გერმანიის დამარცხების შემდეგ საუკეთესო იყო, ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ვახტანგურად სვამდნენ, **სტალინი** ყველა ღონეს ხმარობდა, რომ იუგოსლავია ნანგრევებიდან წამოეყენებინა და საბჭოთა სპეციალისტთა დახმარებით ომისაგან მომსპარი სახალხო მეურნეობა აღედგინა.

მაშ, რამ გამოიწვია კონფლიქტი? ვფიქრობ, შებრკოლების ლოდად **ბალკანეთის ფედერაციის** შექმნის იდეა იქცა, რომელშიც **იუგოსლავია, ბულგარეთი, ალბანეთი** და, სავარაუდოდ, **რუმინეთი** უნდა შესულიყვნენ.




ამ ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში ლიდერობაზე პრეტენზიას **ტიტო** აცხადებდა. მაგრამ **სტალინმა** მიანიშნა, რომ ამ საკითხში უპირატესობას გიორგი დიმიტროვს ანიჭებს, როგორც უფრო დამსახურებულ და გამოცდილ პოლიტიკოსს, **ტიტოსთვის** კი მეორე როლია განკუთვნილი. **ტიტოს** გარეგნულად წყენა არ გამოუმჟღავნებია, **სტალინის** ამ გადაწყვეტილების პასუხად **იუგოსლავიაში** საბჭოთა სპეციალისტების დევნა, ზოგი მათგანის **„საძრახისი საქციელისთვის“** გამოძევება იქცა. სკპ(ბ) ცკ-მ **იუგოსლავიის** ხელმძღვანელობას რამდენიმე წერილი გაუგზავნა **იუგოსლავიაში** მომუშავე საბჭოთა მოქალაქეების მიმართ გატარებული პოლიტიკის ახსნის თხოვნით, მაგრამ იქიდან მხოლოდ ფორმალური პასუხები მოსდიოდათ. მეტიც, მსხვილი ხელმძღვანელები, რომლებმაც **სტალინისადმი** ლოიალობა შეინარჩუნეს და მსგავსი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, პოსტებიდან მოხსნეს, ორი მათგანი კი დააპატიმრეს. **იუგოსლავიის** პრესაში თანდათან დაიწყო **„საბჭოთა ყაზარმული კომუნიზმის“** კრიტიკა და მისთვის **„იუგოსლავიური მოდელის“** დაპირისპირება. მაშინ **სტალინმა** შესთავაზა, ორ ქვეყანას შორის დაგროვილი პრობლემები **ბუქარესტში** გამართულ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე განეხილათ. მაგრამ **ტიტო** ამ თათბირს არ დაესწრო და არც წარმომადგენლები გააგზავნა.

**ბალკანეთის ფედერაციის** შექმნის იდეა მკვდრადშობილი აღმოჩნდა, მაგრამ კონფლიქტი მაინც ღვივდებოდა. მან აპოგეას **1948 წლის ზაფხულში** მიაღწია, როდესაც პარტიების წარმომადგენელთა კიდევ ერთ თათბირზე **ბუქარესტში „იუგოსლავიის კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ“** მიიღეს რეზოლუცია და ის, ფაქტობრივად, სოციალისტურ ბანაკს ჩამოაშორეს. პასუხად **იუგოსლავიაში სტალინის** მომხრეთა მასობრივი დაპატიმრება დაიწყო, სსრკ-ში კი ტიტოს მთავრობა **„ფაშისტურ ხროვად“** გამოცხადდა.




ჩემი აზრით, შეცდომა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან ცხელ გულზე ერთმანეთისთვის იარლიყების მიწებება იყო. **იუგოსლავიაშიც სტალინური** ხელმძღვანელობა **„ფაშისტურად“** გამოაცხადეს. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ **იუგოსლავიასთან** კონფლიქტის გადაჭრისას **სტალინს** არ მიუმართავს ძალისმიერი მეთოდებისათვის, როგორც ეს **ხრუშჩოვმა** — **უნგრეთის,** ხოლო **ბრეჟნევმა ჩეხოსლოვაკიის** მიმართ ჩაიდინეს. ასე რომ, ვფიქრობ, პირველ ბზარად, რომელმაც ე. წ. სოციალიზმის ბანაკი დაანგრია, **იუგოსლავიასთან** კონფლიქტი კი არა, **უნგრეთის აჯანყების** და **„პრაღის გაზაფხულის“** ულმობელი ჩახშობა იქცა.

## როდის და რა მიზეზით დაითხოვეს კომუნისტური ინტერნაციონალი?




ლენინი კომინტერნის I კონგრესის პრეზიდიუმში. 1919 წლის 2-6 მარტი

მუშათა მოძრაობის ისტორიამ ოთხი ინტერნაციონალი იცის: **I — მარქსისა და ენგელსის მიერ 1864 წელს შექმნილი, II — 1889 წელს ენგელსის მონაწილეობით ჩამოყალიბებული, რომელშიც მისი გარდაცვალების შემდეგ (1895 წ.) ოპორტუნისტულმა ძალებმა იმძლავრეს, III (კომუნისტური), რომლის დამფუძნებელი ყრილობა 1919 წლის მარტში მოსკოვში გაიმართა და ბოლოს IV — ტროცკისტული (1938 წ.)**

**ტროცკისტული ინტერნაციონალისაგან** განსხვავებით, რომელიც მსოფლიო კომუნისტურმა საზოგადოებამ არ აღიარა და რომელიც **ლევ ტროცკის** მკვლელობის შემდეგ (1940 წლის აგვისტო) რამდენიმე მტრულ სექციად დაიშალა, კომინტერნმა **1943 წლამდე** იარსება. **20-იან წლებში** მისი თავმჯდომარის **გრიგორი ზინოვიევის** ხელდასხმით ეს ორგანო მსოფლიოში სიმშვიდის ამმღვრევი, **„მსოფლიო რევოლუციის ძრავა“** გახლდათ (რომლის განხორციელების მცდელობა ამაო აღმოჩნდა). **ი. სტალინის** ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ კომინტერნი თავისი არსით სათათბირო ორგანო ხდება, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების კოორდინირებას ახდენს. **1943 წლის მაისში** თავისივე პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით კომინტერნი დაითხოვეს. აი, როგორ ახსნა **სტალინმა** ეს ფაქტი **1943 წლის 28 მაისს „როიტერის“** სააგენტოს კითხვებზე პასუხის გაცემისას: **„კომუნისტური ინტერნაციონალის დათხოვნა სწორი და დროულია, რადგან ეს აადვილებს ყველა თავისუფლებისმოყვარე ერის ერთობლივი იერიშის ორგანიზებას საერთო მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. კომინტერნის დათხოვნა... ამხელს ჰიტლერელთა სიცრუეს, რომ მოსკოვს თითქოსდა სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებაში ჩარევა და მათი გაბოლშევიკება აქვს განზრახული... ის ამხელს კომუნიზმის მოწინააღმდეგეთა ცილისწამებას, რომ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები საკუთარი ხალხების ინტერესებში კი არა, გარედან ბრძანებით მოქმედებენ... ის აადვილებს პროგრესული ძალების გაერთიანებას, მიუხედავად მათი პარტიულობისა და რელიგიური მრწამსისა... ის გზას უწმენდს მომავალში ხალხთა თანამეგობრობის ჩამოყალიბებას მათი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე...“**



როგორც ვხედავთ, ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, **სტალინის** ლოგიკა რკინისებურია და ეს აქტი მისი მხრიდან მხოლოდ კეთილი ნების ჟესტად შეიძლება განვიხილოთ.

## ამბობენ, რომ 40-იანი წლების ბოლოს მაო ძედუნი სსრკ-ისა და ჩინეთის ერთ მძლავრ სახელმწიფოდ გაერთიანებას სთავაზობდა. მაგრამ სტალინმა ამაზე უკმეხი უარით უპასუხა. რით დაასაბუთა მან ეს უარი?

**ჩინეთის** მხრიდან მსგავსი წინადადების არგუმენტაცია ასეთი იყო — **ერთიანი მძლავრი სახელმწიფო იმპერიალიზმთან ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომუნიზმის გამარჯვების უეჭველი საწინდარი გახდება.** თუმცა, **სტალინი** მართლაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ასეთ გაერთიანებას. რით ასაბუთებდა ამას? მისი თანამოსაგრეების მოწმობით, პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე **ბელადმა** მათ **ჩინეთის ლიდერის** კონფიდენციალური წინადადების შესახებ აუწყა. პასუხად ოვაციების შეძახილები და აპლოდისმენტები გაისმა.

**— თქვენი აპლოდისმენტებით თუ ვიმსჯელებთ, ამ იდეას მხარს უჭერთ?** — ჩაიცინა **სტალინმა.**

**— რა თქმა უნდა, ამხანაგო სტალინ! ეს შესანიშნავი იქნება!** — ახმაურდნენ თანამოსაგრეები.

**— ნუთუ არ გესმით, რას შეიძლება ნიშნავდეს მსგავსი გაერთიანება?** — თქვა **სტალინმა, — თითქმის მილიარდიანი ჩინეთი 200 მილიონიან საბჭოთა კავშირს შთანთქავს. ბრმა კნუტებო, რა გეშველებათ ჩემი სიკვდილის შემდეგ!**




2023 წლის 30 ოქტომბერი, №61 (229)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–46

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *იგორ კვესელავა* მიიჩნევს, რომ უკანასკნელი ოცდაათწლეულის განმავლობაში საქართველოს წახდენისა და გაუბედურების მთავარი მიზეზი ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების შეტანა იყო. კომპარტია და აკაკი ბაქრაძე ერთმანეთთან მივიდნენ და ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს. არცერთ მათგანს ხელი ერთურთისთვის არ უკრავს — არც აკაკი ბაქრაძეს — კომპარტიისთვის და არც კომპარტიას — ბაქრაძისთვის:**



# *იგორ კვესელავა:* არ ვიცი, აკაკი ბაქრაძე იყო თუ არა „კაგებეს“ აგენტი, მაგრამ საქართველოს დაქცევაში მან ნებისმიერ აგენტზე დიდი როლი ითამაშა!

## „აკაკი ბაქრაძემ დარეკა ცეკაში და იკითხა — რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ცეკადან ბაქრაძეს უბრძანეს, რომ ზვიად გამსახურდიასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო!“



— ბატონმა **ვახტანგ გვარამიამ,** რომელიც თავის დროზე ძალოვან უწყებებში საკმაოდ მაღალ თანამდებობებს ფლობდა, თავის ერთ-ერთ გახმაურებულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ **ზვიად გამსახურდია არ შემცდარა და ვისაც „კრემლის აგენტსა“ და „სუკის აგენტს“ უწოდებდა, ყველანი ნამდვილად აგენტები იყვნენ!** ეს დრომაც დაადასტურა და თუ ვინმეს აზროვნებისა და მოვლენათა ობიექტურად შეფასების უნარი დაკარგული არ ჰქონდა, მაშინაც არ იწვევდა ეჭვს.

**კიდევ ერთხელ ვიმეორებ და საქვეყნოდ ვაცხადებ: მაქვს საარქივო დოკუმენტების ნაწილი, სადაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი არაერთი პიროვნება თავისი ფოტოსურათითა და ე.წ. აგენტურული სახელით ფიგურირებს როგორც საბჭოთა „კაგებეს“ აგენტი. მზად ვარ, „ასავალ-დასავალს“ გამოსაქვეყნებლად გადავცე ეს სია, სადაც დაახლოებით ორასამდე ცნობილი პიროვნების გვარ-სახელი და მონაცემებია.**

უბედურება ის არის, რომ მე „კაგებეს“ კარტოთეკის მხოლოდ უმცირეს ნაწილს ვფლობ და უამრავი ასეთი კარტოთეკა სხვადასხვა მიმართულებით გაბნეული და გატანილია. კარგად მოგეხსენებათ — **როგორც კი საქართველოში არეულობა დაიწყო და კომუნისტურ სისტემას საფუძველი შეერყა, „კაგებეს“ არქივი და მთელი კარტოთეკა რუსეთში გაიტანეს.** საქართველოში დატრიალებული ცოდვის კალო და ბოლო ათწლეულებში დაღვრილი სისხლი, რასაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ქართველი ერის გაუბედურება მოჰყვა, ძირითადად განპირობებულია იმით, რომ **ეროვნულ მოძრაობაში სწორედ „კაგებეს“ აგენტურა შეგზავნეს!** სპეცსამსახურის ფუნქცია და მიზანია, კაცი ისე „დააფერბოვკოს“, ეს უკანასკნელი თავადაც ვერ მიხვდეს, რომ აგენტია... ასეთი ეროვნულ მოძრაობაში ბევრი იყო!

**— პირდაპირ გკითხავთ, იყო თუ არა აკაკი ბაქრაძე „კაგებეს“ აგენტი?**

— **კომპარტია და აკაკი ბაქრაძე ერთმანეთთან მივიდნენ და ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს.** არცერთ მათგანს ხელი ერთურთისთვის არ უკრავს — არც აკაკი ბაქრაძეს — კომპარტიისთვის და არც კომპარტიას — ბაქრაძისთვის. ამ საკითხზე დაწვრილებით მისაუბრია ბატონ **ნუგზარ ფოფხაძესთან,** რომელიც პარტიის ცეკას იდეოლოგიურ მიმართულებას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისგან ვიცი, რომ **„რუსთაველის საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედაც აკაკი ბაქრაძე დანიშნეს, საქართველოს მმართველმა მაშინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნული მოძრაობის საპირწონედ შექმნა.**

ეს საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იცოდნენ და დარწმუნებული ვარ, აკაკი ბაქრაძემაც იცოდა.

კომუნისტური რეჟიმი სწორედ ამ ჯგუფის მოყვანას გეგმავდა ხელისუფლების სათავეში, ანუ საქართველოს უნდა დაპატრონებოდა ცრუ ეროვნული მოძრაობა, მაგრამ **ზვიად გამსახურდიას** უდიდესმა ავტორიტეტმა და პიროვნულმა ქარიზმამ სიტუაცია აჭრა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

**საერთოდ, აკაკი ბაქრაძის პოლიტიკური მოღვაწეობა ერთი დიდი გაუგებრობაა. ამ პიროვნებამ გამოავლინა სრული უპრინციპობა, მერყეობა და წინდაუხედაობა მაშინ, როცა მყარი პოზიცია უნდა ჰქონოდა.** აკაკი ბაქრაძემ ლომის წილი ითამაშა ისეთი დანაშაულებრივი და კრიმინალური სინდიკატის კორონაციაში, როგორიც **„მხედრიონი“** იყო. მის უკან იდეოლოგიურად და ფინანსურად **ედუარდ შევარდნაძე** და **ზურამ მგელაძე** იდგნენ, მაგრამ აკაკი ბაქრაძის პოზიციამ და მისმა მეგობრობამ **ჯაბა იოსელიანთან** დიდად განსაზღვრა საქართველოს ბედი. **არ ვიცი, აკაკი ბაქრაძე იყო თუ არა „კაგებეს“ აგენტი, მაგრამ საქართველოს დაქცევაში მან ნებისმიერ აგენტზე დიდი როლი ითამაშა!**

**აკაკი ბაქრაძემ** 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების წინ შეცვალა პოზიცია და ზვიად გამსახურდიას უარი უთხრა არჩევნებში ერთიანი სიით მონაწილეობაზე. ყველამ იცის და ეს ფაქტია, რომ **ზვიად გამსახურდია** აკაკი ბაქრაძეს სიაში პირველ ადგილს სთავაზობდა. ამ მიზნით პირადად ეახლა მრავალრიცხოვან დელეგაციასთან ერთად წყნეთში 1990 წლის სექტემბერში. ფაქტობრივად, შეთანხმებული იყვნენ ყველაფერზე, მაგრამ იმ დღეს, 15-დან 23 საათამდე **აკაკი ბაქრაძემ** პოზიცია რადიკალურად შეცვალა და შეთანხმება დაარღვია.

**— თქვენი აზრით, რა მოხდა?**

— მოხდა ის, რომ აკაკი ბაქრაძემ დარეკა ცეკაში და იკითხა — **რა ვქნა, როგორ მოვიქცე?** ცეკადან ბაქრაძეს უბრძანეს, რომ ზვიად გამსახურდიასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო. **აი, ეს მოხდა!** აკაკი ბაქრაძე ზვიადთან ერთად არჩევნებში მონაწილეობაზე უარს და შეთანხმებული გადაწყვეტილების შეცვლას მოგვიანებით იმით ხსნიდა, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა, ზვიად გამსახურდიას მოკლავდნენ და რადგან საფრთხე რეალური იყო, იძულებული გახდა, შეთანხმება დაერღვია!

**— ვინ ემუქრებოდა ზვიად**

*გაგრძელება მე–20 გვერდზე*

## *ჯაბა იოსელიანი:* გამსახურდიას ხოხვით მოვათრევ ჩემს ფეხებთან, ფეხსაცმელებს ავალოკინებ და იქ წავაჭრი თავს, წავაჭრი გველივით!





# იგორ კვესელავა: სპეცსამსახურის ფუნქცია და მიზანია, კაცი ისე „დააავერბოვკოს“, ეს უკანასკნელი თავადაც ვერ მიხვდეს, რომ აგენტია... ასეთი ეროვნულ მოძრაობაში ბევრი იყო!





*დასაწყისი მე-19 გვერდზე*

**გამსახურდიას მოსაკლავად?**

— ზვიადს, დიდი ალბათობით, მოსაკლავად ემუქრებოდა **ჯაბა იოსელიანი,** რომლის გვერდითაც **აკაკი ბაქრაძე** დადგა. ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება და შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი სიმართლეს ძალიან ჰგავს. ამის სადემონსტრაციოდ გამოდგება ერთი მოგონება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელი დოცენტი, ხოლო დღეს უკვე პროფესორი, ბატონი **ვანო თვალავაძე,** რომელიც აკაკი ბაქრაძესთან ძალიან დაახლოებული პირი იყო, თავის წიგნში იხსენებს 1990 წლის 27 მაისს, როცა ბაქრაძეს შინ ჯაბა იოსელიანი ეწვია:

> *„საუბარში ვახსენე ზვიად გამსახურდია... ზვიადის ხსენებამ გააღიზიანა ჯაბა... შეუძლებელია, ადამიანმა დაივიწყო სიძულვილისა და გაბოროტების რა შხამი ამოანთხია ჯაბამ ზვიადის მიმართ —* ***საშინელი, უწმაწური სიტყვებით აგინებდა მას...*** *დაბოლოს დაიხარა სავარძლიდან, ხელები მიიტანა თავის გაპრიალებულ ფეხსაცმელებთან და თქვა:* ***„გამსახურდიას ხოხვით მოვათრევ ჩემს ფეხებთან, ფეხსაცმელებს ავალოკინებ და იქ წავაჭრი თავს, წავაჭრი გველივით!“***

აკაკი ბაქრაძე დადგა სწორედ ასეთი კაცის გვერდით. ახლა მკითხველმა გამოიტანოს დასკვნა, აკაკი „კაგებეს“ აგენტი იყო, ქართულ პოლიტიკაში მტრისთვის სასარგებლო იდიოტის როლს ასრულებდა და ამას ვერ ხვდებოდა თუ ვინ იყო?

**შევარდნაძემ ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეები სექტანტებად გაესაღებინა, არადა, ამ დროს თავად შექმნა ტაშის დამკვრელთა სექტა, რომელსაც აფინანსებდა და აძლიერებდა.** ასე, მაგალითად, 1995 წელს შევარდნაძის მეხოტბეთა და ტაშისმკვრელთა სექტამ **გიორგი ბარამიძის, გიორგი ბრაჭულისა და თორნიკე ფიფიას** ავტორობით გამოსცა წიგნი — **„ედუარდ შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში“,** სადაც ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული მოძრაობის შესახებ დაწერეს: **„მათი სახით დაფნის გვირგვინისა და მადლობის ნაცვლად გაგანჯგვლული ჯაყოს ჭუჭყიანმა სახემ შემოანათა!“**

**— კარგით, ჯაყოები იყვნენ, მაგრამ მადლობა ვისთვის უნდა გადაეხადათ ზვიადსა და ეროვნულ მოძრაობასო?**

— საქმეც მაგაშია! (იცინის) წიგნის **ავტორთა აზრით, ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ მოძრაობას მადლობა უნდა გადაეხადათ ედუარდ შევარდნაძისთვის და ასევე შევარდნაძისთვის გადაეცათ დაფნის გვირგვინი.** ამავე წიგნში ვკითხულობთ — **ზვიად გამსახურდიამ საქართველოში ფაშიზმი შემოიტანა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ იმდენად მოუარა თავის ჩაგრულ სამშობლოს, რომ ქვეყანა ფაშიზმისგან გაათავისუფლაო!** უფრო მეტიც, წიგნში შევარდნაძე შედარებულია ქრისტესთან, რომელიც ადამიანებს კურნავდა, ხოლო ზვიად გამსახურდია ფიურერთან, ანუ ჰიტლერთან:

> *„ზვიად გამსახურდიას ბარბაროსული და მითოსური ხანა იცვლება ახალი პოლიტიკით, რომლის სათავეშიც დგას ქრისტესმიერი ედუარდ შევარდნაძე!“*

სხვათაშორის, ზემოხსენებული წიგნის ერთ-ერთი ავტორი, ფილოსოფოსი **გიორგი ბარამიძე,** რომელმაც გერმანული კარგად იცის, მოგვიანებით მე მივიღე კათედრაზე. მან ჩემთან საუბარში აღიარა, რომ ამ შეფასებებში მწარედ შეცდა **ბარამიძის, ბრაჭულისა და ფიფიას** ზემოხსენებული წიგნი საფუძვლად დაედო **ლადო ალფენიძის** მიერ შექმნილ ახალ „მეცნიერებას“, რომელსაც მან **„შევარდნაძემცოდნეობა“** უწოდა. ეს რომ ზვიად გამსახურდიას გაეკეთებინა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა? **ალფენიძე** თხზავდა მითებს **„შევარდნაძის ალმასვლის“, „მოციქულობისა“** და **„ორგონებიანი პოლიტიკოსის“** შესახებ...

**— ვიცი, რომ 1985 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გორბაჩოვი აპირებდა ალექსანდრე ჩიკვაიძის დანიშვნას, მაგრამ გადაწყვეტილება შეიცვალა და მის ნაცვლად დაინიშნა შევარდნაძე. რატომ? რა მოხდა?**

— **ალექსანდრე ჩიკვაიძე,** როგორც პროფესიონალი დიპლომატი და უგანათლებულესი პიროვნება, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე **მიხეილ გორბაჩოვის** თანაკურსელი და ახლო მეგობარი იყო. **ჩიკვაიძეს** ახლოს ვიცნობდი, ერთხანს კათედრაზეც მოვიწვიე... ამ უაღრესად წესიერ, კეთილშობილ და გაწონასწორებულ პიროვნებასთან, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ და ფლამანდრულ ენებს და კარგად ერკვეოდა მუსიკაში, ვმეგობრობდი. მან ბევრი რამ მიამბო, მათ შორის, ის ამბავიც, თუ როგორ აჩუქა თავისი პიჯაკი **მიხეილ გორბაჩოვს,** როცა სტუდენტები იყვნენ. **ჩიკვაიძის** ოჯახი კარგად ცხოვრობდა, რასაც ვერ ვიტყვით მიხეილ გორბაჩოვის ოჯახზე. სტუდენტ **გორბაჩოვს** ძალიან მოსწონებია თანაკურსელ **ალექსანდრე ჩიკვაიძის** ახალი პიჯაკი — რა ლამაზიაო! — უთქვამს. ჩიკვაიძეს ის პიჯაკი გორბაჩოვისთვის მაშინვე უჩუქებია და ასე დაწყებულა მათი მეგობრობა.

**— საქართველოს ხელისუფლებაში ჩიკვაიძე ვისი კადრი იყო?**

— **ალექსანდრე ჩიკვაიძე** მოსკოვიდან **თენგიზ სიგუამ** ჩამოიყვანა, ეს მოხდა 1992 წლის თებერვალში. ის დაინიშნა ვიცე-პრემიერად და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად. 1995 წლის 31 დეკემბერს შევარდნაძემ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ **ალექსანდრე ჩიკვაიძე,** როგორც იქნა, მოიშორა და მინისტრობიდან გაათავისუფლა. რაც შეეხება თქვენს მთავარ შეკითხვას, როგორც ჩემთვის ცნობილია, 1985 წელს **მიხეილ გორბაჩოვი** საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე აქტიურად განიხილავდა თავისი თანაკურსელისა და ძველი მეგობრის **ალექსანდრე ჩიკვაიძის** დანიშვნის საკითხს, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა პრეზიდენტ რეიგანის სატელეფონო ზარმა... რეიგანმა გორბაჩოვს სთხოვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად დაენიშნა არა უგანათლებულესი ჩიკვაიძე, არამედ უვიცი, უწიგნური, მაგრამ ყველაფერზე ხელისმომწერი **ედუარდ შევარდნაძე!** მოგეხსენებათ, შევარდნაძე **ალექსანდრე იაკოვლევთან** ერთად ამერიკულ „ცერეუს“ უკვე გადაბირებული ჰყავდა... შევარდნაძე, რომელიც თანამდებობასა და კარიერაზე გაგიჟებული კაცი იყო, ცხადია, ზედმიწევნით ფლობდა ინფორმაციას **გორბაჩოვისა და ჩიკვაიძის** თანაკურსელობის შესახებ. ამიტომ მან **ჩიკვაიძეს** პარტიული წინსვლის საშუალება თავიდანვე მოუსპო და ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის პოსტიდან პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის მინისტრად გადაიყვანა.

**ალექსანდრე ჩიკვაიძე** 2004 წელს გამოცემულ თავის წიგნში — **„პოლიტიკური ჭადრაკი“** ედუარდ შევარდნაძის შესახებ ასეთ რამეს წერს:

**„შევარდნაძე შეშინდა, მსოფლიოს მმართველ ელიტას ჩიკვაიძით არ ჩაენაცვლებინა... ამიტომაც ედუარდი ალექსანდრე ჩიკვაიძეს გადაემტერა!“**


ალექსანდრე ჩიკვაიძე

## კვირგვინოსნები



**კონსტანტინე გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*

უდონო და ლუზერი ჟურნალიუგები, რომლებიც მარგინალური „სეზონ ტივიდან“ მომიწოდებდნენ, **„შენ იცი ზვიად გამსახურდიას მკვლელი და განგებ არ ასახელებ“,** ამჯერად **„ასავალ-დასავალის“ ფორმატში** გააქტიურდნენ: **ამოეფარნენ რა პროფესორ იგორ კვესელავას,** ისევ მომიწოდებენ, დავასახელო **ზვიად გამსახურდიას მკვლელი.**

თურმე, ამათ ჩემზე მეტად შესტკივათ გული **ზვიად გამსახურდიას საქმეზე.** რატომ არ გაიცინებს მუდამ სერიოზული ეშმაკი...

ფილმში **„დინების საწინააღმდეგოდ“,** რომელიც 2007 წელს „იმედზე“ გავიდა და რომლის თანაავტორიც მე ვარ, დასახელებული მყავს და გვყავს **ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზატორები,** მისი ლიკვიდაციის შტაბის წევრები, შესაბამისად, **მკვლელები.** ამ ლუზერების ფხაკურზე რეაგირებას საერთოდ არ მოვახდენდი, რომ არ მქონდეს სურვილი სიის შევსებისა და დაზუსტებისა. **ესენი არიან: გენერალი ვალენტინ კარაბელნიკოვი** (რუსეთის მთავარი სამხედრო დაზვერვა გრუ), **გენერალი ვიქტორ ივანენკოვი** (იგივე გრუ-ს წარმომადგენელი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში), **ედუარდ შევარდნაძე, ავთანდილ იოსელიანი, შოთა კვირაია, გია გულუა, ავთანდილ მარგიანი** (ფინანსები და ლოჯისტიკა), რომელიც მონაწილეობას უარყოფს; ეჭვმიტანილი **იგორ გიორგაძე,** რომელიც მკვლელობაში მონაწილეობას ასევე უარყოფს.

ეს არ მომხდარა ოდიოზური „ქვრივის“ **მანანა არჩვაძის** მხრიდან ხელშეწყობის გარეშეც, რომლის მოხალისე მსტოვრებად და ხელისბიჭებად გვევლინებიან ხსენებული ჟურნალიუგები. **ჩემს პოზიციას სრულიად იზიარებენ ჩემი ძმები ცოტნე და გიორგი გამსახურდიები, ასევე ზვიად გამსახურდიას არაერთი უახლოესი, საქმეში გარკვეული თანამებრძოლი.**

„ფეისბუქი“

**„შევარდნაძე შესანიშნავად იყენებდა ძალაუფლების ინსტრუმენტებს საკუთარი კარიერისა და პოლიტიკური მიზნებისათვის. იგი დაუნდობელი იყო დისიდენტების მიმართ და თავიდან იცილებდა, როგორც რეალურ, ისე პოტენციურ ოპონენტებს!“**

*„შევარდნაძეს გარემოცვასთან აქტიური კონტაქტის ორი ფორმულა ჰქონდა — შვილების და გერების! პირველებს ყველაფერი ეპატიებოდათ და არავინ სჯიდა ცუდი მუშაობისათვის, ხოლო მეორენი მონდომების, პატიოსნებისა და ძალისხმევის მიუხედავად, ვერასოდეს გავიდოდნენ შვილების კატეგორიაში. ამიტომ არცერთი ბანაკიდან არ მოდიოდა სახელმწიფოებრივი მუხტი, რაც თავისთავად ბადებდა უკონტროლობას!“*

2001 წლის ოქტომბერში ამერიკული „ცერეუს“ თანამშრომლებმა — **კეროლინ მაკგიფერთ ეკედალმა და მელვინ გუდმენმა** ამერიკაში გამოსცეს გახმაურებული წიგნი — **„ედუარდ შევარდნაძის ომები“.** ალექსანდრე ჩიკვაიძეს სწორედ ამ წიგნიდან მოჰყავს ციტატა შევარდნაძის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

*„შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში შევარდნაძემ დააპატიმრა 25 ათასზე მეტი ადამიანი. მათ შორის იყო 17 ათასი კომუნისტი და 70 უშიშროების თანამშრომელი... მის კისერზეა უდანაშაულო ადამიანთა წამება და სიკვდილით დასჯა. სწორედ ამ აღვირახსნილმა და ულმობელმა წმენდამ შევარდნაძეს წილად არგუნა უამრავი თანამემამულის ზიზღი და მტრობა, მაგრამ სახელი გაუთქვა მოსკოვში!“*

**— როგორც ვიცი, ამერიკელი ავტორები თქვენს მიერ ხსენებულ წიგნში ადასტურებენ, რომ შევარდნაძე პოლიტიკურ ოპონენტებს ნებისმიერი მეთოდით იცილებდა!**

— **ალექსანდრე ჩიკვაიძეს,** როგორც შევარდნაძის პოლიტიკურ ოპონენტს, თავის წიგნში ეს ციტატაც მოჰყავს:

*„შევარდნაძე შესანიშნავად იყენებდა ძალაუფლების ინსტრუმენტებს საკუთარი კარიერისა და პოლიტიკური მიზნებისათვის. იგი დაუნდობელი იყო დისიდენტების მიმართ და თავიდან იცილებდა, როგორც რეალურ, ისე პოტენციურ ოპონენტებს!“*

**— საინტერესოა, ალექსანდრე ჩიკვაიძე როდის გახდა შევარდნაძის პოტენციური კონკურენტი?**

— ეს მოხდა 1992 წლის 31 ივლისს, როცა საქართველო **გაერო**-ში მიიღეს და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჩიკვაიძე.** მის გამოსვლას მოჰყვა ხანგრძლივი ოვაცია და მქუხარე ტაში... ამ ფაქტმა შევარდნაძე საგონებელში ჩააგდო და შურითა და მტრობით განეწყო **ალექსანდრე ჩიკვაიძის** მიმართ, რომელსაც, როგორც უმაღლესი კლასის დიპლომატს, განათლებულ და ფართო კონტაქტების მქონე პიროვნებას, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ბევრად უფრო ფართო თვალსაწიერი ეშლებოდა. **შევარდნაძე შეშინდა, მსოფლიოს მმართველ ელიტას ჩიკვაიძით არ ჩაენაცვლებინა... ამიტომაც ედუარდი ალექსანდრე ჩიკვაიძეს გადაემტერა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***







იგორ ქვესელავა

***გაზეთი „ასავალ-დასავალი“ უკვე რამდენიმე ნომერია, აქვეყნებს უაღრესად საინტერესო ინტერვიუს პროფესორ იგორ ქვესელავასთან გასული საუკუნის 90-ანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია 1993 წლის 18 ოქტომბერს ფილარმონიაში გამართულმა ფორუმმა, სადაც გაჟღერდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და სამეგრელოს სასტიკი დასჯის შესახებ. ფორუმში მონაწილეობდა ქვეყნის მაშინდელი მეთაური ედუარდ შევარდნაძე და ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი.***

# შევარდნაძისა და მის ბინძურ გამხმოვანე-ბელთა ფეხქვეშ

# მიწა უნდა იწვოდეს!

ვიცოდი ამ ფორუმის შესახებ, მაგრამ, კონკრეტულად ვინ რა ბარბაროსული აზრი გამოთქვა, ახლაღა გავიგე. არადა, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ყოველივე ადრე, მათივე სიცოცხლეშივე გაცხადებულიყო.

საზოგადოდ ცნობილია, რომ უვიცები, პროვოკატორები და არამზადები სამეგრელოს მიმართ მოგონილს, უმართებულოს კადრულობენ. შესაბამისად საკადრის პასუხებს იღებენ და მომავალშიც ასე იქნება. **ჩვენ აბორიგენი ხალხი ვართ, კოლხებად წოდებულნი. უფალმა ასე ინება, ერთი ფესვიდან თუ ძირიდან ამოზრდილიყო იბერ-კოლხ-ლაზები, ანუ იმიერ-ამერნი.**

თითქმის 2500 წლის ერთობის ისტორია აქვს საქართველოს. ეს აზრი თუ იდეა არმაზის სანახებში დაიბადა თუ ციხე-გოჯში, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ისტორიისათვის, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერის გაერთიანებისათვის.

რასაც ბატონი **იგორ ქვესელავა** ყვება, 1993 წლის 18 ოქტომბერს ფილარმონიაში გამართული შეკრების შესახებ, ფრიად ამაზრზენია. **ამ შემთხვევაში „ფილარმონისტები“, ნებსით თუ უნებლიეთ, გახდნენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და სამეგრელოს მოსახლეობის ყუმბარებითა და ტანკებით გადაბუგვის წამქეზებლები და თანამონაწილენი.**

მაშინ შეკრების წამყვანს **რეზო ამაშუკელს** უთქვამს: **ნამდვილმა მამაკაცებმა აქვე ავიღოთ იარაღი ხელში და დავირაზმოთ გამსახურდიას და მისი მომხრეების გასანადგურებლადო...**

გაშიშვლდა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაშვებული შეცდომები, როგორც დიდი უგუნურობა, როგორც ლოგიკური აბსურდი, რომლის ცენტრში **შევარდნაძე** მოიაზრება და მის გარშემო ყველა ის, ვინც ხმამაღლა ითხოვდა ზვიადის მოკვლასა და სამეგრელოს აოხრებას.

ახლახან მოვისმინე ბატონ **ბაკურ გულუას** სატელევიზიო ინტერვიუ. მან ბრძანა, რომ **„აფხაზეთში შეიარაღებულ შეჭრამდე შეხვდა სახელმწიფოს მეთაურს და უთხრა, რომ „იქ ჯარით თუ შეხვალთ, აფხაზეთი მაშინათვე დაიკარგება“. შევარდნაძე ტელეფონით კიტოვანს დაუკავშირდა და გულუას თანდასწრებით მისცა მითითება, დავალება შეასრულეო“.**

რა დავალება? ცხადია — აფხაზეთში შეჭრის! თუ რა მოჰყვა ამას, ყველასათვის ნათელია.

**ბაკურ გულუასი მჯერა. ის მოითხოვდა მოლაპარაკებების დაწყებას ისევე, როგორც ჩვენ, სამეგრელოს წარმომადგენლები, როცა 1992 წლის აპრილში შევხვდით სახელმწიფოს მეთაურს და მე პირადად ვთხოვე, ჟიული შარტავას მეთაურობით შექმნილიყო კომისია ან ჯგუფი „მეორე მხარესთან“ მოლაპარაკების დასაწყებად.**

რა შედეგს გამოიღებდა მოლაპარაკება აფხაზებთან და სამეგრელოს მოსახლეობასთან, ძნელი სათქმელია, მაგრამ თითი არავის გაუნძრევია. შესაბამისად, შედეგიც სავალალოა, ჭრილობა მოუშუშებელია.

აფხაზეთის დაკარგვის შემდგომ ფილარმონიაში შეკრებილები „ნათელ წარსულში დაბრუნებას“ ელოდნენ. ამიტომ გულმხურვალედ ღაღადებდნენ **„შევარდნაძე არის კანონიერი ხელისუფლება, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო და 1991 წლის 26 მაისს არჩეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები — მკვლელები, მძარცველები და დაქირავებული ბანდა!“**

მაშინ, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობდა, რომ მათ მოწოდებას სისხლის სუნი ასდიოდა. სახელმწიფოს მეთაურმა მათი წაქეზებითა და ერთსულოვანი მოთხოვნით სისრულეში მოიყვანა **„ფილარმონისტების“ ბინძური განაჩენი.**

გულწრფელად ვამბობ, რომ სული მეწურება მათ გამო, რადგან **ქვესელავას** ინტერვიუში დასახელებულთა უმრავლესობას ვიცნობდი, ზოგიერთ მათგანთან მქონია ურთიერთობა. **ვნანობ, გულწრფელად ვნანობ, ზოგიერთ მათგანზე პრესაში დადებითი თუ საქებარი წერილები მაქვს გამოქვეყნებული.**

არავის დასჯის მომხრე არ ვარ. ყოველგვარ სისასტიკეს ვგმობ, მაგრამ ბატონ **იგორ ქვესელავასი** არ იყოს, ისინი საზოგადოდ უნდა გაიკიცხონ.

**აშკარაა, რომ მაშინდელი ხელისუფლების და მისი მომხრეების მთელი მოღვაწეობა — ეს გახლავთ ორსახოვანი ქმედება, „თეთრი მელას“ მაამებლობით გაბრუებული ინტელიგენციის აუხსნელი გონებრივი მოუქნელობა თუ მიუხვედრელობა.**

ვერაფრით ვაპატიებ, ვინც არ უნდა იყოს სიტყვებს: **„გამსახურდია უნდა დარჩეს საქართველოში, ოღონდ ფიზიკურად სახეცვლილი ფორმით“!** ანუ მოკალითო! ვერც **ნოდარ ლომოურის** ვერაგული მოწოდებების მიმართ ვიქნები გულმოწყალე და მიმტევებელი.

**რამ გადაგრიათ ხალხო? რა შეჯიბრება გამართეთ პრეზიდენტის სიკვდილით დასჯისა და მეგრელების ასაოხრებლად?** მონურად ქედი როგორ მოგახრევინათ სავარძლებისა და განდიდების მანიამ? სისხლიანი შედეგი რად ვერ გაითვალისწინეთ?! **ვინ მოიქციეთ ფეხქვეშ, რა მოიქციეთ ფეხქვეშ? ეროვნულ და დემოკრატიულ ტალღაზე, მოსახლეობის მიერ არჩეული ზვიად გამსახურდია და ერის უერთგულესი სამეგრელოს მოსახლეობა?**

იმ შეკრებაზე, თურმე, **ნოდარ ლომოურს** საზეიმო ხმით უთქვამს, **„აფხაზეთში წამოწყებული ომი, მისი წარუმატებლობა და გაჭიანურება აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის საკმაოდ საგულისხმო ნაწილის, მათ შორის, მეგრელების ბრალია“.** არადა, სხვა კუთხის მცხოვრებლებთან ერთად, უდიდესი როლი აფხაზეთის ბრძოლებში **სამეგრელომ** იტვირთა, დევნილების შეფარებაშიც. ამის შეუფასებლობა, **აფხაზეთის დამარცხებაში სამეგრელოს დადანაშაულება სიბრიყვე კი არა, გამიზნული ცილისწამებაა.**

**აფხაზეთის დამარცხების მთავარი მიზეზი იქ მცხოვრები ქართველებისა და სამეგრელოს მოსახლეობის ბრალი კი არ იყო, არამედ სახელმწიფოს მეთაურის დანაშაული, რომელმაც განაიარაღა ფრონტის ხაზი და შიშველი ხელებით შეატოვა მტერს სოხუმის დამცველები.**

უფრო მეტიც — შევარდნაძემ სიკვდილის სამიზნედ აქცია ეროვნული გმირები: **ჟიული შარტავა, გენო ადამია, გურამ გაბისკირია,** ასობით თავდადებული ვაჟკაცი და 300 ათასზე მეტი დევნილი.

სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს საქართველოს ერთიანობის მემორიალი, რომლის პროექტი კარგა ხანია, შექმნილია და უმორჩილესად ვთხოვ შესაბამის ორგანოებს ამ საკითხით დაინტერესებას!

დიახ, შევარდნაძისა და მისი ბინძური იდეების გამხმოვანებლების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. როგორც დუტუ მეგრელი იტყოდა — **„... ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!“**

# რამ გადაგრიათ ხალხო? რა შეჯიბრება გამართეთ პრეზიდენტის სიკვდილით დასჯისა და მეგრელების ასაოხრებლად?

## კვირგვინოსნები

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი*



**ევროკავშირი გვატყუებს,** აშკარად სურს, რომ იყოს **მუდმივი დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის** და ამის გამო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის საერთოდ არაფერს არ აკეთებს.

„FOR.GE“

**[illegible]**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



**ნაციონალებს რა უნდოდათ ჭორვილაში,** ქვებს ესროდნენ, აბა, რას ეტყოდნენ, კარგი გოგო-ბიჭები ხართო?! **სწორედ ასეთი ოპოზიცია უმყარებს პოზიციებს „ოცნებას“.** ოპოზიციიდან ვიღაც-ვიღაცები **ჩადიან ბრიუსელში და იქ ლაპარაკობენ, რომ აჯობებს თუ არ მოგვცემენ სტატუსს.**

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ბედი არ სწყალობთ ამ **უიღბლო რევოლუციონერებს,** რადგან მსოფლიოს მართლა არ სცალია მსგავსი ტიპის თამაშებისთვის — **ვიღას ახსოვს ქართული ოპოზიცია თუ ხელისუფლებაში მომაკვდავი ბელადის დაბრუნების მცდელობა.**

„იმედინიუსი“

**ირმა ზავრადაშვილი**
*პარლამენტარი*



იმდენჯერ ვიქნები ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში **„მონა“,** რამდენჯერაც დასჭირდება.

„აიპრესი“



## მაყვალა ბერიანიძე:

# ვანგამ მითხრა, რომ საქართველო გაერთიანდებოდა, მაგრამ ამისათვის შესაძლოა, ქვეყანას სახელი შეეცვალა. ის მიმანიშნებდა ძველი კოლხეთისა და იბერიის კავშირზე!



***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე იმ საფრთხის შესახებ გვესაუბრება, რომელიც ოჩამჩირეში რუსეთის სამხედრო ბაზის მოდერნიზაციას ახლავს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზეზებს ასახელებს:***

— აფხაზეთი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შეეწირა მსოფლიოს გადანაწილებას, რომელიც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ეს პროცესი დღეს უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა... თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ბატონი **რემი ვაშაკიძე,** რომელიც საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო, **შევარდნაძეს** 25 ცალ ავტომატს სთხოვდა და პირობას იძლეოდა, რომ თავად დაიცავდა წესრიგს რკინიგზაზე, მაგრამ შევარდნაძემ მისი არ შეისმინა, პროვოკაციული ომი აფხაზეთში მაინც დაიწყო და მერე ყველაფერი **კიტოვანს** დააბრალა — არ დამიჯერაო!

**— შევარდნაძემ აფხაზეთის ომი ამერიკელების გარეშე დაიწყო?**

— ამას გამოვრიცხავ... **შევარდნაძე აფხაზეთში ამერიკელების თანხმობის გარეშე ომს ვერ დაიწყებდა!**

## ომის დაწყებას წინ უსწრებდა 1992 წლის ივლისში ჩატარებული უდიდესი მასშტაბის აფერა, როცა საქართველოს მთელ მოსახლეობას ფული შემნახველ სალაროებში შეატანინეს და დაჰპირდნენ – გაორმაგებულ თანხას დაგიბრუნებთო! მოგეხსენებათ, ის ფული ხალხს წაართვეს...

ვიდრე ჩვენ აფხაზეთის შესახებ სიმართლეს არ ვიტყვით, ქვეყანას ვერ გავაერთიანებთ. **თამაზ ნადარეიშვილმა** ინტერვიუში ათი წლის შემდეგ, 2001 წლის ოქტომბერში, მითხრა — 1991 წელს სოხუმში **ბინ ლადენი** იყო ჩამოსულიო! — თუ ეს იცოდით, თქვე დალოცვილო, მაშინ რატომ არ აყვირდით-მეთქი? — **მაგას ვინ გათქმევინებდაო!** — მიპასუხა. მართლაც, მაშინ **თამაზ ნადარეიშვილმა** ამის თქმა ვერ გაბედა და **ბინ ლადენზე** საუბარი დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში ტერაქტები მოხდა. მთელი ის ისტორიები, როცა **თამაზ ნადარეიშვილს** გული ასტკივდა და გერმანიში წავიდა სამკურნალოდ, ხოლო 1993 წლის ივლისში **ჟიული შარტავა** სოხუმში სასაკლაოზე გაგზავნეს, წინასწარ გაწერილი დიდი სპექტაკლი იყო, **რასაც ჟიული უნდა შეეწირვოდა, ხოლო სოხუმის დაცემას თამაზ ნადარეიშვილი არ უნდა შესწრებოდა!**

**— ბინ ლადენი 1991 წელს სოხუმში ვინ ჩამოიყვანა?**

— ბინ ლადენი მაშინ იყო ამერიკელების „გმირი“ და, ცხადია, სოხუმში ამერიკელების ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა!

**— ზვიად გამსახურდიამ ბინ ლადენის ჩამოსვლის შესახებ იცოდა?**

— დარწმუნებული ვარ, იცოდა! **ზვიადმა ისიც იცოდა, რომ საქართველოს ამერიკელები რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად ამზადებდნენ. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ფაქტობრივად, აპათიაში ჩავარდნილი და უკიდურესად შეწუხებული კითხულობდა — რა გადაარჩენს საქართველოს?**

სწორედ ამის პასუხი გახლდათ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშის (უფროსის)** ცნობილი ფრაზა — **„ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“** გამსახურდიას არ სურდა, საქართველოს ტერიტორია რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიგონად ქცეულიყო... მან იცოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასანგრევად დიდი საერთაშორისო მზადება იყო დაწყებული და ძალიან ფრთხილობდა. **სანამ გამსახურდია ხელისუფლებაში იყო, ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ დაამხეს თუ არა, სწორედ იმ ძალებმა, რომლებმაც სოხუმში ბინ ლადენი ჩამოიყვანეს, შევარდნაძეს 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი გააჩაღებინეს!**

**— როცა სოხუმში ამერიკელებმა ბინ ლადენი ჩამოიყვანეს, შევარდნაძე ამ დროს რას აკეთებდა?**

— შევარდნაძე ამ დროს მოსკოვში იყო და ყველაზე უკეთ იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა დაშლილიყო. **ბინ ლადენი და ამერიკელები** სოხუმიდან ახალი წასულები იყვნენ, როცა 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში, „კინოს სახლთან“, პირველი ტყვია გავარდა და პროცესები ელვის უსწრაფესად განვითარდა ეროვნული ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის დამამხობელი ფინალით. ვაცხადებ კატეგორიულად: **1991 წლის ზაფხულში სოხუმში ბინ ლადენისა და ამერიკელების ჩამოსვლა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დაწყებასთან პირდაპირ კავშირშია!** ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე არც **ბინ ლადენი** და არც **თენგიზ კიტოვანი** აფხაზეთში არ შესულან!




**— აფხაზეთში ჩვენი სისხლი, უპირველეს ყოვლისა, რუსებმა დაღვარეს! რა გამოდის, ესეც ამერიკელებთან იყო შეთანხმებული?**

— ის გამოდის, რომ **აფხაზეთის ომის დროს რუსეთს ამერიკელების მარიონეტი ელცინი და მისი ხროვა მართავდნენ.** საქართველოს ოკუპაციას ყველა ცდილობს და რუსეთმა და ამერიკამ საქართველოს სწორედ აფხაზეთში წაავლეს ხელი. ფაქტია, რომ ჩვენ გაგვაქეზეს, სისხლში გვაბანავეს და მერე მიგვატოვეს. ამოცანა ასეთი იყო — **რუსეთისთვის შავი ზღვის პორტები უნდა ჩაეკეტათ!** ნოვოროსიისკის პორტი ზამთარში იყინება, ამიტომ საქართველოდან და უკრაინიდან რუსეთი უნდა გაეძევებინათ. ამას მოჰყვა უბედურება და დღეს ვხედავთ, თუ რა დღეშია ან უკრაინა, ანდა საქართველო!

**— პრივატულ საუბარში მითხარით, რომ 1979 წელს ბულგარეთში ვანგას შეხვდით.**

— ნუ გამახსენებთ, იმის შემდეგ სულ მეშინია!

**— როგორ მოახერხეთ მასთან შეხვედრა?**

— ბულგარეთში მოღვაწეობდნენ ჩემი ახლო მეგობრები — დები, რომლებიც ძალიან სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ. სწორედ მათ გავყევი 1979 წელს და მათი წყალობით შევხვდი **ვანგას,** რომელმაც პირდაპირ მითხრა, რომ ვიყავი საქართველოდან, სადაც ხედავდა დიდ სისხლსა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევას. მაშინ ამას აბსოლუტურად არ მივაქციე ყურადღება, რადგან საბჭოთა კავშირი მყარად იდგა და მისი დანგრევა ფანტასტიკის სფერო იყო. **ვანგამ მითხრა, რომ საქართველო გაერთიანდებოდა, მაგრამ ამისათვის შესაძლოა, ქვეყანას სახელი შეეცვალა.** ის მიმანიშნებდა ძველი კოლხეთისა და იბერიის კავშირზე... საქართველოში ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ვანგას სიტყვები დეტალურად გავიხსენე და შევშინდი. **სხვათაშორის, იმ ჩემს მეგობრებს ვანგამ უთხრა, რომ მათი მშობლები მალე დაიხოცებოდნენ. ჩამოვედით თუ არა, მათი მამა ინფარქტით საავადმყოფოში მოხვდა, ხოლო დედა გარდაიცვალა.** მამა რომ საავადმყოფოდან გამოვიდა და ცოლის



*აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი ვუდრო უილსონი*

**„ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი თავის 14-პუნქტიან დოკუმენტში წერდა, რომ სომხეთს უნდა ჰქონოდა შავ ზღვაზე გასასვლელი, ხმელთაშუა ზღვაში რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ ნავსადგური, კილიკიის ოლქი, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები, ადანის პორტი და საქართველო მიერთებოდა სომხეთს!“**

# „ზელენსკი ისეთი ავანტიურისტია, საქართველოს ომში ჩასათრევად
# ოჩამჩირესაც დაბომბავს!»



სიკვდილის ამბავი შეიტყო, ისიც მალე გარდაიცვალა.

**— ოჩამჩირეში რუსეთის მიერ სამხედრო-საზღვაო ბაზის მოდერნიზაცია ხომ არ გამოიწვევს იმას, რომ უკრაინა ოჩამჩირეს დაბომბავს?**

— ეს საფრთხე რეალურია და აფხაზები ამას აცნობიერებენ. სხვათაშორის, ოჩამჩირის მიმართულების ხელმძღვანელი ომის დროს **სერგო ბაღაფში** იყო, რომელსაც უამრავი ქართველი ჰყავს გადარჩენილი. ომის დროს მოხდა ასეთი ფაქტი: ჩრდილოკავკასიელებმა აფხაზ ბიჭს, რომელსაც და თბილისში ჰყავდა გათხოვილი, ხელში ავტომატი მისცეს და ქართველი ტყვეების დახვრეტა უბრძანეს. იმ აფხაზმა ბიჭმა ქართველებს არ ესროლა, მაგრამ ჩრდილოკავკასიელებს შემოუტრიალდა და ავტომატის ჯერი მიუშვა. გადამთიელებმა ის აფხაზიც დახვრიტეს და ქართველებიც. იმ ბიჭის დამ თბილისში ქვეყანა დააქცია — ჩემი ძმა დამამარხინეთო! **სერგო ბაღაფშმა** ის აფხაზი ქალი მიიღო, პირადად უპატრონა, მიცვალებულები დაამარხინა და მერე აქეთ გამოისტუმრა. მე და სერგო ბაღაფში თბილისში ერთად ვმუშაობდით... ერთხელ „კავკასიურ ცარცის წრეს" ვესწრებოდით და იმ სცენის დროს, როცა ბავშვს აქეთ იქით ექაჩებიან, სერგოს ვკითხე — ბიჭო, ჩვენსა და აფხაზებს შორის ასეთი ამბავი რომ იყოს, რა მოხდება-მეთქი? — **რას ამბობ, მაყვალა, აზდაკი სად გამოჩნდება, დავილუპებითო!** — მიპასუხა. მაშინ სერგოს ვუთხარი — **თუ ძალიან გაგვიჭირდა, თბილისმა შესაძლოა, ხელი გაგიშვათ, მაგრამ არ მოგატოვებთ-მეთქი!**

ახლა დადგა დრო, ქართველებმაც და აფხაზებმაც გავაცნობიეროთ, რომ ერთმანეთის გარდა სხვა პატრონი არა გვყავს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, **ზელენსკი** ისეთი ავანტიურისტია, საქართველოს ომში ჩასათრევად ყველაფერზე წავა და ოჩამჩირესაც დაბომბავს!

აფხაზებს უდიდესი პრობლემა აქვთ სომხების სახით. მათ კარგად იციან, რომ სომხები დღეს აფხაზეთში უმრავლესობაში არიან. ეს ხალხი იქიდან წამსვლელი არ არის, რადგან თავისი პატრონი ჰყავს. ერთადერთი, ჩვენ და აფხაზები ვართ უპატრონო და თავი უნდა გადავირჩინოთ. ვანგამ ეგეც მითხრა — **თავის გადასარჩენად მოგიწევთ ბრძოლაო!**

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამერიკის პრეზიდენტი **ვუდრო უილსონი** თავის 14-პუნქტიან დოკუმენტში წერდა, რომ სომხეთს უნდა ჰქონოდა შავ ზღვაზე გასასვლელი, ხმელთაშუა ზღვაში რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ ნავსადგური, კილიკიის ოლქი, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები, ადანის პორტი და საქართველო მიერთებოდა სომხეთს!

**ამ ყველაფრით გაბრუებულმა და გათამამებულმა სომეხმა დაშნაკებმა 1918 წელს სტამბოლში ე.წ. დიდი სომხეთის რუკები დაბეჭდეს, რომელშიც თბილისიც მოაყოლეს!** მიმაჩნია, რომ ოჩამჩირეში რუსული ბაზის მოდერნიზაცია უდიდესი პროვოკაციაა, რომელიც საქართველოს ომში ჩათრევას ემსახურება. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს...

**— უკრაინის ომს რა საიდუმლო დინებები აქვს?**

— **ის ფაქტი, რომ რუსეთი კიევში არ ბომბავს ზელენსკისა და მისი ხროვის სამთავრობო კვარტლებს, ხოლო ზელენსკი არ აფეთქებს გაზსადენს, რომელიც რუსეთიდან მოდის და ევროპას უკავშირდება, იმის ნათელი დასტურია, რომ ეს ომი ძალიან უცნაურად და საეჭვოდ გამოიყურება.** კერძოდ, უკვე ცნობილი გახდა, რომ მთელი ის ინფრასტრუქტურა, რომელიც ოდესასა და მის შემოგარენში რუსეთმა მიწასთან გაასწორა, თურმე, ომის დაწყებამდე სულ ებრაულ ფირმებს ჰქონიათ აღებული და იგეგმებოდა ყველაფრის დემონტაჟი, რათა ახალი შენობები და კვარტლები აეშენებინათ...

**— რა გამოდის, უკრაინაში ახალი ისრაელი შენდება?**

— ფაქტია, რომ ის, რაც გაეროს გენერალურმა მდივანმა **ანტონიო გუტერეშმა** ისრაელის მისამართით განაცხადა, ბევრ რამეს ცვლის. მოგეხსენებათ, მან თქვა, რომ **მთელი 56 წლის განმავლობაში ისრაელი ტანჯავს და ოკუპაციაში ამყოფებს პალესტინას...** ასეთი განცხადებები და თან უმაღლესი ფიგურების მიერ შემთხვევით არ კეთდება. ამიტომ მიმაჩნია, რომ საცოდავ უკრაინას, რომელიც მიწასთან არის გასწორებული, სიურპრიზები წინა აქვს. როგორც კი ისრაელში ვითარება დაიძაბა, ხომ ხედავთ, 15 ათასი კაცი მაშინვე საქართველოში დაბრუნდა. უკრაინაში ათჯერ და ასჯერ 15 ათასი ჩავა ისრაელიდან! **ქართველები ერთხელ და სამუდამოდ მივხვდეთ, რომ მსოფლიოში რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმების გარეშე არაფერი ხდება და არც აწი მოხდება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***




*ედუარდ შევარდნაძე და ბორის ელცინი*



**„1991 წლის ზაფხულში სოხუმში ბინ ლადენისა და ამერიკელების ჩამოსვლა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დაწყებასთან პირდაპირ კავშირშია!"**

## „ის, რაც გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა ისრაელის მისამართით განაცხადა, ბევრ რამეს ცვლის!"

**კვირგვინოსანი მსხვილი პლანით**



**ანტონიო გუტერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*

მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ, რომ **„ჰამასის"** თავდასხმა ვაკუუმში არ მომხდარა. **პალესტინელი ხალხი 56-წლიან მახრჩობელა ოკუპაციას ექვემდებარება.** მათ დაინახეს, რომ მათი მიწა ძალადობას განიცდის და მასზე დასახლებები ჩნდება; მათი ეკონომიკა დაიხრჩო; **მათი ხალხი განიდევნა და მათი სახლები დაინგრა.** მათი მდგომარეობის პოლიტიკური გადაწყვეტილების შესახებ მათი იმედები გაქრა.

„ინტერპრესნიუსი"

# მიხეილ ცაგარელი:

# ისიც, რაც დღეს ისრაელში ხდება, სწორედ მასონური პოლიტიკის გამოძახილია!



*სახეზეა მესამე მსოფლიო ომი, ის პანდემიის გამოცხადებით დაიწყო! —* ***აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი. თუ რა პრობლემების წინაშე დგას დღეს სამყარო და ამ გლობალურ ქარცეცხლში როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:***

# „არ უნდა ავაფრიალოთ ებრაული დროშები!“

— 2020 წელს, როდესაც პანდემია დაიწყო, ჩვენმა უჭკვიანესმა პატრიარქმა ბრძანა — **მეორედ მოსვლა ახლოსაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომზადებულები შევხვდეთო.** რატომღაც ჰგონიათ, რომ აპოკალიფსი საყოველთაო ნგრევას ნიშნავს. არა, ბატონებო, ეს არის ადამიანთა ცნობიერების ტრანსფორმაციის პერიოდი. ბოლო 7 ათასი წელია, ადამიანის ცნობიერება მესამე განზომილებაშია, მისი ვიბრაციული მუხტი ძალიან დაეცა, კაცობრიობა უფალს დაშორდა... **დღეს გვეძლევა საშუალება, ბოროტების ინფორმაციული ველი შევცვალოთ — ცნობიერების სხვა, უფრო მაღალ ეტაპზე გადავიდეთ, რაშიც ნათელი ძალები გვეხმარებიან.** ეს გზა ხანგრძლივია და საკმაოდ რთული. ის დაახლოებით 2052 წლამდე გასტანს, თუმცა, გადამწყვეტ სიტყვას 2024-25 წლები იტყვიან!

დღეს, როგორც ცის კაბადონზე, ასევე დედამიწაზე, განსაკუთრებით გააქტიურდნენ ბნელი, მასონური ძალები, რომლებიც ომებით, რევოლუციებითა და სხვათა უბედურებებით იკვებებიან. **სამწუხაროდ, მათ სამსახურშია ყველა დიდი ორგანიზაცია, გაეროთი დაწყებული, ჯანმოთი დამთავრებული. აგრეთვე წამყვანი მასმედიები, სავალუტო ფონდები და ა.შ.**

ადამიანებს ერთი სუსტი წერტილი გვაქვს — კომფორტისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება და სიყვარული. მთავარია, კარგად ვიგრძნოთ თავი, დანარჩენი ყველაფერი წყალსაც წაუღია. რატომაც არა, კომფორტი კარგია, მაგრამ რის ფასად? ეს არის სწორედ მაცდუნებელი ძალების მიერ შემოგდებული თეორია.

**— ამას ახლა რატომ უსვამთ ხაზს?**

— ქართველებში განსაკუთრებულად გაძლიერდა უცხოეთისადმი სიყვარული, რადგან იქ არის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, კარგი ხელფასი და კომფორტული ცხოვრება, ყველაფერი, რაც ევროპასა და ამერიკას უკავშირდება, ახალი თაობისთვის მისაბაძია.

**სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან ან არ იციან, რომ ეს კომფორტი და სილამაზე ევროპამ და ამერიკამ სხვათა დამონებით, კოლონიალური ბრძოლებითა და ათასობით ადამიანის სისხლის ხარჯზე შექმნა.**

მასონების პირველი სამიზნე რუსეთი იყო. მეფის ჩამოგდების შემდეგ იქ მიავლინეს **ლენინი და ტროცკი.** სწორედ ლენინმა ჩაატარა პირველი ექსპერიმენტი, რაც შედიოდა მასონურ ძალთა გეგმებში — მასების ზომბირება, ადამიანების მაქსიმალურად განადგურება და საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრება.

ლენინმა და ტროცკიმ გამოაქვეყნეს პოსტულატები, რაც ჩვენთვის არასოდეს უსწავლებიათ. ეს იყო იმდროინდელ რუსეთში მრავალცოლიანობის, კაცის კაცთან და დის ძმასთან ინტიმურ კონტაქტში შესვლის პრაქტიკა. დიახ, ლღვირახსნილობის პირველი პოლიგონი რუსეთი იყო, მაგრამ მასონებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — ამ ყველაფერს წინ აღუდგა **ქართველი სტალინი.**

**— საბჭოთა იმპერიაც ხომ ადამიანების სისხლის ხარჯზე აღმოცენდა?**

— სტალინი ყველაფერს ფიზიკურად ვერ გააკონტროლებდა. ცხადია, უნდა გაეძლიერებინა კონტროლი, მაგრამ მაშინ უამრავ მტერთან უხდებოდა გამკლავება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. რუსეთში ძალიან ბევრი აგენტი იყო შეგზავნილი და მაინც მან შეუძლებელი შეძლო — წინ აღუდგა მასონების მოყვანილ **ადოლფ ჰიტლერს** და ბოროტ ძალებს არ მისცა მსოფლიოში გაბატონების საშუალება!

რადგანაც იმდროინდელ ევროპაში სათანადოდ ვერ გაიდგეს ფესვები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მასონური ძალების დასაყრდენი შეერთებული შტატები გახდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთში მოკალათებულმა მასონებმა ჯერ **მიხეილ გორბაჩოვი** შეაგზავნეს საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი — **ბორის ელცინი.** თუმცა, მაშინ, როდესაც ამერიკელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველაფერი მათი გეგმის მიხედვით მიდიოდა, **ელცინმა** ქვეყნის მეთაურის სავარძელი **პუტინს** გადაულოცა, რომელიც თავად მის მიერ იყო შერჩეული და ამერიკის მოწონებული. აღმოჩნდა, რომ პუტინმა საკუთარი თამაში წამოიწყო და არ დაუშვა, რუსეთი ამერიკის სატელიტი გამხდარიყო. მან თანდათან მოიშორა ამერიკის მიერ რუსეთში დასმული აგენტები, მათ შორის, ბიზნესმენები. სწორედ ამის შემდეგ გაააქტიურეს რუსეთისთვის ყველაზე მტკივნეული — საქართველოსა და უკრაინის საკითხი. საგანგებოდ გამოზარდეს კადრები: საქართველოში — ნაციონალური მოძრაობა თავისი სააკაშვილით, უკრაინაში კი — ზელენსკი! ნაციონალების გაუთავებელი ვოიაჟები შტატებში სწორედ ამ საკითხებს უკავშირდებოდა.

**— აკი, სააკაშვილს „კაგებეს“ სკოლა აქვს გავლილიო?**

— ის თავის დროზე „კაგებეს“ მიერ იყო დამუშავებული, მაგრამ მოგვიანებით ორმაგი აგენტი გახდა. რა, გაუჭირდებოდა?!

**შეერთებულმა შტატებმა ნატოს გაფართოებით რუსეთთან ურთიერთობის მთავარი პოსტულატი დაარღვია. უკრაინისა და საქართველოს ნატოსთან დაახლოება პირდაპირ რუსეთის მარცხს ნიშნავდა და მის უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს.**

ცხადია, პასუხმაც არ დააყოვნა — შევიდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში!

**— აფხაზეთის ომი ხომ ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე იყო?**

— ხომ არ დაგავიწყდათ, ვინ იყო სააკაშვილის მამობილი? **ედუარდ შევარდნაძე!** ვინ მოიყვანა ის პრეზიდენტად? **ედუარდ შევარდნაძემ!** სად დადიოდა იქამდე შევარდნაძე თავის ნანულისთან ერთად სამ თვეში ერთხელ? **ამერიკის შეერთებულ შტატებში!** ვინ იყო მისი საუკეთესო მეგობარი? **შულცი** — მაშინდელი სახელმწიფო მდივანი! თქვენ გგონიათ, მარტო სვამდნენ და ჭამდნენ ერთად? სწორედ იმ დროიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ნგრევა, უსინათლობისა და უგაზობის პირობებში ხალხის გამოთაყვანება. ეს კარგად გათვლილი და გაწერილი პროგრამა იყო!

ჩვენ შევყურებდით ამერიკასა და ევროპას, როგორც სასწაულს, ანგელოზების ქვეყანას და ვერ ვხვდებოდით, სინამდვილე-




# „მასონების სამსახურშია ყველა დიდი ორგანიზაცია – გაეროთი დაწყებული, ჯანმოთი დამთავრებული!“

ში რა ბოროტი სული იყო იქ დაბუდებული. ახლა ნელ-ნელა მოვდივართ აზრზე და შინაგან ფსიქოლოგიურ ნგრევასაც განვიცდით, განსაკუთრებით, ჩემი თაობის ადამიანები. დიახ, ჩვენ სხვანაირი ევროპა და ამერიკა ვიცოდით, თურმე, კარგად შეფუთული ბოროტება ყოფილა!

გეკითხებით — **ამერიკიდან წამოსული ფერადი რევოლუციები რომელიმე ქვეყნისთვის გახდა წარმატების მომტანი?** რაც მოხდა საქართველოში კარგად დავინახეთ. რა დღეშიც ჩააგდო მათმა წარმომადგენელმა **ფაშინიანმა** სომხეთი, ესეც ცნობილია — იქაც ტერიტორიები დაიკარგა! იუგოსლავია — ფანტასტიკური ქვეყანა — საერთოდ დაშალეს!

ისიც, რაც დღეს ისრაელში ხდება, სწორედ მასონური პოლიტიკის გამოძახილია!

**— ისრაელს ამჯერად „ჰამასი“ დაესხა, თავად ომი არ დაუწყია...**

— ასე მარტივად არ დგას საკითხი! წარმოიდგინეთ, ვიღაცამ რომ ჩამოგვისახლოს სხვა ერის წარმომადგენლები, რომლებიც ამერიკის მიერ იქნებიან დიდ პატივში, ვითარდებოდნენ, მრავლდებოდნენ და ნელ-ნელა გვაგდებდნენ ჩვენი მიწა-წყლიდან, რას ვიზამდით?! როგორც კი არაბები საკუთარ უფლებებზე ხმას ამოიღებდნენ, მაშინვე იწყებოდა მათი ხოცვა-ჟლეტა. ვინ შექმნა და ვინ აფინანსებდა „ჰამასს“? — ამერიკა! ისრაელის უკან მდგომმა შტატებმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იქ მუდმივად ყოფილიყო კონფლიქტური სიტუაცია, რათა ახლო აღმოსავლეთი და, მათ შორის, არაბები გაეკონტროლებინა.

ბაიდენმა ეს არც დამალა და პირდაპირ განაცხადა — **ახალი მსოფლიო წესრიგი უნდა დამყარდესო!** არადა, ამერიკელებმა ერთი რამ ვერ გათვალეს — მათი მცდელობის მიუხედავად, რუსეთი არ შესუსტებულა, პირიქით, გაძლიერდა, რაც მსოფლიო პოლიტიკურ სურათზეც აისახა. **ბაიდენი აბსოლუტურად სწორია, მსოფლიოს ახალ გადანაწილებაზე რომ საუბრობს, მაგრამ ეს მსოფლიო წესრიგი არ უნდა დამყარდეს იმ ფორმით, როგორც მას ესმის.** ამისთვის საჭიროა სამი დიდი ლიდერის შეხვედრა, როგორც ეს იალტის კონფერენციის დროს მოხდა. ამ შემთხვევაში — **პუტინის, სი ძინპინისა და ტრამპის.** ამ სამ კაცს შეუძლია ახალი მსოფლიო წესრიგის პარიტეტულად შექმნა, რომელიც მინიმუმ 50 წელი იმუშავებს და კაცობრიობას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. მაშინ მოწესრიგდება ისრაელის, უკრაინის და ბევრი სხვა საკითხიც.

მოფახფახებული **ბაიდენი** 2000-იან წლებში ჩარჩა. უფრო მეტი — აშშ აღარ არის ჰეგემონი. არნახულად გაძლიერდა ჩინეთი და რუსეთი. შეიქმნა ახალი ორგანიზაცია **„ბრიქსის“** სახით, რომელშიც რუსეთისა და ჩინეთის გარდა შედის ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი... ისეთი ძლიერი ორგანიზაცია იქმნება, **ნატო** ცოტა ხანში სასაცილოდაც არ გვეყოფა!

**ვერ ვიტყვი, რომ ირანი, ჩინეთი ან რუსეთი ანგელოზები არიან, მაგრამ მასონურ ანგლოსაქსებთან შედარებით გაცილებით ნათელი ძალებია. ეს შეიძლება დღეს**






## „ამერიკის ახალი ელჩი კელი დეგნანზე გაცილებით უარესია!“

# «ნუ გეშინიათ ნაციონალების მიერ ხალხის აბუნტების – დაელაპარაკეთ რუსეთს!»

**პარადოქსად გეჩვენებათ, მაგრამ ამაში მალე დარწმუნდებით.**

**— თქვენი ნათქვამი როგორ გავიგოთ — უარი ვთქვათ ევროატლანტიკურ კურსზე?**

— დღეს საზოგადოება საავადმყოფოს... — დღეს საზოგადოება საკაშვილის იდეოლოგიით არის მოწამლული: უაპელაციოდ გაიძახიან — რუსეთი ბოროტების იმპერიააო! გეკითხებით — რომ არა რუსეთი, იქნებოდა თუ არა დღეს საქართველო თურქეთის ვილაეთი? ან კიდევ: ახალციხე ვინ დაგვიბრუნა — რუსეთმა! რამე ამდაგვარი გააკეთა ამერიკამ, თურქეთმა ან რომელიმე სხვა ქვეყანამ? სამაჩაბლოსა და აფხაზეთში შესვლა ჩვენს **ნატო-ნატოს** ძახილს მოჰყვა. ეს იყო რუსეთის თავდაცვის სტრატეგია.

ამ უზარმაზარი სახელმწიფოების დაპირისპირებაში საქართველო არ უნდა იყოს მხარე. ეს გახლავთ გადარჩენის ერთადერთი გზა. რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი იყო, არის და იქნება ნაციონალური მოძრაობა, მეტიც, **თუ გინდათ, რომ საქართველო საბოლოოდ განადგურდეს, ნაციონალურ მოძრაობას უნდა მისცეთ ხმა!** ეს დღევანდელმა მთავრობამაც უნდა გაითვალისწინოს!

**— ფიქრობთ, რომ არ ითვალისწინებს?**

— **ამას რომ ითვალისწინებდეს, განა ილიაუნის წინ აღმართული იქნებოდა უკრაინის უზარმაზარი დროშა?** დღეს იმ უკრაინის დროშებს უნდა ვაფრიალებდეთ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ემუქრება? სირცხვილი არ არის? ნაცებით არის ილიაუნი გავსებული და მთავრობა ამაზე ხმას არ იღებს! უნდა დავგმოთ ძალადობის ყველანაირი გამოვლინება, როგორც არაბების, ასევე ისრაელის მხრიდან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავფიქსირდეთ, როგორც მხარე! არ უნდა ავაფრიალოთ ებრაული დროშები! ნუ დაგვავიწყდება, რომ მუსლიმანური სამყაროს გარემოცვაში ვცხოვრობთ!

**— რამდენად მისაღები იქნება ამ პოზიციის დაფიქსირება ევროკავშირისთვის, რომლისკენაც მივისწრაფვით?**

**– რა ჯანდაბად გვინდა ამერიკის ქვეშევრდომი ევროპა? ან ეს სტატუსი რას მოგვიტანს? ევროპა ნელ-ნელა ინგრევა, საკუთარ თავს ვეღარ შველის და ჩვენ საით მივდივართ? უამრავი ლტოლვილი შევიდა ევროპაში, მათ შორის, მუსლიმანი, რომელიც მათ კანონებს არ ემორჩილება. ცოტა ხანში ისინი კიდევ უფრო გაძლიერდებიან და სერიოზული არეულობები დაიწყება.**

დიახ, საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება ევროპა და ამას თქვენ მალე დაინახავთ!

24 საათის განმავლობაში 12 პუნქტზე განუწყვეტელი ლაპარაკი, სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგია. სტატუსის მიღება იმისთვის სჭირდებათ, რომ კომფორტის მოყვარული ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ქუჩაში არ გამოვიდეს და ძალაუფლება შეინარჩუნონ. კიდევ ერთხელ ვამბობ: **ევროკავშირში შესვლა გარკვეული კომფორტის მიღებასთან ერთად ნიშნავს ქართველობის იდენტობის მოსპობას, ლგბტ ჯგუფების გაძლიერებას, ეკლესიის დასუსტებას და საქართველოში ლტოლვილების ნაკადის შემოსვლას.** პირდაპირ გეუბნებით — ევროპას დღეს ბოროტი ძალა მართავს.

ეს ის ევროპა აღარ არის, რომელიც 70-იან წლებში იყო. შუა ევროპაში ფულის აღებ-მიცემობაა გაჩაღებული და **ასეთი ევროპა ჩვენ არ გვჭირდება!** მათი ბოროტების პოლიტიკა სრული კრახით დამთავრდება. თქვენ ამას მალე დაინახავთ! ის კომფორტი, რასაც დღეს გვთავაზობენ, არის ცდუნება და არ აჰყვეთ ამ ცდუნებას! საქართველოს გადასარევი შანსი აქვს, გაძლიერდეს და მისაბაძი ქვეყანა გახდეს.

მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს იმისთვის, რომ დღეს საქართველოში მეორე ფრონტი არ არის გახსნილი. წინა პრემიერების ხელში ახლა სად ვიქნებოდით, კაცმა არ იცის. კიდევ ერთხელ ვამბობ — **უკრაინა ამზადებს ბოევიკებს.** ამერიკის ახალი ელჩი კელი დეგნანზე გაცილებით უარესია და ფერადი რევოლუციების მოწყობაშია გაწაფული. ცოტა ხანში **კელი დეგნანი** სანატრელი გახდება.

აქვე ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთი ოჩამჩირეში სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობას იწყებს!

**— ფიქრობთ, რომ უკრაინიდან გამოსროლილი რაკეტა შეიძლება საქართველოში ჩამოვარდეს...**

— დიახ, დიახ... უკრაინელებმა რომ მოინდომონ ამერიკული რაკეტის ოჩამჩირის სამხედრო ბაზის მიმართულებით გამოსროლა და ზუსტად ვერ გათვალონ ტრაექტორია, როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება ჩამოვარდეს? ზუგდიდში! ეს რომ არ მოხდეს, სწორედ ამიტომ უნდა დაველაპარაკოთ რუსეთს! დიახ, ირაკლი ღარიბაშვილი არა მხოლოდ ურბანს, სი ძინპინს და სხვა ლიდერებს, არამედ რუსეთსაც თამამად უნდა დაელაპარაკოს. ნუ გეშინიათ ნაციონალების მიერ ხალხის აბუნტების. წინ ორი ურთულესი წელიწადია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შავი და თეთრი ძალების შეჯახების პროცესში ქვეყანაში მშვიდობა შევინარჩუნოთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„მასონების პირველი სამიზნე რუსეთი იყო. მეფის ჩამოგდების შემდეგ იქ მიავლინეს ლენინი და ტროცკი. სწორედ ლენინმა ჩაატარა პირველი ექსპერიმენტი, რაც შედიოდა მასონურ ძალთა გეგმებში — მასების ზომბირება, ადამიანების მაქსიმალურად განადგურება და საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრება!“**

# კახა საბახტარიშვილი:

# „იზჟოგა“ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს ოთხჯერ უფრო ხშირად ემართებათ!

***გულძმარვა, ანუ ე.წ. „იზჟოგა“, რომელიც კუჭის მჟავიანობასთან პირდაპირ კავშირშია, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი მიიჩნევს, რომ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა „იზჟოგას“ არასწორი და აბსურდული მეთოდებით ებრძვის და ამ მიზნით კუჭის მჟავიანობის დამწევ პრეპარატებს ღებულობს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ცეცხლზე ნავთის დასხმა:***



— საქართველოში ათეული ათასობით ადამიანი გულძმარვით, ანუ ე.წ. „იზჟოგით“ იტანჯება. ეს ის შემთხვევაა, როცა კუჭის წვენი ხვდება საყლაპავ მილში და იწვევს მის გაღიზიანებას, რაც დამწვრობასაც კი შეიძლება შევადაროთ. შემაწუხებელი შეგრძნებისა და დისკომფორტის მოსახსნელად ასეთ დროს ზოგი სოდიან წყალს სვამს, ზოგი — „ბორჯომს“, ზოგი — კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევ ომეპრაზოლს და სხვა პრეპარატებს, მაგრამ, როგორც წესი, პრობლემა მხოლოდ დროებით გვარდება. როცა ასეთი პაციენტები ექიმთან გამოკვლევაზე მიდიან, უმრავლესობას **გასტროეზოფაგური რეფლუქსის** დაავადება უდასტურდება.

**— მაინც რა არის ამ დაავადების არსი?**

— ყველამ იცის, რომ კუჭი გამოიმუშავებს კუჭის წვენს, რომელიც ძალზე მაღალი მჟავიანობით ხასიათდება და 1-დან 3 ერთეულამდე აღწევს. ცნობისათვის, რაც უფრო მაღალია ეს ციფრი, მჟავიანობა უფრო ნაკლებია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კუჭის მჟავიანობა 100 მილიონჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სისხლის მჟავიანობის მაჩვენებელი. თავისი სიძლიერით კუჭის წვენი ლამის მანქანის აკუმულატორის მჟავას უტოლდება, მაგრამ არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან კუჭის უჯრედები სქელი დამცავი ფენით არის დაფარული.

კუჭში ასეთი მაღალი მჟავიანობის არსებობა განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

**1.** კუჭის წვენი ანეიტრალებს ყველა იმ ბაქტერიას, ვირუსს, სოკოსა და კანდიდას, რომელიც ორგანიზმში შესაძლოა, საკვების მეშვეობით მოხვდეს!

**2.** კუჭის წვენში შემავალი მარილმჟავა ცილებს შლის ამინომჟავებად, რომლებიც ორგანიზმის ძირითადი საშენი მასალაა.

**3.** კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა განაპირობებს ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კალციუმის, მაგნიუმის, რკინისა და თუთიის ათვისებას.

**4.** მხოლოდ კუჭის მაღალი მჟავიანობა არის იმის გარანტი, რომ ორგანიზმმა აითვისოს A, C და B ჯგუფის ვიტამინები. დაბალი მჟავიანობის პირობებში ეს ვერ მოხდება.

**5.** რომ არა კუჭში მაღალი მჟავიანობა, შეუძლებელი იქნებოდა ნაღვლდენა და პანკრეასის მიერ საჭმლის მომნელებელი ფერმენტების გამომუშავება.

თავიდანვე შევთანხმდეთ იმაზე, რომ **კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა მისი ნორმალური მდგომარეობაა.** ცხადია, ასეთი მაღალი კონცენტრაციის მჟავა, კერძოდ, მარილმჟავა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხვდეს არც საყლაპავ მილში და არც თორმეტგოჯა ნაწლავში, რომელიც კუჭის გაგრძელებად ითვლება. სწორედ ამიტომ არსებობს ორი სპინქტერი — **საყლაპავის ქვედა სპინქტერი,** რომელიც კუჭისა და საყლაპავი მილის შეერთების ადგილას მდებარეობს და **პილორუსის სარქველის სპინქტერი.** ეს უკანასკნელი კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავს ერთმანეთისაგან ჰყოფს. **„ბერდ“**-ის, ანუ **გასტროეზოფაგური რეფლუქსის** დროს, საყლაპავის ქვედა სარქველი არ იხურება, კუჭის მჟავა პირდაპირ საყლაპავში ხვდება და ვითარდება **გულძმარვა ანუ ე.წ. „იზჟოგა“.**

**— როგორ იქცევა „იზჟოგის“ დროს ოფიციალური მედიცინა?**

— მთელ მსოფლიოში ასეთ პაციენტებს კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევ პრეპარატებს უნიშნავენ. უმეტესწილად ეს არის **ომეპრაზოლის** ჯგუფის პრეპარატები. ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს, რომ მხოლოდ შეერთებულ შტატებში კუჭის წვენის სიმჟავის დამწევ პრეპარატებს რეცეპტით დაახლოებით 15 მილიონი ადამიანი მაინც ღებულობს. ცხადია, გაცილებით დიდი იქნება მათი რაოდენობა, ვინც იმავე პრეპარატებს ურეცეპტოდ მოიხმარს. **მხოლოდ ამ პრეპარატების გაყიდვით შეერთებული შტატების ფარმაცევტული ინდუსტრია ყოველწლიურად 9 მილიარდ დოლარს ღებულობს. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოშიც ანალოგიური სურათი იქნება, ოღონდ მცირე მასშტაბით.** არადა, დადასტურებული ფაქტია, რომ კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევი პრეპარატების ხანგრძლივი მიღება სიკვდილის რისკს 25 პროცენტით ზრდის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს — 20 პროცენტით, ხოლო კიბოს განვითარების რისკს — 50 პროცენტით! **გასტროეზოფაგურ რეფლუქსსა და მის თანმხლებ „იზჟოგას“ კუჭის წვენის სიმჟავის დამწევი მედიკამენტები ვერ არჩენს!** ამის მიზეზი ის არის, რომ თავად მკურნალობის არსია არასწორი. კერძოდ, საყლაპავში კუჭის წვენი ხვდება და შემდეგ იწყება **„იზჟოგა“,** მაგრამ ამის მიზეზი არა მაღალი მჟავიანობა, არამედ პირიქით, კუჭის დაბალი მჟავიანობაა.

**„კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევი პრეპარატების ხანგრძლივი მიღება სიკვდილის რისკს 25 პროცენტით ზრდის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს – 20 პროცენტით, ხოლო კიბოს განვითარების რისკს – 50 პროცენტით!“**







**— თქვენ ამბობთ, რომ კუჭის წვენი საყლაპავ მილში არა მაღალი, არამედ დაბალი მჟავიანობის გამო ხვდება?**

— ამას მე კი არ ვამბობ, ფიზიოლოგია ამტკიცებს. როცა კუჭის წვენის მჟავიანობა ნორმაშია, ანუ 1-დან 3 ერთეულამდე. ასეთ დროს საყლაპავი მილის სარქველი იხურება და კუჭის წვენი საყლაპავში ვერ ხვდება, მაგრამ როცა სხვადასხვა მიზეზის გამო კუჭის წვენის მჟავიანობა დაბალია, არანაირი პირობა არ არსებობს, რომ საყლაპავი მილის სარქველი დაიხუროს და კუჭის წვენი საყლაპავში არ მოხვდეს. მიმაჩნია, რომ ტერმინი — **„კუჭის წვენის ნორმაზე მაღალი მჟავიანობა!“** — აბსურდულია. **ვაცხადებ კატეგორიულად: შევეშვათ მითებს და დავიმახსოვროთ, რომ არ შეიძლება, კუჭის წვენი ნორმაზე მეტად მჟავე იყოს! კუჭის წვენის მჟავიანობა შესაძლოა, იყოს ნორმალური, ან ნორმაზე დაბალი... მაღალი ვერაფრით იქნება!**

**— მაშინ გამოდის, რომ როცა „იზჟოგის“ ჩასაქრობად კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევ პრეპარატებს ვსვამთ,**

## კვირგვინოსნები

**ლევან კალანდარიშვილი**
*არქიტექტორი*



დიახ, გავაკეთეთ გმირთა მოედანი და **მისი პროექტი გააკეთა ადამიანმა, რომელსაც არასდროს ჰქონია შესრულებული მსგავსი პროექტი და იქ მუდმივად საცობია.** რატომ ავირჩიეთ მაინცდამაინც ეს ადამიანი და რატომ ვართ მუდმივად დამოკიდებული ვიღაცის, მაპატიეთ გამოთქმისთვის, ხოშზე?!

„თბილისელები“

**ფიქრია ჩიხრაძე**
*პოლიტიკოსი*



სადმე რომ არ მინდა წასვლა, ვამბობ, რომ **სადღაც მივდივარ დაკრძალვაზე.** მეტი დამაჯერებლობისთვის, ერთი პერიოდი, თბილისთან ახლოს მდებარე ქალაქი მქონდა ამოჩემებული და **სულ იქ დავდიოდი დაკრძალვაზე.**

„თბილისელები“

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი*



არც ვაპირებდი **ღვიძლის გადანერგვას.** ყველაფერი უფლის ნებით ხდებოდა. არც ფული არ მქონდა. **არ შემიძლია, მადლობა არ ვუთხრა ირაკლი ღარიბაშვილს,** რომელმაც პირადად დამაფინანსა. სახელმწიფომ კი არა, პირადად, არც მითხოვია. **შემთხვევით გაუგია და თვითონ დამირეკა.** თავიდან მეგონა, ვიღაც მაშაყირებდა, ვერ წარმომედგინა.

„რეზონანსი“

**თემიკო ჭიჭინაძე**
*მსახიობი*



ღვინო **კრამიტიდანაც დამილევია, ჭინჭილიდანაც და ყანწიდანაც.** ტრადიციას, რომ **ქალმა სამზარეულოში იფუსფუსოს, კაცებმა კი სუფრასთან იქეიფონ, არც ვეთანხმები** და უკვე არც არსებობს. სუფრა ქალის გარეშე რა სუფრაა?! კი, უნდა გააწყოს, მაგრამ **მანაც ისეთივე მონაწილეობა უნდა მიიღოს სუფრის მსვლელობაში, როგორიც მამაკაცმა.**

„სარკე“

# „გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსისა და „იზჟოგის“ დროს საუკეთესო საშუალება ძმრიანი წყალია!“

**ამით ცეცხლზე ნავთს ვასხამთ?**

— დიახ, საყლაპავი მილის სარქველი მხოლოდ იმიტომ არ იხურება და კუჭის წვენი მასში შეუფერხებლად იმიტომ ხვდება, რომ მისი მჟავიანობა დაბალია, ხოლო, როცა ამ ისედაც დაბალ მაჩვენებელს პრეპარატების ზემოქმედებით კიდევ უფრო დაბლა ვწევთ, მდგომარეობას ვაუარესებთ!

**— შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს „იზჟოგა“ რამდენად ხშირად აწუხებთ?**

— შაქრიანი დიაბეტის დროს კუჭის წვენის მჟავიანობა უმრავლეს შემთხვევაში დაბალია. ამიტომაც **გასტროეზოფაგური რეფლუქსი და „იზჟოგა“** შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს ოთხჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე იმათ, ვისაც დიაბეტი არ აწუხებს. დიაბეტიანებში ასევე უფრო ხშირად გვხვდება გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, რასაც **ჰელიკობაქტერია პილორი** იწვევს. ეს საშიში ბაქტერია ადამიანთა 50 პროცენტზე მეტს აქვს, მაგრამ როცა კუჭის წვენის მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია, ბაქტერია უვნებელია. საკმარისია, მჟავიანობამ დაიწიოს, რომ ჰელიკობაქტერია პილორი ტუტე გარემოში გააქტიურდება და გამოყოფს **ამიაკს,** რომელიც, თავის მხრივ, ტუტეს წარმოადგენს. ამით კუჭის წვენის მჟავიანობა კიდევ უფრო დაბლა დაიწევს და ვითარდება წყლული.

**— ოჯახურ პირობებში როგორ უნდა მივხვდეთ, რომ დაბალი მჟავიანობა გვაქვს?**

— ამისთვის ორი გზა არსებობს. პირველი მეთოდია ე.წ. **„რიდლერის ტესტი“.** კუჭი მდებარეობს მკერდის ძვლის დაბოლოებიდან დაახლოებით 3-4 სანტიმეტრით ქვემოთ. გადავზომოთ ეს მანძილი და შემდეგ მარცხნივ 3-4 სანტიმეტრის მოშორებით წავაწყდებით ნეკნს. დავაჭიროთ ამ ნეკნს ხელი... თუ ტკივილს ვიგრძნობთ, კუჭის წვენის მჟავიანობა დაბალია. მეორე ტესტი უფრო მარტივია: **უზმოზე ჩაის კოვზის მეოთხედი სოდა გავხსნათ 200 გრამ თბილ წყალში** და დავლიოთ. თუ კუჭის წვენის მჟავიანობა დაბალია, მაშინ სოდის დალევიდან 5 წუთის განმავლობაში აუცილებლად დაგვაბოყინებს, ანუ დაიწყება **ნეიტრალიზაციის რეაქცია,** როცა მჟავა ტუტეს გაანეიტრალებს, ხოლო თუ კუჭში მარილმჟავა ნორმაშია, მაშინ არანაირ ბოყინს ადგილი არ ექნება.

**— რა გართულებები და პათოლოგიები შეიძლება გამოიწვიოს კუჭის წვენის დაბალმა მჟავიანობამ?**

— ამ მდგომარეობამ მოსალოდნელია, უამრავი პრობლემის წინაშე დაგვაყენოს. ორგანიზმმა შესაძლოა, ვერ აითვისოს რკინა და განვითარდეს ანემია. გარდა ამისა, კუჭმა ვერ გაანეიტრალოს ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები და დაიწყოს ინფექციური პროცესები. **დაბალი მჟავიანობის დროს საკვების სახით კუჭში მოხვედრილი ცილა ამინომჟავებამდე სრულად ვერ იშლება, რასაც შესაძლოა, სხვადასხვა სახის ალერგიები და აუტოიმუნური პროცესები მოჰყვეს.** საჭმლის მომნელებელი ფერმენტები, როგორც წესი, კუჭის წვენის ნორმალური მჟავიანობის დროს აქტიურდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფერხდება ნაღვლდენა და პანკრეასის ჯირკვლის მიერ საჭმლის მომნელებელი ფერმენტების გამოყოფა. კუჭი მარილმჟავასთან ერთად გამოყოფს ე.წ. **შინაგან ფაქტორს.** ეს სპეციალური ცილაა, რომელიც წვრილ ნაწლავებში B12 ვიტამინის ათვისებას განაპირობებს. ამ ვიტამინის დეფიციტი იწვევს დაღლილობას, ანემიას, მეხსიერების პრობლემებს, ჭკუასუსტობას, პარკინსონს და ა.შ.

**— მაინც რა იწვევს კუჭის წვენის დაბალ მჟავიანობას?**

— კუჭის წვენის, ანუ მარილმჟავის დაბალ კონცენტრაციას იწვევს **შაქარი, ნახშირწყლები, გლუტენი, ალკოჰოლი, მზესუმზირის ზეთი, K და D ვიტამინის** ნაკლებობა და, რაც მთავარია, კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევი პრეპარატები. მარილის მიღების მკვეთრი შეზღუდვა კუჭში მარილმჟავას დონეს დაბლა სწევს. **ვინც მარილს საერთოდ არ ეკარება, იმუნიტეტიც დაქვეითებული აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ იმუნური სისტემის ორი უჯრედი, რომელთაც მაკროფაგები ეწოდებათ, ორგანიზმში მოხვედრილი საშიში ვირუსების, ბაქტერიებისა და სოკოების გასანეიტრალებლად გამოიმუშავებენ ქლორის ჰიდროქლორატს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სადეზინფექციო ქლორი და მომენტალურად ანადგურებს მავნე პათოგენებს.** ამ ქლორს სუფრის მარილის გარდა ორგანიზმი სხვა გზით ვერანაირად ვერ მიიღებს. ამიტომ მარილი დღის განმავლობაში **1,5 ჩაის კოვზამდე** აუცილებლად უნდა მივიღოთ. უმჯობესია ზღვის მარილი, რომელიც ქლორის გარდა, უამრავ სასარგებლო მინერალსაც შეიცავს.

**— როგორ ვუმკურნალოთ „იზჟოგას“?**

— რაც გინდა უცნაურად მოგეჩვენოთ, **გასტროეზოფაგური რეფლუქსისა და „იზჟოგის“** დროს საუკეთესო საშუალება **ძმრიანი წყალია!** ძმრის მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის მაჩვენებელი 2,5 ერთეულია, რითიც ის კუჭის წვენის მარილმჟავას ანალოგია. გარდა ამისა, ძმრიანი წყალი ააქტიურებს კუჭის წვენის გამომყოფ უჯრედებს. როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, ძმრიანი წყლის მიღება არ შეიძლება, როცა ადამიანს გასტრიტი ან წყლული აწუხებს. ამ შემთხვევაში „იზჟოგის“ განსაკურნებლად არსებობს სხვა ეფექტური მეთოდები და საშუალებები, რომელთა შესახებაც მომავალში მოგითხრობთ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***















## კვირგვინოსნები



**ნონა გაფრინდაშვილი**
*ჭადრაკის დედოფალი*

**ჩემი სამყარო რაცაა და რაშიც წარმატებისთვის მიმიღწევია, რაც მიყვარს, იმას ვაგრძელებ.**

„კვირის პალიტრა“



**თორნიკე გოგიჩაიშვილი**
*რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი*

შეეშვით სიცრუის ტირაჟირებას, **ქართული რაგბი ფინანსურად ასეთი სტაბილური არასდროს ყოფილა.**

„ახალი თაობა“



**ზურაბ ყიფშიძე**
*მსახიობი*

სოფლები თანდათან იცლება. **სადაც ჩვენ არ ვიქნებით, იქ სხვები დასახლდებიან და გამრავლდებიან** — ამის მიხვედრას რა დიდი ექსპერტობა და პოლიტიკოსობა უნდა?!

„კვირის პალიტრა“



**ნატო გელაშვილი**
*მომღერალი, კომპოზიტორი*

ვარსკვლავი ჩემს მსმენელს გეკუთვნით და გჩუქნით. **თქვენ მხოლოდ სიყვარული მაჩუქეთ, რასაც აქამდე მჩუქნიდით.** ჩემთვის ეგ სრულიად საკმარისია.

„ახალი თაობა“



**სალომე გოგიაშვილი**
*ყოფილი ტელეწამყვანი*

**მე და ჯარიმები,** თამამად ვიტყვი, ფაქტობრივად, **ერთად ვცხოვრობთ.** ეს ძალიან მტკივნეული თემაა და ყოველ გადახდაზე ყველას ისე **„გემრიელად ვიხსენებ“.**

„თბილისელები“



**ანანო მახარობლიშვილი**
*მსახიობი*

ამერიკაში რომ დავრჩენილიყავი, **იქ შეიძლებოდა, სულ სხვა ცხოვრება მქონოდა,** მაგრამ არაფერს ვნანობ.

„თბილისელები“

# შევარდნაძის საიდუმლო




დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო! ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ორი ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი! ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება!***

„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პუბლიკაციათა სერიას ედუარდ შევარდნაძის მემუარების — „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ — განსახილველად და გასაანალიზებლად. თუ საფუძვლიანად გავიაზრებთ, რა მოხდა გუშინ, ვინძლო, ისიც გავიგოთ, რა ხდება დღეს და რა გველის ხვალ!

შევარდნაძე თავის მემუარებში „ვარდების რევოლუციის“ გაანალიზებისას, როდესაც სახელმწიფო გადატრიალებაში **ჯორჯ სოროსისა** და საქართველოში მოქმედი მისი ფონდის როლზე მსჯელობს, იხსენებს, როგორ შემოუშვა ქვეყანაში მისთვის ეს საბედისწერო ფაქტორი:

***„სიტყვამ მოიტანა და, ჯორჯ სოროსთან თავის დროზე კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთობლივად და თანადაფინანსებით, ჩვენ საქართველოში დავაარსეთ „სოროსის საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელმაც ათი წლის მანძილზე შიმშილს გადაარჩინა ბევრი ქართველი მეცნიერი და მასწავლებელი, გაარიდა ჩვენი ნიჭიერი ბავშვები ქუჩას — მიღებული გრანტებით მათ ოჯახის რჩენაც კი შეეძლოთ...***

***სხვათაშორის, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მეისონის უნივერსიტეტის პროფესორმა ვალერი სოიფერმა, ამ საერთაშორისო პროგრამის უშუალო ხელმძღვანელმა და დამაარსებელმა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 20).*

ასეა: როდესაც სოროსს სჭირდებოდა შევარდნაძე საქართველოში შემოსაღწევად და დასაფუძნებლად, ის თვით ტოლერანტობა და ლოიალობა იყო, მაგრამ როდესაც **სოროსმა თავისი ფონდით 10 წლის მანძილზე საქართველოში გამოზარდა საკუთარი არმია,** შევარდნაძე გვერდზე მოისროლა!

რაც შეეხება სოროსის ემისარ **სოიფერს,** შევარდნაძე მასზე ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ მე მოგახსენებთ: **ეს სოიფერი საქართველოში ჩამოიყვანა და შევარდნაძეს წარუდგინა გერმანიაში ელჩად მომსახურე კოტე გაბაშვილმა!** და არც ის იყო შემთხვევითი, რომ **კოტე გაბაშვილის** შვილი **გოკა** „სოროსის ფონდის“ ერთ-ერთ ლიდერად დასაქმდა, ხოლო „ვარდების რევოლუციას“ **ლანა ღოღობერიძეებმა** და **კოტე გაბაშვილებმა** შევარდნაძეს როგორ უღალატეს ახალი პატრონების — **სააკაშვილისა და ჟვანიას ნავში** ჩახტომით, ეს ყველასთვის ცნობილია!

შემდეგ, მემუარისტი ერთობ საგულისხმო ლირიულ გადახვევას გვთავაზობს, რასაც ორი სიტყვით ეს შეიძლება ვუწოდოთ — **„როგორ გავლესე ჩემი დასაკლავი დანა“:**

***„გავერანებულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ორი რამ დავისახე მიზნად: საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ჩაყრა და რეალური დემოკრატიის დამკვიდრება*** *(ქვეყანას სამხედრო საბჭო მართავდა).* ***იმ დროისთვის საქართველოში, როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, დასავლური დემოკრატია „უცხო ხილი“ იყო — მისი არანაირი გამოცდილება არ არსებობდა. გამოვყოფდი მხოლოდ საბჭოთა დისიდენტურ მოძრაობას, რომელსაც საქართველოში გასაგები მიზეზების გამო, იმთავითვე ნაციონალისტური ხასიათი ჰქონდა.*** *ჩვენ უნდა გვესწავლა ცხოვრება ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში: ხელისუფლების ლეგიტიმაცია, დემოკრატიული არჩევნები, სიტყვის თავისუფლების დამკვიდრება, დამოუკიდებელი მასმედიის ჩამოყალიბება და, რაც მთავარია, სამოქალაქო საზოგადოებისთვის საარსებო სივრცის გახსნა.* ***90-იანი წლების ბოლოსთვის ჩვენ ამას ნაწილობრივ მივაღწიეთ კიდეც — არასამთავრობო სექტორის სიდიდის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი პირველი გახლდათ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის“*** *(იქვე, გვ. 21).*

მიაქციეთ ყურადღება, „დიდი დემოკრატი“ შევარდნაძე როგორ **სუსლოვის** დროინდელი დახავსებული საბჭოთა კლიშეთი მოიხსენიებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას — **იმთავითვე ნაციონალისტური, ანუ ლამის სამარცხვინო და როგორც დღევანდელი ლიბერასტები იტყვიან, ქსენოფობიური იყოო!**

ანუ შევარდნაძის განმარტებით, **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა** და მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ფაშისტურ-ნაციონალისტური იყო — **ზუსტად ასე აფასებდა და ამართლებდა „ვრემია“ 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე, სამშობლოს თავისუფლებისთვის გამოსული ქალებისა და გოგონების სადესანტო ნიჩბებით აკეპვასა და გაზით დაგუდვას!**

და კიდევ: რასაც შევარდნაძე საქართველოში „უცხო ხილის“ — დემოკრატიის დამკვიდრებისთვის თავგანწირულ ღვაწლად მიიჩნევს, მისი ხელისუფლებიდან გაგდებისთვის ჩვენს ქვეყანაში სანთლითაც არ იძებნებოდა:

**არც მინიმალურად დემოკრატიული არჩევნები** (შევარდნაძის ეპოქაში საქართველოში ყველა არჩევნები საზიზღრად გაყალბდა), **არც სიტყვის თავისუფლება, არც დამოუკიდებელი მედია...**

**ერთადერთი, რაც შევარდნაძემ მართლაც შექმნა, ეს არასამთავრობოების ობობის ქსელი იყო და სწორედ ამან მოუღო კიდეც ბოლო მის რეჟიმს,** როგორც მოგახსენეთ, ამ ორგანიზაციებში სოროსის ფულით გამოზრდილი არსებების ხელით!

და როგორ „დემოკრატიულად გახრწნილი“ და არაადეკვატური იყო შევარდნაძის ხელისუფლება იმითაც კარგად ჩანს, რომ უკვე აშკარად „დაქოქილი“ რევოლუციისას, **2003 წლის 18 ნოემბერს, იუსტიციის საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა შემდგომში უკვე სკანდალურად ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის ფონდი“,** აი, ამ გამგეობის წევრებით: **გიგი ბოკერია, ეკა ქვესიტაძე, ნათია ზამბახიძე, ზაალ სამადაშვილი...** და ეს მოხდა „ვარდების რევოლუციით“ შევარდნაძის სახლში გაშვებამდე ოთხი დღით ადრე!

შევარდნაძე თავადაც აღიარებს, რომ მისი **„მეორედ მოსვლის“** შემდეგ ხელისუფლებაში გატარებული 11 წლის განმავლობაში ბევრიც ვერაფერი გააკეთა მინიმალურად ნორმალური სახელმწიფოს შექმნისთვის:

***„დემოკრატიზაციის პროცესის სრულყოფა ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა: ვერ ჩამოყალიბდა ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის განვითარების მდგრადობას უზრუნველყოფდნენ. შედეგად მივიღეთ მყიფე სახელმწიფო ძლიერი და დინამიური სამოქალაქო საზოგადოებით. საზოგადოების ლიბერალიზაციისკენ მიმართული ჩემი პოლიტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა სახელმწიფო სტრუქტურების ძირეული რეფორმირებისათვის“*** *(იქვე, გვ. 21).*

ანუ ეს რომ მარტივად გადმოვთარგმნოთ, ერთ რამეს ნიშნავს: **შევარდნაძე აღიარებს საკუთარი მმართველობის კრახს!**

აბა, სხვა რა ჰქვია იმას, როცა 11 წლის განმავლობაში ელემენტარული მდგრადობის სახელმწიფო ინსტიტუტებს ვერ შექმნი და სოროსელი გოგო-ბიჭები თავზე დაგამხობენ ქვეყანას?!

მემუარისტს თავად მოჰყავს ერთი მაგალითი, რა ფსკერის დონის სახელმწიფოც აახუხულა:

***„ზემოთქმულის ნათელ დადასტურებად მიმაჩნია 2001 წლის შემოდგომაზე განვითარებული მოვლენები. ერთ-ერთ დამოუკიდებელ ტელეკომპანიას საგადასახადო საქმიანობის შესამოწმებლად მიაკითხეს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმა. ეს ვიზიტი იმდენად მოუმზადებელი და უსუსური გამოდგა, რომ მას თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა. საქმე თითქმის კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივ კრიზისამდე მივიდა, რის შედეგად მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა. მხოლოდ ასე მოხერხდა ერთობ რთული სიტუაციის კონსტიტუციურ და დემოკრატიულ ჩარჩოებში მოქცევა და განმუხტვა“*** *(იქვე, გვ. 21).*

ჯერ ერთი, მაშინ ოპოზიციური ძალების მთავარ რუპორ **„რუსთავი-2“-ში** საგადასახადო საქმიანობის შესამოწმებლად „შესაბამისი ორგანოები“ სულაც არ შესულან: რა უნდოდათ უშიშროების სამსახურის შავტყავქურთუკიან თანამშრომლებს ტელევიზიაში?!

მეორეც, **ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, დაიჯერო, რომ ოპოზიციურ ტელევიზიაში უშიშროების დესანტის გაგზავნა თვითშემოქმედება იყო, და ეს არ ყოფილა თვით პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეთანხმებული!**

რა თქმა უნდა, „საგადასახადო საქმიანობის“ შემოწმება იაფფასიანი საბაბი იყო, მიზანი კი მარტივი გახლდათ: **ტელეკომპანია, რომელიც სისხლს უშრობდა კრიტიკით** (ხშირად ცილისმწამებლურითაც!) **ხელისუფლებას, ასეთი ბრუტალური მეთოდებით, მინიმუმ უნდა დაეშინებინათ, მაქსიმუმ კი ისე მსუყედ დაეჯარიმებინათ, რომ არსებობა შეეწყვიტა!**

და, რაც მთავარია, ამ სკანდალს მოჰყვა მთელი მთავრობის გადადგომა — აი, ასე ძვირად დაუჯდა ხელისუფლებას ეს სისულელე!

და რაც მნიშვნელოვანია, ამ ამბებს შეეწირა შინაგან საქმეთა მინისტრის — **კახა თარგამაძის** თანამდებობა: სწორედ, ამ „რკინის კაცად“ წოდებული ძალოვანი მინისტრის მოშორება იყო **სააკაშვილ-ჟვანიას დაჯგუფების** ძირითადი მიზანი და ამას მიაღწიეს კიდეც!

და შევარდნაძემ უპრობლემოდ მიიღო მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის **ზურაბ ჟვანიას** ულტიმატუმური შეთავაზება: **მეც გადავდგები და თარგამაძემაც დატოვოს ხელისუფლებაო!**

გათვლა მარტივი იყო: შევარდნაძის ხელისუფლების ძლიერი ძალოვანი უწყების მინისტრის გარეშე დატოვება!

შევარდნაძე თავად იხსენებს, რომ ეს მოვლენები 2003 წლის რევოლუციის ერთგვარი პრელუდია, ასე ვთქვათ, რეპეტიცია იყო:

***„ბევრს მიაჩნია, რომ იმ დღეების საპროტესტო აქცია 2003 წლის მოვლენების რეპეტიციას წარმოადგენდა, თუნდაც იმიტომ, რომ მთელ ამ პროცესს ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი უმაგრებდა ზურგს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობდი: ჩემთვის ესეც დემოკრატიის თავისებური გაკვეთილი იყო“*** *(იქვე, გვ. 22).*

დიახ, შევარდნაძე საკუთარი პირით ამბობს, რომ ადეკვატურად ვერ აფასებდა მოვლენებს და მწარედ ცდებოდა!

ეს „დემოკრატიის თავისებური გაკვეთილი“ კი არა, მის მიერვე გამოზრდილ პოლიტიკოსთა რევოლუციური სამზადისი იყო!




და სხვათაშორის, **მემუარისტის მიერ ხსენებული „ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი“, ზურგს რომ უმაგრებდა „რუსთავი-2“-ში უშიშროების სამსახურის უაზრო შეჭრის კვალობაზე დაწყებულ სახალხო გამოსვლებს, სწორედ ზურაბ ჟვანია იყო, რომელსაც თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ განიხილავდა!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

***ქართველი და ოსი ხალხის მეზობლურ-ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. მიუხედავად გასული საუკუნის მიწურულს ავადსახსენებელი ქართულ-ოსური დაპირისპირებისა, მათ გულში ღრმადაა გამჯდარი სტუმარ-მასპინძლობისა და ძმადნაფიცობის ტრადიციები! —***

*დამაჯერებლად აცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი* **რობერტ ოდიკაძე** *და ამის ერთ-ერთ უტყუარ მაგალითად ქართული ცოდნის ტაძარი — ვლადიკავკაზის მე-19 საშუალო სკოლა მოჰყავს, რომელსაც ამ დღეებში დაარსებიდან 135 წელი შეუსრულდა.*







# რობერტ ოდიკაძე:

# ვლადიკავკაზის ქართული სკოლის ზარი 135 წლის შემდეგაც რეკავს!

ლეგენდად იქცა ოსური ლიტერატურის დამფუძნებლის, პოეტ **კოსტა ხეთაგუროვისა** და პუბლიცისტ **მიხეილ ყიფიანის** მეგობრობა. ბოლოქარი სიცოცხლის ბოლომდე ისინი კავკასიური ადათ-წესით ძმადნაფიცებად დარჩნენ.

ცნობილი მთარგმნელისა და პედაგოგის **მიხეილ ყიფიანის** ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურის, ოს-ქართველთა მრავალწლიანი თანაცხოვრებისა და მეგობრობის მარად წარუშლელი ნიშანსვეტია. იგი წლების მანძილზე დაუღალავად იღვწოდა მაშინდელი თერგის ოლქის ქალაქ **ვლადიკავკაზში.**

სწორუპოვარი ერისკაცის მონდომებითა და მიზანსწრაფული ძალისხმევით ასრულდა კავკავის **(იგივე ვლადიკავკაზი. რედ.)** ქართველ მოსახლეთა ოცნება — **1888 წელს პირველად დარეკა აქ ქართული სკოლის ზარმა, რომელმაც სწავლამოწყურებულ მოზარდებს აკაკის, ვაჟასა და ილიას მშობლიურ ენაზე სწავლის დაწყება ამცნო.**

შუაგულ ოსეთში მე-19 საშუალო სკოლის ამოქმედებას წრფელი გულით მიესალმა გამოჩენილი ოსი პოეტი **კოსტა ხეთაგუროვი** და იქ მკვიდრი მოსახლეობა. საგულისხმოა, რომ ქართული სკოლის გახსნის ინიციატორი გახლდათ **ილია ჭავჭავაძეც.**

გასული საუკუნის დასალიერს, როდესაც ოს-ქართველთა ეთნიკური დაპირისპირება დაიწყო, **ქართული სკოლა დახურვის საფრთხის წინაშე დადგა. თუმცა, იგი თავად ადგილობრივმა ოსებმა დაიცვეს და გადაარჩინეს.** ამჟამად სკოლაში ქართველი და ოსი მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან ზოგად განათლებას. ინტერნაციონალურ პედკოლექტივში კვლავაც საქმიანი, მეგობრული ატმოსფერო სუფევს.

ახალგახსნილი საგანმანათლებლო კერა თანდათან გაფართოვდა, რადგან პატარა, ერთსართულიანი შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ქართველთა მზარდ მოთხოვნებს. **სახელოვანი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის შემართებითა და ქართველთა შემოწირულობებით ვლადიკავკაზი მალე ორსართულიანმა კაპიტალურმა შენობამ დაამშვენა.**

ახალ შენობაში საკლასო ოთახებთან ერთად განთავსდა მართლმადიდებლური ეკლესია (აღნიშნულ სასწავლებელში მოღვაწეობდა მღვდელი **გიორგი ნათაძე**), ქართული ბანკი, ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსები და სასცენო კლუბი, სადაც ხალხმრავალი წარმოდგენა-საღამოები იმართებოდა. ამაგდარმა მასწავლებელმა 14 წელი იღვაწა და უკვდავი სახელიც დატოვა — ეს სკოლა **ლუარსაბ ბოცვაძის** ფილტვებით სუნთქავსო!

ცნობისათვის: აღნიშნულ სკოლაში სხვადასხვა დროს სათანადო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა გასწიეს: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა **უშანგი ოზოლაძემ,** დამსახურებულმა მასწავლებელმა **დიმიტრი ყიფიანმა,** გამოჩენილმა მწერალმა **ლევან გოთუამ,** პედაგოგებმა **ოლია ბაქურაძემ, თამარ ებრალიძემ, გერონტი მეტრეველმა, ეკატერინე ჩაველიშვილმა, სოფიო ელიაშვილმა, გოცა ხომერიკმა.**

ნიშანდობლივია, რომ სკოლის სარდაფში ჟანდარმერიას აღმოუჩენია არალეგალური სტამბა, სასტიკად დაურბევია, ხოლო აქტივისტები **ელენე ყაზახაშვილი** და მისი მეუღლე **იოსებ ბაბლიძე** ციმბირში გადაუსახლებია.

დღეს ვლადიკავკაზის 135 წლის სკოლა სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილებით. მათ შორისაა: პროფესორი **ვანო შადური,** დოცენტი **პავლე ღუდუშაური,** პოეტები **ალექსანდრე გომიაშვილი, აკაკი გეწაძე** და სხვები.

ვლადიკავკაზის ქართული სკოლის 75 წლის იუბილეზე **ლევან გოთუა** წერდა: **„კავკასიონის პირიქითა მხარეში ამჟამად არ არსებობს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი კერა ქართული კულტურისა, ვიდრე თქვენი სკოლაა. მასწავლებელთა და მოსწავლეთა მთელი თაობა მოღვაწეობდა და აღიზარდა ამ შესანიშნავი სკოლის წიაღში“.**

„მეგობრობა გზად და ხიდად!“ — ეს შთაგონება აკავშირებდა მოყვასის მოსიყვარულე ქართველს **მიხეილ ყიფიანს** ცნობილ ოს პოეტ **კოსტა ხეთაგუროვთან.** ისინი ხშირად სტუმრობდნენ **აკაკი წერეთლის სახელობის ვლადიკავკაზის მე-19 ქართულ საშუალო სკოლას და ოს-ქართველთა ახლო ურთიერთობაზეც არაერთხელ უმსჯელიათ.**

საამაყო ერისკაცთა წრფელი მეგობრობის უტყუარი ნიმუშია 2001 წელს ვლადიკავკაზის ქართული სკოლის შენობის ფასადზე გამოკრული მემორიალური დაფა მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის გამოსახულებით. დაფაზე ქართულ, ოსურ და რუსულ ენებზე ამოტვიფრულია: **„ამ შენობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს ორი ერის ღირსეული წარმომადგენლები — მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი“.**

მემორიალური დაფის ავტორია ვლადიკავკაზელი ხელოვანი, რუსეთის დამსახურებული მხატვარი, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატი **ხ. ძბოევი.**

ოსი ხელოვანის აღნიშნული ნიმუში მართლაც ქართველებისა და ოსების ახლო მეგობრობის გამოხატულებაა. მის შესახებ სწორად აღნიშნა ჩრდილოეთ ოსეთის — ალანიის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ალექსანდრე ძასოხოვმა: „ეს ჩვენი სკოლაა. ჩვენ ვზრუნავდით და კვლავაც ვიზრუნებთ მასზე...“**

ქართული სკოლის ყოფილი დირექტორის **ეთერ ფიცხელაურის** თქმით, **„მე-20 საუკუნის უკანასკნელმა პერიოდმა კიდევ ერთი ლამაზი მეგობრობის ნიმუში გვაჩუქა. ოსი მსახიობი ბიბო ვატაევი და ქართველი მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე ძმადნაფიცები იყვნენ. ორივენი ოს და ქართველ ხალხს მეგობრობისკენ მოუწოდებდნენ.**

**უფალმა გვიმრავლოს ასეთი მეგობრები“.**

როგორც ჩვენი თანამემამულე, საუკუნეს წინმსწრები სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ამაგდარი მასწავლებელი **ლორა მესხიძე** მიიჩნევს — რუსთაველის მარად გაუხუნარი სტრიქონები — **„ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“** — საუკუნეთა გადაძახილია და ორ მონათესავე ხალხს შორის იავარქმნილი ხიდის აღდგენისაკენ მოგვიწოდებს. მძიმე დღევანდელობიდან გამომდინარე და ეთნიკური დაპირისპირების გამო თითოეული ჩვენგანის ვალია, ერთურთს შემოვუძახოთ: **„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“,** სხვა გზა-სავალი არ არსებობს!





კოსტა ხეთაგუროვი, მიხეილ ყიფიანი



**საამაყო ერისკაცთა წრფელი მეგობრობის უტყუარი ნიმუშია 2001 წელს ვლადიკავკაზის ქართული სკოლის შენობის ფასადზე გამოკრული მემორიალური დაფა მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის გამოსახულებით...**



# მიხეილ ცაგარელი:

# თვის დასაწყისში სირთულეები გველის, ხოლო 12-20 ნოემბრის შუალედი მეტად მშვიდი და პოზიტიური იქნება

*— ნოემბრის პირველ დეკადაში რა სირთულეები გველის, რისი მაღალი ალბათობა იქნება? ამ დროს რისგან გვმართებს თავის შეკავება, რა არ იქნება რეკომენდებული? თვის რომელი მონაკვეთი იქნება მეტად მშვიდი და სასიკეთო? ამ პოზიტიურ პერიოდში რა გაადვილდება? პლანეტათა ძლიერი ვიბრაციები რის საშუალებას მოგვცემს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში ნოემბრის მე-3 დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ღრიანკალის ზოდიაქოდან მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშანში? თვის ბოლო კვირაში რისი გათვალისწინება გვმართებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორი ასტროლოგიური ამინდი გველოდება გიორგობისთვეში?**

— **ნოემბრის დასაწყისი, სავარაუდოდ, დაძაბული და მშფოთვარე იქნება და 12 რიცხვამდე გაგრძელდება არასტაბილური, დამღლელი პერიოდი, რამაც ყველაფერთან ერთად შესაძლოა, ვირუსულ-ინფექციური დაავადებების აფეთქებაც გამოიწვიოს.** ნოემბრის ეს მონაკვეთი შესაძლოა, განსაკუთრებით ნეგატიური აღმოჩნდეს. **ამ დროს გართულდება ურთიერთგაგება როგორც პირადულ, ისე ნებისმიერ სხვა საკითხებში. პოლიტიკურ სარბიელზე მოსალოდნელი იქნება არაერთი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი, დაპირისპირება, საომარი მოქმედება. ასევე უნდა ვივარაუდოთ ტექნოგენური ავარიების დიდი ალბათობაც.** ყოველივე ამან შეიძლება, მნიშვნელოვნად დაამუხრუჭოს სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით დარეგულირების პროცესი, რის შედეგადაც გამორიცხული არ იქნება სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების მასშტაბების გაზრდა. არანაკლებ დისჰარმონიული შესაძლოა, იყოს ნოემბრის ეს მონაკვეთი პირადი და საქმიანი ურთიერთობებისთვისაც. გაუგებრობები, ურთიერთპრეტენზიები და ორაზროვანი სიტუაციები უარყოფითად აისახება არამარტო სასიყვარულო თუ საოჯახო, არამედ ბიზნეს-კავშირებზედაც და ზიანის მომტანი იქნება კეთილდღეობისა და სტაბილურობისათვის, ამიტომ **ამ პერიოდში არ არის რეკომენდებული რაიმე ახლის წამოწყება, ურთიერთობების გარჩევა.** უმჯობესია, დროებით გადაიდოს ყველა მნიშვნელოვანი საქმე, გარიგება თუ საპასუხისმგებლო მოლაპარაკებანი.

**— რას უნდა ველოდოთ 12 რიცხვის შემდგომ, ნოემბრის მეორე დეკადაში?**

— **12-20 ნოემბრის შუალედი მეტად მშვიდი იქნება.** თვის ამ მონაკვეთში შესაძლებელია, რთული პერიოდის შემდგომ ძალების აღდგენა და აუცილებელი ახალი შესაძლებლობების თუ რესურსის აღმოჩენა.

**— როგორი იქნება ამ დროს ვითარება ცის კაბადონზე?**

— **8 რიცხვიდან** სიყვარულისა და ხელოვნების მფარველი **პლანეტა ვენერა** თავის სახლში — **სასწორის** ზოდიაქოს ნიშანში შეაბიჯებს. **10 ნოემბრიდან** ინტელექტისა და გონების მმართველი პლანეტა **მერკური** დატოვებს **ღრიანკალის** ზოდიაქოს ნიშანს, საბოლოოდ კი **დედამიწის ბიოსფეროს** ნეგატიურ მდგომარეობას დაბლოკავს **მზე,** რომელიც 13 ნოემბრიდან დაასრულებს **ღრიანკალის** ნიშანში **ახალმთვარეობასთან** და პლანეტა **ურანთან** ჭიდილს. თვის ამ პოზიტიურ პერიოდში გაადვილდება ადრე წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირება და უთანხმოებების განეიტრალება. გარდა ამისა, **ადამიანებს გაუძლიერდებათ ინტუიცია, რომლის კარნახით მოქმედება, ხშირ შემთხვევაში, რაციონალურ აზროვნებაზე უფრო მეტად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს. 16 ნოემბრიდან** პლანეტების ძლიერი დადებითი ვიბრაციები საშუალებას მოგვცემს, აღმაფრენა ვიგრძნოთ, საუკეთესო თვისებები, ნიჭი და უნარები გამოვავლინოთ. ამ მხრივ ყველაზე წარმატებული **17-20 რიცხვების შუალედი** იქნება, როცა შესაძლებელი გახდება როგორც პირადი, საქმიანი, ისე საზოგადოებრივ-საერთაშორისო და სამხედრო-პოლიტიკურ არენაზე შეთანხმებების მიღწევა. **ამ დროს გაფორმებული ხელშეკრულებები და ხელმოწერილი საბუთები სასიკეთო შედეგს მოიტანს, რამეთუ ყველა მხარე საკითხებს პასუხისმგებლობით მიუდგება და თავის დანაპირებს შეასრულებს.** ამგვარი დადებითი ტენდენციები **25 ნოემბრამდე** გაგრძელდება.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ღრიანკალის ზოდიაქოდან მშვილდოსნის ზოდიაქოში?**

— **მზე 22 ნოემბერს (18.04) გადაინაცვლებს რა ღრიანკალიდან მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშანში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე გააძლიერებს ენერგიულობას, ლიდერულ და ორგანიზატორულ თვისებებს, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას, გონებამახვილობას და ასევე სულსწრაფობას, უყაირათობას, ეგოიზმს, სარკასტულობასა და დიქტატორულ ტენდენციასაც.

**— როგორი იქნება ვითარება 25 რიცხვის შემდეგ, თვის ბოლოს?**

— **25-30 ნოემბრის** შუალედში, შესაძლოა, კვლავ არასასიამოვნო ტენდენციებმა იჩინოს თავი, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად მათი ნეგატიური ძალა შესუსტებული იქნება და ნაკლებ ზიანს გამოიწვევს.

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 30 ოქტომბერი - 5 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საოჯახო და საქმიანი ურთიერთობებისთვის რთული პერიოდია. იმპულსურობამ შესაძლოა, კამათი გამოიწვიოს. ამავდროულად, მეტად მომხიბვლელი იქნებით და ბევრ თაყვანისმცემელს გაიჩენთ. მდგომარეობას უფრო მეტად დაძაბავს გარშემო მყოფებთან ფლირტი და თავნებობა. მესაკუთრულ-ეგოისტური დამოკიდებულება და ეჭვიანობა უსიამოვნებებს გიქადით. ალკოჰოლურ სასმელებს მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. მოგზაურობა სასურველ შედეგს ვერ მოგიტანთ.

**კურო** (21.04-20.05)
გაზრდილი მომხიბვლელობა უცხო ადამიანებთან ურთიერთობასა და საჭირბოროტო საკითხთა მოგვარებაში დაგეხმარებათ. საწადელის სწრაფად მიღების სურვილმა კი შესაძლოა, შეცდომები განაპირობოს. მოსალოდნელია საქმიანი შეხვედრები ან ხელშეკრულების დადება. შემოსავლების აფიშირებას მოერიდეთ. გადაადგილება-შეხვედრები გავლენის სფეროს გაგიზრდით, თუმცა, ახალი ურთიერთობა, შესაძლოა, მალევე დასრულდეს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ურთიერთობების რიცხვი უნდა შეამციროთ, რადგან ურთიერთგაგება იკლებს. ამ პერიოდში შეასრულეთ ისეთი სამუშაო, რომელიც არ საჭიროებს მკაცრ გრაფიკსა და დისციპლინას, რადგან უფრო შემოქმედებითობისა და იმპროვიზაციის განწყობაზე იქნებით. დამოუკიდებლად მუშაობა უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება. ახალ პროექტს ჯერ ნუ დაიწყებთ და საბუთებიც შეამოწმეთ. პირად ცხოვრებაში ერთფეროვნება დამღლელად მოგეჩვენებათ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
სერიოზულ გადაწყვეტილებას და მომავლის დაგეგმვას მოერიდეთ, რადგან გარემოებათა გამო შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს. განწყობა ხშირად შეგეცვლებათ, რაც არამარტო კარიერასა და პარტნიორულ ურთიერთობაზე, არამედ ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. კარგი იქნება, თუ დასვენებასა და პერსპექტივათა გააზრებას მეტ დროს დაუთმობთ. შორეული მოგზაურობა კი შესაძლოა, ხიფათიანი აღმოჩნდეს.

**ლომი** (23.07-23.08)
სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პროფესიული დონის ამაღლების სურვილი შესაძლოა, საკამათო თემად იქცეს. ძალას ნუ დაატანთ, თუ რაიმე სწრაფად არ გამოგივათ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. ინტუიციას მეტად მოუსმინეთ. მოგზაურობა უმჯობესი იქნება ახლობლებთან ერთად, ოღონდ მათი სურვილებიც გაითვალისწინეთ, რათა არ იკამათოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ოჯახში მიმდინარე მოვლენები, სახლის კეთილმოწყობა მთელ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს და პროფესიული საქმიანობისგან მოგაცდენთ. მაღალი ენერგომაჩვენებლების მიუხედავად, ეცადეთ, არ გადაიღალოთ. ზედმეტი შრომითა თუ ფიქრით პირად ურთიერთობაში, რაც უფრო უპრეტენზიო იქნებით, მით მეტ სიყვარულსა და მხარდაჭერას მიიღებთ. სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად ეცადეთ, არავის ეკონფლიქტოთ და კონტაქტებიც მინიმუმამდე შეამციროთ.

## 30 ოქტომბერი - 5 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
პირადი პრობლემების გამო მუშაობა და პროფესიული საქმიანობა გაგიჭირდებათ. გადაწყვეტილებების მიღებისას ყველაფერი უფრო გონივრულად განსაჯეთ ურთიერთობისას, თავშეკავებული იყავით და წინასწარ გეგმებს ნუ გაამხელთ. საყვარელ ადამიანს პრეტენზიები დროულად წაუყენეთ, რათა ეჭვიანობის საბაბით არ იკამათოთ. ეს კვირა კარგია ცოდნის გასაღრმავებლად და მოკლე მანძილზე გადაადგილებებისათვის.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ხიბლი, დიპლომატია და მჭევრმეტყველება გამოიყენეთ, რათა კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში წინ წაიწიოთ. რთულ სიტუაციაში იოლად გამოავლენთ შემოქმედებით პოტენციალს, მომავლის მოვლენებს განჭვრეტთ და გარშემო მყოფებზე გავლენის მოხდენასა და ძალაუფლების განმტკიცებას შეძლებთ. ახალ საქმეს კი ჯერ ნუ დაიწყებთ, ჯობს, ძველი დაასრულოთ. ეს კვირა კარგია დასვენებისთვისაც.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
დაწვრილებით განიხილეთ სამომავლო გეგმები. ახალ საქმეს ჯერ ნუ დაიწყებთ, რადგან ყველაფრის განსაზღვრა და სწორი გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდებათ. უცნობებს ნუ მიენდობით. მოგზაურობა ან უცხოელებთან ურთიერთობა ჯერ სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. გზაში შესაძლებელია გაუთვალისწინებელი შემთხვევები. საყვარელ ადამიანთან კი უფრო თავშეკავებული იყავით, რათა გული არ ატკინოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საქმიანი კავშირის დამყარებისას გააზრებულად გააკეთეთ არჩევანი. აქტიურად მოქმედების სურვილი იმატებს, მაგრამ გარშემო მყოფებთან დაპირისპირება მოგიწევთ. უფროსი თაობის წარმომადგენლები გაგაღიზიანებთ, ამიტომ ეცადეთ, მათთან ნაკლებად იკამათოთ. თქვენს ფსიქიკასა და სულიერ მდგომარეობას სიკეთეს მოუტანს რელიგიური და ეზოთერული საკითხების ახლებური გააზრება. შესაძლოა, ადამიანი გაიცნოთ, რომელთანაც ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
სირთულეები ოჯახურ ურთიერთობაში აქტიურობას დაგიქვეითებთ. არსებობს მოულოდნელი სირთულეების წარმოქმნის ალბათობაც. განმარტოებისა და დასვენებისას შეძლებთ მოვლენების რეალურად დანახვასა და სამოქმედო გეგმის დასახვას. ეცადეთ, არც პირად ბიზნესში და არც მეგობრულ ურთიერთობაში არაფერი შეცვალოთ. ახალი სასიყვარულო კავშირი კი დამატებით პრობლემას შეგიქმნით და თქვენთვის ძვირფას ადამიანებს დაგიპირისპირებთ.

**თევზები** (19.02-20.03)
აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მიუხედავად, არ ღირს ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა, საქმიანი მოლაპარაკებების წარმოება და ხელშეკრულების დადება. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ. არსებობს საქმიანი, საქორწინო და სასიყვარულო კავშირების დაძაბვის ალბათობა. კარგი დროა ცოდნის გასაღრმავებლად, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. თავი შეიკავეთ ალკოჰოლისა და ძლიერი მედიკამენტების მიღებისგან.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**30 ოქტომბერი, 1, 2 და 5 ნოემბერი**

**13 ნოემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 13.27 საათზე;**
**27 ნოემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 13.17 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 30 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.30 საათზე, ჩადის 17.59 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.58) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 18.46 საათზე, ჩადის 31 ოქტომბერს 09.14 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 18.17 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.36 საათიდან 18.58 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული დღეა. სასიკეთოა ლოცვა, მათ შორის, საღამოსაც. არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, მაღალია აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, უჰაერო სივრცეებს, ძილის წინ ზედმეტი ინფორმაციის მიღებას. იმატებს კონფლიქტის, სიჯიუტის გამოვლენისა და ერთმანეთის არმოსმენის ალბათობაც. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ალკოჰოლისა და ხორცეული კერძების მიღება. კარგი დღეა აბაზანის მიღებისა და მასაჟისთვის, არომათერაპიისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ბრონქები, ფილტვები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, გიშერი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 31 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.31 საათზე, ჩადის 17.57 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 19.25 საათზე, ჩადის 1 ნოემბერს 10.28 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 18.41 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია. კარგი დღეა გადადებული საყოფაცხოვრებო საქმეებისთვის, გარეგნობის მოსაწესრიგებლად, არაფორმარული კონტაქტებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მასაჟისთვის, პრობლემის ახლებურად გადაჭრისთვის, საკანცელარიო ნივთების, საკომუნიკაციო აპარატურის (ტელეფონის, ტელევიზორის, კომპიუტერის) შესაძენად, რეკლამა-ინტერვიუებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, მენჯ-ბარძაყის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

## 1 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.32 საათზე, ჩადის 17.56 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 20.13 საათზე, ჩადის 2 ნოემბერს 11.37 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 19.18 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.36 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, წესების დარღვევას, ზედმეტ ფანტაზიებს. სასიყვარულო ურთიერთობისას იმატებს ცილისწამება, სიცრუე, ჭორი, შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისა და ფეხით სიარულისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, მშენებლობისთვის, ინტერვიუებისთვის, სწავლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, ჰიაცინტი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 2 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.34 საათზე, ჩადის 17.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.23) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 21.08 საათზე, ჩადის 4 ნოემბერს 12.36 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 20.12 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 01.23 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს თქვენი სიტყვები და გამოთქმები აკონტროლეთ. მიღებულ ინფორმაციას მეტი ყურადღება მიაქციეთ — ყოველი დეტალი მნიშვნელოვანი იქნება. კარგი დღეა კომერციული საქმიანობისთვის, სველი წესით დალაგებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, რაიმეს, მათ შორის, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, ეფექტური იქნება კბილების, ძვლების, ხერხემლის, სახსრების, მუხლების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, ოპალი, აქატი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 3 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.35 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 22.10 საათზე, ჩადის 4 ნოემბერს 13.25 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 21.22 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს კანონსა და ძალაუფლების მქონე პირებს ნუ დაუპირისპირდებით. კარგი დღეა მოგზაურობის დასაწყებად, სიახლეებისთვის, ტექნიკური მოწყობილობების, ანტიკვარიატის შესაძენად, სიყვარულის ასახსნელად და ხელის სათხოვნელად, მეგობრული კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისთვის. ეფექტური იქნება კბილების, ხერხემლის, სახსრების, ძვლების, მუხლების მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება-გაცემა, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, ოპალი, აქატი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 4 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.36 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.22) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 23.10 საათზე, ჩადის 5 ნოემბერს 14.26 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 22.40 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.28 საათიდან 11.21 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პლანეტა სატურნი დირექტიული ხდება თევზების ზოდიაქოში, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სტრუქტურათა გამართულ მუშაობას, საკანონმდებლო აქტების რეალიზაციას, წესრიგის განმტკიცებას, დისციპლინას, ტრადიციების გაღრმავებას. დღეს პატივი მიაგეთ წინაპართა წესჩვეულებებს, ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ, საკამათო საკითხები მშვიდად განიხილეთ. შედეგიანი იქნება თვალების, ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა საორგანიზაციო საკითხთა მოსაგვარებლად, საბავშვო ზეიმების მოსაწყობად. არ არის სასურველი ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ფინანსური გარიგება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სერდოლიკი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 5 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 07.37 საათზე, ჩადის 17.51 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 6 ნოემბერს 14.36 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 23.59 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 12.39 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული, რთული დღეა. ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. იმატებს ტრავმების, კონფლიქტების, ავარიების ალბათობა. მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას. გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საბავშვო ზეიმებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ძვირფასი ნივთისა და საჩუქრების შესაძენად. არ არის სასურველი ზედმეტი პრეტენზიულობის, სიამაყის გამოვლენა, შორეული მოგზაურობა, ავიამოგზაურობა, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, ქორწინება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.





**30 ოქტომბერი – ხსენება იოსებ კათალიკოს-პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა**



**31 ოქტომბერი – ხსენება წმიდისა დიდებულისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი**



**2 ნოემბერი – ხსენება ღირსი გაბრიელისა, სალოსისა და აღმსარებლისა**



**2 ნოემბერი – ხსენება დიდმოწამისა არტემისა**



**5 ნოემბერი – ხსენება მოციქულისა იაკობისა, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსისა**

✝ 30 ოქტომბერი. ორშაბათი. **იოსებ კათალიკოს-პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა;** წინასწარმეტყველისა ოსესი; ღირსმოწამისა ანდრია კრიტელისა; მოწამეთა უვერცხლოთა თანაძმათა: კოზმან და დამიანე არაბიელთა და მოყვასთა მათთა მოწამეთა: ლეონტისა, ანთიმოზისა და ევტროპისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მართლისა ლაზარესი, ოთხთა დღეთა საფლავად მდებარისა, კრიტელი ეპისკოპოსისა.

✝ 31 ოქტომბერი. სამშაბათი. **წმიდისა დიდებულისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი;** მოწამისა მარინა ბერისა; ღირსისა იულიანე მეუდაბნოისა; დიდმოწამისა დედისა ზლატასი.

1 ნოემბერი. ოთხშაბათი. წინასწარმეტყველისა იოელისა; მოწამისა ნიკოლოზ დვალისა; მოწამისა უარისა და მისთანა შვიდთა ქრისტიანთა მოძღვართა; ნეტარისა კლეოპატრასი და ძისა მისისა იოანესი; მღვდელმოწამისა სადუკისა, სპარსელი ეპისკოპოსისა და მისთანა 128-თა მოწამეთა.

✝ 2 ნოემბერი. ხუთშაბათი. **დიდმოწამისა არტემისა. ღირსი გაბრიელისა, სალოსისა და აღმსარებლისა (ურგებაძე).**

✝ 3 ნოემბერი. პარასკევი. ღირსისა ილარიონ დიდისა; მოწამეთა: დასისა, გაიოზისა და ზოტიკესი.

✝ 4 ნოემბერი. შაბათი. **დიმიტრის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** მოციქულთა სწორისა ამბერკისა, იერაპოლელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამბლიქოსისა, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, კონსტანტინესი და იოანესი; მოწამეთა: ალექსანდრე ეპისკოპოსისა, ირაკლი მხედრისა და ოთხთა დედათა: ანასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი და გლიკერიასი. **დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა.**

✝ 5 ნოემბერი. კვირა. **მოციქულისა იაკობისა, ხორციელად ძმისა უფლისა, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსისა;** ეგნატე I-ისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.









**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. ვერმახტი; 7. პელაგრა; 11. ჩაილური; 12. სინიორინა; 13. ცანგალა; 14. დიოგენე; 15. ამაზონიტი; 20. რეალური; 21. კოვიდი; 23. კრაკოვიაკი; 24. ათინათი; 28. თუნგი; 29. პატრიოტი; 30. დარაბებს; 31. ცერბერი; 32. ჩაო; 34. ჭიტი; 36. შკოდა; 39. კაც; 41. პატიო; 43. თია; 45. ნეოფიტი; 46. უხა; 47. დერმა; 48. პოლ; 49. ნენია; 50. ასინეთა; 54. კრაკოვი; 57. სადაფი; 60. პროჟექტორი; 61. შეკელი; 62. ტელური; 63. ნავიგატორი; 64. მინდია.

შვეულად: 1. ვესტა; 2. რანდა; 3. აპოლო; 4. ტვიდი; 5. პიკოლო; 6. ლუმენი; 7. პიცერია; 8. ლანთანი; 9. გრანულა; 10. არათითი; 11. ჩადი; 16. მარსალა; 17. ზეკარი; 18. ნავთობი; 19. ტრადიცია; 21. კითარა; 22. ვენდეტა; 25. თერმო; 26. ნუბია; 27. თაბახი; 32. ჩანთა; 33. ობოლი; 34. ჭაინე; 35. ტკიპა; 37. კოდაკი; 38. დარდანელი; 40. ცული; 41. პანტა; 42. ტონგა; 43. თარო; 44. აუტი; 51. სირმა; 52. ნუჟრი; 53. თოქმა; 55. ვალსი; 56. კორო; 57. სიტი; 58. დელი; 59. ფური.

**კალასიმონაკოპოლაკიკოლაფსიქედანიურიკამელია**
**პორტიშირაქიტირადარიტორიჩელინიკოლბაულისელი**

| ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი | ქალაქი საფრანგეთში | ამერიკელი რეჟისორი | გონების დაკარგვა | გარეული მტრედი | ბორბლებიანი ხელით საზიდარი | ქართველი კარდიოლოგი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქიმ. ელემენტი, ლითონი | ე. ნინოშვილის მოთხრობა | „ნათლია“ – რეჟისორი | ქაჯანას მამა | ადამიანის სულის განსახიერება ბერძ. მით-ში | სავაჭრო ცენტრი ... სახლი | მარგარეტ გოტიეს საყვარელი ყვავილი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები; 7 დაავადება, რომელსაც იწვევს ვიტამინი PP-ს ნაკლებობა; 11. მდინარე საგარეჯოს რაიონში; 12. მიმართვა გასათხოვარი ქალისადმი იტალიაში; 13. ჩონგურის მსგავსი საკრავი; 14. ბერძენი ფილოსოფოსი; 15. მწვანე მინერალი, ე.წ. ამაზონის ქვა; 20. ნამდვილად არსებული, ჭეშმარიტი; 21. უკანასკნელი პერიოდის „მოდური“ ვირუსი; 23. პოლონური ხალხური ცეკვა; 24. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოჭრილი სინათლის სხივი; 28. ლითონის ვიწროყელიანი ჭურჭელი; 29. მამულიშვილი; 30. ლ. თაბუკაშვილის პიესა „... მიღმა გაზაფხულია“; 31. სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგიაში; 32. გამარჯობა! (იტალ.); 34. სეზონის მოდური სიმღერა; 36. ჩეხური ავტომობილი; 39. არა ... ჰკლა („ათი მცნება“); 41. შიგნითა პატარა ეზო იტალიაში; 43. ცხიმოვანა; 45. ახლად რჯულმიღებული; 46. თევზის წვნიანი; 47. კანი (ბერძ.); 48. „ბითლზის“ წევრი ... მაკარტნი; 49. მიცვალებულის დასატირებელი სიმღერა ზოგიერთ ხალხში; 50. სესილია თაყაიშვილის როლი „დათა თუთაშხიაში“; 54. ქალაქი პოლონეთში; 57. ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიგა ფენა; 60. მძლავრი გასანათებელი ხელსაწყო; 61. ისრაელის ფულის ერთეული; 62. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 63. გზის მაჩვენებელი ხელსაწყო მანქანებში; 64. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ სახელი.

შვეულად: 1. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 2. გრძელი შალაშინი; 3. ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 4. შალის ერთგვარი ქსოვილი; 5. პატარა ფლეიტა; 6. სინათლის ნაკადის საზომი ერთეული; 7. იტალიური სასაუზმე, სადაც პიცას აცხობენ; 8. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 9. რაიმე ნივთიერების წვრილი, მკვრივი გუნდა, მარცვლის მსგავსი; 10. ერთ-ერთი თითი; 11. აფრიკის სახელმწიფო; 16. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 17. სუხიშვილების ცეკვა; 18. საწვავი სითხე; 19. ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებები; 21. ძველი ბერძნული სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 22. სისხლის აღების ადათი იტალიაში; 25. სითბო, ანუ...; 26. ეგვიპტის ისტორიული ოლქი; 27. საწერი ქაღალდის ფურცელი; 32. ტყავის ან ქსოვილის ხელში დასაჭერი პარკი რაიმე ნივთიერების ჩასალაგებლად; 33. უდედმამო; 34. გერმანელი პოეტი; 35. მცირე ზომის ფეხსახსრიანი პარაზიტი არსება; 37. ამერიკული ფოტომასალების ფირმა; 38. სრუტე თურქეთში ევროპასა და აზიას შორის; 40. ხის საჭრელი იარაღი; 41. ტყის მსხალი; 42. ველორიქშა ინდოეთში; 43. ეტაჟერის შემადგენელი ნაწილი; 44. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან ფეხბურთში; 51. ოქრომკედი; 52. ამონაბურცი ხეზე — როკი; 53. მკვრივი, მსხვილი, ტლანქი (საუბ.); 55. წყვილთა ცეკვა; 56. ფრანგი ფერმწერი; 57. ლონდონის საქმიანი ცენტრი; 58. ინდოეთის დედაქალაქი; 59. დედალი საქონელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| უნგრელი ექს-მოჭადრაკე | ბავშვთა დაავადება | ლოკატორი | იტალიელი ფიზიკოსი | მსახიობი ... კიდმანი | პატარა, მრგვალი საგზაო ჩემოდანი | ბოჭკოვანი მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|

| ნავსადგური | ველი კახეთში | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | მჭევრმეტყველი | იტალიელი რეჟისორი | ლაბორატორიული ჭურჭელი | ჯეიმზ ჯოისის რომანი | ვივიენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვავარბიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 30 ოქტომბერი – 5 ნოემბერი №47 (1511)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol